ჩვენ არ გვინდა აფხაზეთი უაფხაზებოდ! A2

აკაკი ჩხაიძემ თავისუფლება იყიდა A7

გამოხმაურება ბრალდებაზე A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 1 აპრილი, 2004 წელი. №77 (626)

ფასი 50 თეთრი

# ასლან აბაშიძის მორიგი გამოწვევა

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა მორიგი სიურპრიზი მოუმზადა საქართველოს საზოგადოებას: ასლან აბაშიძე აჭარის პარლამენტს "სთავაზობს", დანიშნოს რეფერენდუმი, რომლითაც გაირკვევა, უჭერს თუ არა მოსახლეობა მხარს ავტონომიური რესპუბლიკის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას. აბაშიძის განცხადებით, "28 მარტის არჩევნები აჭარაში არაობიექტურად ჩატარდა და რეფერენდუმის შედეგებმა უნდა განსაზღვროს, ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა".*

გიორგი ასანიშვილი

აჭარის ავტონომიის მეთაურის განზრახვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ასლან აბაშიძე ან სათანადოდ არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობას, ან შეგნებულად ახდენს მის იგნორირებას. "რეფერენდუმის შესახებ" კანონის პირველივე მუხლში წერია: "რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე", ხოლო ამავე კანონის მეოთხე მუხლში ნათქვამია,

გაგრძელება A8 გვერდზე

# მამუკა ჯინჭარაძე ახალ ვერტმფრენს იყიდის

ლელა მჭედლიძე

*"არ მახსოვს!" - ასე უპასუხა ბიზნესმენმა მამუკა ჯინჭარაძემ ჟურნალისტების შეკითხვას, რომელიც ვერტმფრენის ინციდენტის დეტალებს შეეხებოდა. უშიშროების საბჭოს მდივანთან გამართული ერთობლივი პრესკონფერენციის შემდეგ, მან სახელმწიფო კანცელარიის შენობა საკმაოდ სწრაფად დატოვა. საქართველოს დატოვებას კი იგი დღეს გეგმავს.*

საქართველოს ხელისუფლებამ, იმის დასტურად, რომ საქართველოში შემოსულ ინვესტორებს "უფრთხილდებოდა და მომავალშიც გაუფრთხილდება", ჯინჭარაძის მიმართ პრეტენზიები აღარ გაამძაფრა. **"ჩვენი მიზანია, ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ ინვესტორებს, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველოში არსებულ კანონებს ყველა უნდა დაემორჩილოს,"**

გაგრძელება A8 გვერდზე



მამუკა ჯინჭარაძის და ვანო მერაბიშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია.

# უკრაინაში საპრეზიდენტო მარათონი დაიწყო

უკრაინაში საპრეზიდენტო კამპანია, როგორც ჩანს, ვადაზე ადრე იწყება და, თუ მოვლენები საქართველოს სცენარით განმეორდა, შეიძლება არჩევნები ვადაზე ადრეც ჩატარდეს. საპრეზიდენტო არჩევნებამდე შვიდი თვით ადრე ძირითად კანდიდატებს ბრძოლისათვის სრული მზადყოფნა ეტყობათ. თავდაპირველად დაგეგმილი იყო საპრეზიდენტო კამპანიის 1 მაისისთვის დაწყება. ანუ, აგიტაციისათვის კანდიდატებს 180 დღე ექნებოდათ. თუმცა, მარტის თვეში უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კანონი, რომელმაც კამპანიის დრო ორი თვით შეამცირა. ანალიტიკოსთა აზრით, ამ კანონის მიღება თითქმის არაფერს ცვლის - პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ 2002 წელს, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე დაიწყო.

გაგრძელება A5 გვერდზე



იუშენკო - პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი.

# მილიარდერები გისოსებს მიღმა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

რუსი მილიარდერები - მიხაილ ხოდორკოვსკი და პლატონ ლებედი გამონაკლისი როდი არიან: საპყრობილეში მრავალი სხვა სქელჯიბიანიც ზის.

კალისტო ტანცი, იტალიის უმსხვილესი სურსათის მწარმოებელი კომპანია "პარმალატის" ხელმძღვანელი, რომელიც უკანასკნელ დრომდე იტალიური ბიზნესის ერთ-ერთი დედაბოძი იყო, იძულებული გახდა, თავისი დიდებული ვილადან ციხეში გადაბარგებულიყო. მას ბრალი ედება იმაში, რომ თავისი საგვარეულო ტურისტული ფირმის გაკოტრებისგან გადასარჩენად "პარმალატის" ფონდებიდან 640 მილიონი დოლარი მოიპარა.

გაგრძელება B1 გვერდზე



ამ ქვეყანას კანონი მართავს.

## პოლიტიკა

### არჩევნების წინასწარი შედეგები უკვე შეჯამებულია

შვიდპროცენტიანი ბარიერი მხოლოდ "ნაციონალურმა მოძრაობამ" (ხმათა 67, 2 პროცენტი) და "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები - ახლებმა" გადალახეს (7, 62 პროცენტი). წინასწარი ინფორმაციით, სადეპუტატო მანდატები მათ შორის ასე გადანაწილდა: "ნაციონალური მოძრაობა" - 135 მანდატი, "მემარჯვენე ოპოზიცია" - 15 მანდატი.

A3

## უცხოეთი

### რა უნდა იცოდე მიტინგის ჩატარებამდე რუსეთში

*თუ ვინმე მიტინგის გამართვას აპირებს, მან აქციის ჩატარების თარიღამდე არაუადრეს 15 დღისა და არაუგვიანეს 10 დღისა, აღმასრულებელი ან ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებს უნდა აცნობოს. წერილობითი ფორმით უნდა იყოს განმარტებული აქციის გამართვის მიზანი და ფორმა, ადგილი, მანიფესტანტთა რაოდენობა, მათი მოძრაობის მარშრუტები, აგრეთვე, ღონისძიების დაწყებისა და დამთავრების დრო.*

## საზოგადოება

### ვეტერანებისთვის თუ შევარდნაძის მეგობრებისთვის შექმნილი დეპარტამენტი?

*იური გალდავა აცხადებს, რომ ვეტერანთა დეპარტამენტი შევარდნაძემ თავისი მეგობრების დასასაქმებლად შექმნა, მათ კი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში ათასობით ლარი გაფლანგეს, სახელმწიფო ჯილდოები სურვილისამებრ დაარიგეს და, ვეტერანების უფლებების დაცვის მაგივრად, მათი უფლებები დაარღვიეს.*

A6

## სამართალი

### გენერალურმა პროკურატურამ თერთმეტი წლის წინათ შეწყვეტილი საქმის ძიება განაახლა

გენერალურმა პროკურატურამ თერთმეტი წლის წინათ აღძრული და შემდეგ შეწყვეტილი საქმეების გამოძიება განაახლა. თანაც, მართალია, გამოძიება ჯერჯერობით არ დასრულებულა, მაგრამ ხელახლა შეკრებილი მტკიცებულებები უკვე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გენერალური პროკურატურის მიერ წლების წინ შექმნილი მძიმე ბრალდებები გაქარწყლდება.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | |
| ქუთაისი | 17 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 15 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 15 | |
| ზუგდიდი | 17 | |
| გორი | 14 | |
| ახმეტა | 16 | |
| ჭიათურა | 14 | |
| გაგრა | 13 | |
| სამტრედია | 18 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0150 |
| ევრო | 2.4670 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6980 |
| რუბლი | 0.0707 |

### თავდაცვის მინისტრები ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუდგნენ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრები სერგეი ივანოვი და გელა ბეჟუაშვილი ოფიციალურ შეხვედრამდე ცალკე კაბინეტში განმარტოვდნენ. გენერლები, ოფიცრები და ჟურნალისტები სამი საათის განმავლობაში ელოდნენ საქართველო-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის საბოლოო ოქმზე ხელმოწერასა და პრესისათვის განკუთვნილ განცხადებებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

### გენერალურმა პროკურატურამ ბიუჯეტს 12 მილიონზე მეტი დაუბრუნა

*კორუფციაში ბრალდებულ ყოფილ სახელმწიფო მოხელეთა ნაწილის მიერ ქვეყნის ბიუჯეტისთვის მოპარული თანხები გენერალური პროკურატურის მიერ დაწყებული სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად ხაზინას უკან დაუბრუნდა. გენერალურმა პროკურატურამ დამალული გადასახადების ამომღების ფუნქციაც იტვირთა და წლების მანძილზე გარღვეულ ბიუჯეტში (სულ რაღაც, სამ თვეში!) 12 მილიონ 500 ათასი ლარის დანამატი შეიტანა.*

მერაბ ჟორდანიას მიერ გადახდილ 750 ათას ლარს, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელის ვახტანგ ჩახნაშვილის "შენატანი" - 3 მილიონი ლარი დაემატა. გუშინ ბიუჯეტი სოლიდური დანამატით გაიზარდა: რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს გენერალურმა პროკურატურამ 3 მილიონ 17 ათას 500 დოლარი გადაახდევინა, რაც, დაახლოებით, 6 მილიონ 30 ათასი ლარია. გუშინვე პროკურატურაში სადავო თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი მიიტანა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილის იოსებ ნატროშვილის ადვოკატმა. სადავო თანხა - 2 მილიონ 500 ათასი ლარი - ბრალდებულმა გუშინ მთლიანად გადაიხადა. სამაგიეროდ, იოსებ ნატროშვილს დღეს პროკურატურა პატიმრობიდან გაათავისუფლებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

### რაში იხარჯება გზების აღდგენისთვის გამოყოფილი კრედიტები?!

ექსპერტები საქართველოს მაგისტრალური გზების მდგომარეობას დადებითად აფასებენ

დიანა ჩაჩუა
თამარ ხორბალაძე

*მსოფლიო ბანკში საქართველოს გზების რეაბილიტაციის ახალ პროექტს ამუშავებენ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, წინამორბედი პროექტებისგან განსხვავებით, მისი მთავარი "სამიზნე" დღეს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი შიდარესპუბლიკური და სასოფლო გზები იქნება. როგორც მსოფლიო ბანკში აცხადებენ, ამ პროექტის დაწყების წინაპირობად იქცა მაგისტრალურ გზებზე განხორციელებული წარმატებული პროექტები. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ უკვე აპრილისთვის მზად უნდა იყოს ახალი პროექტის ეკონომიკური შეფასება, ივნისის ბოლოს კი პროექტს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოზე განიხილავენ. უკვე ცნობილია, რომ თუ პროექტი დამტკიცდა, მაშინ რეაბილიტაციას, პირველ რიგში, რესპუბლიკური და ადგილობრივი გზები დაექვემდებარება. ხოლო მანამდე "24 საათმა" გადაწყვიტა, გადაეხედა უკვე განხორციელებული "საგზაო პროექტებისათვის".*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 სპორტი | B4-B6 რეკლამა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ჩვენ არ გვინდა აფხაზეთი უაფხაზებოდ!



დისკუსია "24 საათის" რედაქციაში.

*გუშინ "აფხაზურ კლუბში" მოწვეული იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი თავმჯდომარე თემურ მჟავია, რომელსაც ბევრ კითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა. დროის სიმცირის გამო, ყველა მსურველს არ მიეცა მათთვის საინტერესო საკითხის დაყენების საშუალება, მაგრამ ძირითადი პრობლემების გარშემო მსჯელობა მაინც გაიმართა.*

კლუბის წევრებმა ახალ თავმჯდომარეს მოსთხოვეს, მკაცრად გამოეხატა თავისი პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიმართ და ეღიარებინა უსისხლო გზის უალტერნატივობა. სამშვიდობო ინიციატივების ცნობილმა მომხრემ თემურ მჟავიამ აღნიშნული მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

**" აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში პრიორიტეტი უთუოდ მიენიჭება სამშვიდობო ინიციატივებს. ეს უნდა იყოს პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან, რასაც მე ყოველთვის მხარს ვუჭერდი და დღესაც მივესალმები. მიმაჩნია, რომ საქართველოს ახალ ცენტრალურ ხელისუფლებას და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, კონფლიქტის დარეგულირების კუთხით, მუშაობის დაწყება სუფთა ფურცლიდან უწევს. საქმის დაწყება კი ყოველთვის დიალოგით არის უმჯობესი.**

**პირადად მე არ მინდა აფხაზეთი უაფხაზებოდ, იმიტომ, რომ მართლაც გულით ვგრძნობ ნათესავურ კავშირს. აფხაზები ჩემი ძმები და დები არიან. რამდენიც უნდა იდავოს მავანმა ჩვენი ერების სხვადასხვა წარმოშობის თაობაზე, ყველა ვარიანტში, ქართველს და აფხაზს ერთი დედა და მამა ჰყავთ. ამიტომ მე მინდა, რომ სამშვიდობო ინიციატივა, მართლაც, უალტერნატივო იყოს და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სამშვიდობო რესურსები ბოლომდე გამოვიყენოთ,"** - განაცხადა თემურ მჟავიამ, რომელმაც უფრო მეტი კონკრეტიკისაგან თავი შეიკავა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დისკუსიამ გვერდი ვერ აუარა რუსეთის ფაქტორს. აღინიშნა, რომ სამშვიდობო ინიციატივებსა და, საერთოდ, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიიდან გაიყვანს თავის სამხედრო ბაზებს და ამით განეიტრალდება რუსეთის ფაქტორი. იქვე წამოიჭრა სამშვიდობოების გაყვანის საკითხიც. აღნიშნულთან დაკავშირებით, თემურ მჟავიას კომენტარი არ გაუკეთებია. **"დღეს უმნიშვნელოვანესია რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც სექტემბერშია დაგეგმილი. მანამდე, თქვენი ნებართვით, კომენტარისგან თავს შევიკავებ,"** - განაცხადა თავმჯდომარემ.

ამ საკითხისაგან განსხვავებით, თემურ მჟავიამ სავსებით გარკვეული პოზიცია დააფიქსირა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევნებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ არჩევნების ჩატარება პოლიტიკურად გაუმართლებელ ნაბიჯად მიაჩნია. ამ განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა, თემურ მჟავიას თქმით, ეს არის მისი პირადი მოსაზრება, თორემ ყველაფერი ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტია. თუ თქვენ დაარწმუნებთ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ არჩევნების ჩატარება აუცილებელია, მე არ შეგეწინააღმდეგებითო, - უთხრა მან არჩევნების მომხრეებს. **"უფრო მეტიც, მზად ვარ, ცენტრალურ ხელისუფლებას ღირსეულად წარვუდგინო თქვენი პოზიცია, თუ თქვენ ამის საშუალება არ მოგეცემათ,"** - დაასრულა არჩევნებზე საუბარი მჟავიამ.

მნიშვნელოვანი დრო დაეთმო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფუნქციის რაობის საკითხსაც, რომელიც, როგორც გაირკვა, სულ მალე გახდება საქართველოს უშიშროების საბჭოს განხილვის საგანი.

*ზაზა ფაჩუაშვილი*

# მინისტრები საბიუჯეტო ციფრებს ახმოვანებენ

## მთავრობას საგადასახადო ცვლილებებზე შეთანხმება უძნელდება

საქართველოს მთავრობის წევრები გუშინ ორჯერ შეიკრიბნენ - დილით "ოფიციალური" მთავრობის სხდომა გაიმართა, რომლის მთავარი საკითხი ახალი "საგადასახადო კოდექსის" მიმართულების განსაზღვრა გახლდათ. სხდომის დაწყების წინ მთავრობის წევრები ახალი კოდექსის პარლამენტში შეტანის ვადად აპრილის თვეს ასახელებდნენ, სხდომის დასრულების შემდეგ კი - მაის-ივნისს. ვადებში ამ "მცირედმა სხვაობამ" გამოააშკარავა, რომ მთავრობა საგადასახადო კოდექსის მთავარ პრინციპებზე შეთანხმებას ვერ ახერხებს, ისევე, როგორც ბიუჯეტზე შეთანხმებას, თუმცა ღიად ამაზე ისინი არც დილის სხდომის და არც საღამოს, ბიუჯეტთან დაკავშირებით გამართული სამუშაო თათბირის დასრულების შემდეგ არ საუბრობდნენ.

ფინანსთა მინისტრმა ნოღაიდელმა, რომელიც ახალი საგადასახადო კოდექსის მთავარი სულისჩამდგმელი უნდა იყოს, ზოგადი კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა "საგადასახადო კოდექსის" მნიშვნელოვნად გამარტივებას აპირებს. რაც მთავარია, შემცირდება გადასახადების რაოდენობა.

ნოღაიდელის განცხადებით, "საგადასახადო კოდექსის" საბოლოო სახე "მრეწველების", საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტების შეჯერების შედეგად მოხდება.

როგორც მთავრობის დღევანდელი სხდომის შემდეგ ნოღაიდელმა განაცხადა, უკვე შექმნილია 10-კაციანი ჯგუფი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. მისივე თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ საგადასახადო სისტემა საქართველოში მეტად მოქნილი იყოს და, ამავდროულად, ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შექმნასაც შეუწყოს ხელი.

ამასთან ერთად, გუშინდელ მთავრობის სხდომაზე განიხილეს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო სამუშაო ჯგუფების შექმნის საკითხი. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზუტიდან მეწყერისგან დაზარალებული 80 ოჯახის წალკის რაიონის სოფელ ახალიკში ჩასახლების შესახებ და კიდევ რვა საკითხი, რომელთა განხილვასაც სამ საათზე მეტი დასჭირდა.

უკვე საღამოს, მინისტრები "სამუშაო თათბირზე" შეიკრიბნენ და ბიუჯეტის მონაცემები კიდევ ერთხელ შეაჯერეს. თავდაცვას - 67 მილიონი, ჯანდაცვას - 420, აქედან 350 - საპენსიო დავალიანებებისა და პენსიების დანამატების გასასტუმრებლად, კულტურას - 22 მილიონი, განათლებას - 18 მილიონი, უშიშროებას - 18,2 მილიონი, ენერგეტიკას - 39 მილიონი - ასეთია მომავალი ბიუჯეტის ჯერ კიდევ წინასწარი მონახაზი.

*თამარ ხორბალაძე*

# არჩევნების წინასწარი შედეგები უკვე შეჯამებულია

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩევნების საბოლოო წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში სიახლე ნამდვილად არ ყოფილა. როგორც მოსალოდნელი იყო, შვიდპროცენტიანი ბარიერი მხოლოდ "ნაციონალურმა მოძრაობამ" (ხმათა 67, 2 პროცენტი) და "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები - ახლებმა" გადალახეს (7, 62 პროცენტი). წინასწარი ინფორმაციით, სადეპუტატო მანდატები მათ შორის ასე გადანაწილდა: "ნაციონალური მოძრაობა" - 135 მანდატი, "მემარჯვენე ოპოზიცია" - 15 მანდატი.

შვიდპროცენტიან ბარიერს მხოლოდ მიუახლოვდნენ "აღორძინების კავშირი" (6,02 პროცენტი) და "ლეიბორისტები" (5, 81 პროცენტი). კონსტანტინე გამსახურდიას "თავისუფლებამ" ხმათა 4, 23 პროცენტის მოპოვება შეძლო. "ედპ-ტრადიციონალისტებს" ხმათა 2, 52 პროცენტი აქვთ, ჯუმბერ პატიაშვილის "ერთობას" კი - 2, 41 პროცენტი.

იმის მიუხედავად, რომ დღის სამი საათისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჯერ არ იყო შესული 171 უბნის მონაცემები, ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ამ უბნების შედეგები საერთო სურათს აღარ შეცვლიდა.

ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიებმა გუშინ დაასრულეს საჩივრების განხილვა და უკვე დღეს იქნება ცნობილი, რომელი უბნის შედეგებია ბათილად ცნობილი. რაც შეეხება აჭარას: ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, რომ პრობლემური უბნებიდან შემოსული შედეგების ცნობა-არცნობის საკითხს უშუალოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია გადაწყვეტს.

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მხოლოდ წინასწარი შედეგების გამოქვეყნებით არ შემოფარგლულა. მან აჭარის ხელისუფლების მიმართ მორიგი მკვეთრი განცხადებები გააკეთა და ავტონომიის ხელმძღვანელობას მოუწოდა, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენებით "არ გამოეწვია" ცენტრალური საარჩევნო კომისია; მეტიც, ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, იგი აჭარის ხელისუფლებისგან არა თუ კრიტიკას, არამედ შენიშვნასაც კი არ მიიღებს, რადგან სწორედ ამ ხელისუფლების წყალობით ყალბდებოდა წლების განმავლობაში ნებისმიერი არჩევნები.

რაც შეეხება ასლან აბაშიძის სურვილს ავტონომიის ტერიტორიაზე რეფერენდუმის გამართვის თაობაზე, მისი თქმით, **"რეფერენდუმის ჩატარების წესი კანონმდებლობით განისაზღვრება და ამიტომ აჭარის ლიდერს ავტონომიის ტერიტორიაზე შეუძლია არა რეფერენდუმი, არამედ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატაროს".**

დაბოლოს, 28 მარტს ბოლნისისა და ჭიათურის საარჩევნო ოლქებში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებიც გაიმართა. წინასწარი მონაცემები ასეთია: ბოლნისში ლიდერობს "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" კანდიდატი სოფიო ლარცულიანი, ხოლო ჭიათურაში "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წარმომადგენელ იასონ (ნუკრი) ჭუმბურიძესა და დამოუკიდებელ კანდიდატ თენგიზ მოცრაძეს შორის მეორე ტური გაიმართება.

*24 საათი*

# მერაბ ადეიშვილი არანაირი სადავო თანხის გადახდაზე არ საუბრობს

"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, ჯერჯერობით, არანაირი სადავო თანხის გადახდაზე არ საუბრობს", - აცხადებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრის მერაბ ადეიშვილის ადვოკატი გოგმარ გაბუნია. ადვოკატის განმარტებით, მსგავსი შემოთავაზება არც გენერალური პროკურატურის მხრიდან ყოფილა და არც თავად ბრალდებულს აქვს იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ თანხა გადაიხადოს.

გამოძიება ადეიშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ბიუჯეტისთვის 600 ათასამდე ლარის ზარალის მიყენებას ედავება.

ამჟამად გამოძიება საქმესთან დაკავშირებით რევიზიებს აწარმოებს, ხოლო თავად ადეიშვილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრი თავს კვლავაც უდანაშაულოდ ცნობს და კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას იყენებს.

როგორც გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, გამოძიება ადეიშვილს სამ მილიონ ლარს ედავება და მისი გადახდის შემთხვევაში ბრალდებულს გარემოებები მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდება.

*პრაიმ-ნიუსი*

# პოლიცია დაკარგულს უშედეგოდ ეძებს

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიცია, ჯერჯერობით, უშედეგოდ ეძებს "ლეიბორისტული პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პარტიულ საარჩევნო სიაში მე-8 ნომერს ვაჟა შენგელიას, რომელიც სამი დღის წინ, ღამის საათებში, თავისი ძმის სახლის ეზოდან გაუჩინარდა.

პოლიციას, ჯერჯერობით, გატაცების ფაქტი ოფიციალურად არ დაუდასტურებია და, შესაბამისად, პროკურატურას ადამიანის გატაცების მუხლით სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავს. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის თანამშრომლებმა ის ადამიანები დაკითხეს, რომელთაც ვაჟა შენგელია უკანასკნელად ნახეს.

"ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენელთა ინფორმაციით, ვაჟა შენგელია გატაცებულია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან მოშიმშილე ახალგაზრდა "ლეიბორისტები" ინახულა და ღამით ძმასთან გაემგზავრა.

ახლობლებისა და თანაპარტიელების განმარტებებით, ვაჟა შენგელია ძმის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ოთხმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა.

*ინტერ-პრესი*

# იუსტიციის მინისტრს ევროგაერთიანების დახმარების იმედი აქვს

გუშინ იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ევროპის გაერთიანების დელეგაციას შეხვდა, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში ევროგაერთიანების სპეციალური წარმომადგენელი ჰეიკი ტალიავიტი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე განიხილეს იუსტიციის სამინისტროსა და ევროგაერთიანებას შორის თანამშრომლობის საკითხები.

საუბარი გაიმართა "ტასისის" პროექტის ფარგლებში პენიტენციალური სისტემის რეფორმის, პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელშეწყობის თაობაზე.

იუსტიციის მინისტრის თქმით, პირველ რიგში, პენიტენციალური სისტემის რეფორმაა მისახედი და ამ სისტემის რეფორმირებისათვის ევროგაერთიანების დახმარება ძალზე მნიშვნელოვანია. მინისტრის თქმითვე, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა თბილისის მეხუთე საპყრობილეში, რომლის შენობა ამორტიზირებულია, ხოლო შენობის შიგნით გაუსაძლისი პირობებია. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კი იუსტიციის მინისტრი აუცილებლად მიიჩნევს რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე მეექვსე საპყრობილის ამოქმედებას.

საპყრობილის რეკონსტრუქციის პროექტი ამჟამად შემუშავების პროცესშია და შესაძლებელია, რომ იუსტიციის სამინისტროს ამ პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირმა გაუწიოს.

გუშინდელ შეხვედრაზე მხარეებმა იუსტიციის სამინისტროში სამოქალაქო რეესტრის პროექტის ფორმირებაზეც ისაუბრეს. სამოქალაქო რეესტრის შექმნა მოქალაქეებს ბევრ პრობლემას მოუხსნის. იუსტიციის სამინისტროში შეიქმნება ერთიანი სისტემა, რომელიც მოქალაქეთა რეგისტრაციის ყველა დაწესებულებას გააერთიანებს და გამარტივდება მოქალაქეთათვის სხვადასხვა მოწმობებისა თუ დოკუმენტაციის გაცემა.

*24 საათი*

# თავდაცვის მინისტრები ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუდგნენ

პირველი გვერდიდან



გელა ბეჟუაშვილი და სერგეი ივანოვი.

კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ დაიწყო ორი ქვეყნის სამხედრო ექსპერტებისა და სამინისტროების მაღალი ჩინების მოლაპარაკებები. შეხვედრის პარალელურად, სხდომათა დარბაზის გვერდით, დიდ საბანკეტო დარბაზში დიდი ფუსფუსი იყო - რუსული მხარე სუფრას შლიდა.

ამასობაში სერგეი ივანოვის პრესმდივანი უჩვეულოდ გულახდილობდა. ჯერ გულმოდგინედ ჩაიწერა ის შეკითხვები, რის მიცემასაც პრესა მინისტრებისათვის აპირებდა, შემდეგ ამ შეკითხვების მცირე კორექტირებაც მოასწრო ჩვენივე თანხმობით. ბოლოს რამდენიმე ქართული ფრაზა გაიხსენა: მამაჩემი თბილისში მსახურობდა და მეც იქ, შტაბთან ახლოს მდებარე მე-60 საშუალო სკოლაში ვსწავლობდიო. საგულისხმო იყო, რომ ეს შინაურული და გულითადი ატმოსფერო მინისტრების პრესასთან გასაუბრების დროსაც გაგრძელდა.

**"გადავწყვიტეთ, რომ დღეიდან ჩვენი ურთიერთობები ნორმალურ კალაპოტში წარიმართოს, ჩიხში დარჩენილი პრობლემები გადაწყდეს, რადგანაც რუსეთი დაინტერესებულია მშვიდობიანი, აყვავებული საქართველოთი. ძვრები დამაიმედებელია,"** -ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. მისი თქმით, **"მხარეები ჩახერგილი წინაღობების გაწმენდას უნდა შეუდგნენ".**

რუსეთის თავდაცვის მინისტრის ოფიციალური განცხადებებიდან ნათელი ხდება, რომ მოსკოვურ შეხვედრებზე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი დღის წესრიგში არ მდგარა და დეტალურად არ განუხილავთ. ივანოვის მტკიცებით, უახლოეს მომავალში სპეციალური სახელმწიფო კომისია ამ ბაზების ფუნქციონირების საკითხებზე დაიწყებს მუშაობას, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით. ივანოვის თქმით, ამ პროცესში გამორიცხული იქნება დისკომფორტი და ანტაგონიზმი. იქვე ივანოვი აკონკრეტებს, რომ რუსეთის ბაზების გატანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება საჭირო ინფრასტრუქტურა და მოსამსახურეთა სოციალური პრობლემებიც გადაწყდება. მინისტრები არაფერს ამბობენ, კონკრეტულად რომელი მხარე აპირებს ფინანსების გაღებას.

გელა ბეჟუაშვილი აკონკრეტებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების საკითხში პოზიციები არ იცვლება.

**"ბაზების საკითხის შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა უნდა განაახლოს. შემდეგ ეტაპზე ორი სახელმწიფოს ექსპერტები ვადებს დააფიქსირებენ. მაგრამ პოზიციები არ იცვლება. არის სრული მზადყოფნა ორივე მხრიდან, მოქნილად მივუდგეთ გარკვეულ საკითხებს. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი გადაწყვეტილია. ამას აფიქსირებს რუსული მხარეც. ჩვენი შეხვედრის ძირითადი თემა იმ ტექნიკურ საკითხებზე შეთანხმებაა, რაც კომისიის ფარგლებში უნდა გადაწყდეს. საქართველო მზად არის რუსეთთან ერთად იბრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, მიახდინოს საზღვრების ერთობლივი პატრულირება, თუმცა ეს საკითხი ჩვენი სამინისტროების კომპეტენციაში არ შედის. ჩვენ არ უნდა ვიქცეთ ბაზების მძევლებად. ეს საკითხი საერთაშორისო ჩარჩოებში უნდა გადაწყდეს,"** - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის კომენტარებიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო აჭარაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზის ქება, იმის გამო, რომ ის საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერია და ნეიტრალიტეტი დაიცვა. თუმცა ივანოვმა იქვე დასძინა, რომ აჭარაში დისლოცირებულ სამხედრო ბაზაზე მიმდინარე როტაცია, სამხედრო მომზადება და სხვა რამ პროცესები მომავალშიც გაგრძელდება. ამასთან, ივანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი სამხედროები ქართული ვიზებით იმოძრავებენო.

"რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტს, ეს საკითხი დსთ-ს სტრუქტურების პრეროგატივაა და არა ორმხრივი მოლაპარაკებების საგანი," - დასძინა რუსმა მინისტრმა.

# კახეთს ეკონომიკის მინისტრი ესტუმრა

გუშინ ეკონომიკის მინისტრი კახეთში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა. იგი, უცხოელ სტუმრებთან ერთად, კახური ღვინის დეგუსტაციას აწარმოებდა და საგადასახადო რეფორმაზე ბჭობდა. თავდაპირველად მინისტრმა საგარეჯოში მანავის ჭაბურღილი მოინახულა, სადაც სამუშაოებს ფირმა "კანარგო" აწარმოებს. როგორც ნავთობმომპოვებელი ფირმის ხელმძღვანელობამ ჟურნალისტებს განგვიცხადა, ამ საბადოდან სულ მალე დღეში 30-50 ტონა ნედლეულის ამოღება დაიწყება და მოპოვება ახალი მეთოდებით განხორციელდება. გარად ამისა, "კანარგო" კიდევ ორი ჭაბურღილის ამოქმედებას გეგმავს. სამუშაოები კი ძირითადად აგვისტოში, ახალი ტექნიკის შემოსვლის შემდგომ დაიწყება.

ყველაზე მეტად ირაკლი რეხვიშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში შპს "ალავერდის" ღვინის ქარხნის მონახულებამ აღაფრთოვანა. ქარხანა, რომელიც უკვე მეორე წელია, რაც მოქმედებს, როგორც ხელმძღვანელობამ განაცხადა, აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო საწარმოთა შორისაა. თუ რა ინვესტიციებით აშენდა ქარხანა, გენერალურმა დირექტორმა ივა დუგლაძემ ამის შესახებ კომენტარისგან თავი შეიკავა.

ინფორმირებული წყაროს თქმით, თავის დროზე, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჰოლანდიელ ინვესტორს წილში შვილი - პაატა შევარდნაძე ჩაუსვა. შარშან კი შპს "ალავერდს" ფინანსურად გაუჭირდა და დღის წესრიგში დადგა მისი გაყიდვა, რადგან ქარხნიდან წილს ბევრი ჩინოვნიკი ითხოვდა. სწორედ ამის გამო ჰოლანდიელმა ინვესტორმა ქუდი დაიხურა და საქართველოდან გაიქცა.

**"ამ ქარხანას ჩვენ ყველანაირ პირობებს შევუქმნით, ხოლო რეფორმები, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ, სწორედ ასეთი ტიპის ქარხნების განვითარებისკენ არის მიმართული. რაც შეეხება უმოქმედო ობიექტებს, მათ რეფორმა ფორმას შეუცვლის,"** - განაცხადა რეხვიაშვილმა.

კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის, პეტრე ცისკარიშვილის თქმით, მინისტრის ინიციატივით სულ მალე თელავში, უსახსრობის გამო შეჩერებული მეფრინველეობის ფერმა კვლავ ჩვეულ ტემპში დაიწყებს მუშაობას. ამისათვის კი უკვე მოძიებულია გერმანელი ინვესტორი, რომელიც თანხის ჩადებას 2 მილიონი დოლარიდან დაიწყებს და ინვესტიციას, ეტაპობრივად, შვიდ მილიონამდე გაზრდის, რა თქმა უნდა, თუ ბიზნესი მომგებიანი გახდა. პეტრე ცისკარიშვილი ირაკლი რეხვიაშვილის სტუმრობას რეგიონში მთავრობის კახეთისკენ მობრუნებას უწოდებს: **"ამჯერად უკვე მიმდინარეობს კონკრეტული დეტალების შესწავლა, თუ სად შეიძლება ინვესტიციების მოზიდვა. ეს არის პირველი ნაბიჯი, როდესაც მთავრობა ამ რეგიონისკენ მოტრიალდა,"** - აცხადებს ცისკარიშვილი.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# სახელმწიფო ბიუჯეტი 104 პროცენტით შესრულდა

პირველი კვარტლის დასრულებამდე ორი დღით ადრე, სახელმწიფო ბიუჯეტი 104 პროცენტით შესრულდა. ლომის წილი ამ საქმეში არასაგადასახადო შემოსავლებმა, ანუ - პროკურატურის მიერ მხილებული ჩინოვნიკების მიერ გადახდილმა თანხებმა შეიტანა. არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრი 153 პროცენტითაა შესრულებული.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 29 მარტის ოფიციალური ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტში 278,61 მილიონი ლარია მობილიზებული. კვარტლის დასრულებამდე შესრულებულია ცენტრალური ბიუჯეტიც. გეგმით გათვალისწინებული 178 მილიონი ლარის ნაცვლად, ბიუჯეტში შესულია 193 მილიონი ლარი, რაც გეგმის 108 პროცენტია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 153 პროცენტითაა შესრულებული არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრი, თუმცა საგადასახადო შემოსავლების პარამეტრის შესრულებას 47,76 მილიონი ლარი აკლია. **"ბიუჯეტის შესრულება პრობლემად რჩება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა (შესრულდა გეგმის მხოლოდ 69.7 პროცენტი) და დედოფლისწყაროს, ხარაგაულის, ქარელის, დმანისისა და ახალქალაქის რაიონების საგადასახადო სამსახურებისათვის,"** - განაცხადეს სამინისტროში. 29 მარტის ოპერატიული მონაცემებით, საბიუჯეტო შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს "აფხაზეთის", "აღმოსავლეთის" და "სამხრეთის" რეგიონულმა საბაჟო სამსახურებმა.

*24 საათი*

## მოკლედ

### ზვიად გამსახურდიას დაბადების 65-ე წლისთავი წელს აჭარაში მოკრძალებულად აღნიშნეს

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 65-ე წლისთავი წელს აჭარაში მოკრძალებულად აღნიშნეს. ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე გუშინ, დილის 10.00 საათისთვის, მისივე სახელობის მემორიალი აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს. შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ცერემონიალს ასლან აბაშიძე არ ესწრებოდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, არც გრანდიოზული კონცერტი გაიმართება სახელმწიფო თეატრში, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა. **ინტერ-პრესი**

### აჭარის რესპუბლიკური საბჭოს ფრაქცია "ალტერნატივა" ხელისუფლების რეფერენდუმის გამართვას არ მიემხრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური საბჭოს ფრაქცია "ალტერნატივა" რეგიონის ამჟამინდელი ხელისუფლების მხარდაჭერის საკითხზე რეფერენდუმის გამართვის ინიციატივას არ მიემხრობა. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ აღნიშნა, ჯერჯერობით, ოფიციალურ დონეზე რეფერენდუმის ჩატარების საკითხი არ განხილულა და არ დანიშნულა სესია, რომელმაც მასზე უნდა იმსჯელოს. "რესპუბლიკური საბჭოს წევრებს საგანგებო სესიის დანიშვნის თაობაზე და დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის შეტანის შესახებ შეტყობინება, ჯერჯერობით, არ მიუღიათ, თუმცა ფრაქცია ამ ინიციატივას მხარს არც ერთ შემთხვევაში არ დაუჭერს", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

### ბრიუსელში საქართველოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის საკითხებს იხილავენ

საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარის რევაზ ბეშიძის ხელმძღვანელობით, ბრიუსელში იმყოფება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და ნატო-ს პარტნიორობის ახალი პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით. ახალ პროგრამაში განსაზღვრული იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის რეორგანიზაციის, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ სტრუქტურად გაერთიანების კონკრეტული ვადები. ცნობილია, რომ საერთაშორისო ექსპერტები მიუღებლად მიიჩნევენ საქართველოს გვარდიის, როგორც ცალკე დანაყოფის, არსებობას და იძლევიან რეკომენდაციას მისი თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებთან ან შინაგან ჯარებთან გაერთიანების შესახებ. მათივე რეკომენდაციით, მიზანშეწონილია სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების გაერთიანება. **მედია-ნიუსი**

### მძიმე მდგომარეობაში მყოფ პატიმართან ექიმს არ უშვებენ

გაერთიანებული ოპოზიციის - "ჩვენი აჭარის" ინფორმაციით, აჭარის შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი ჯელალ ქიქავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შეგახსენებთ, "ჩვენი აჭარის" წარმომადგენელი ჯელალ ქიქავა ბათუმში ვალტერ შვიმერის ვიზიტის დროს დააკავეს. მას ბრალად ედება იარაღის უკანონო შენახვა. ქიქავას დაკავების დღეს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებდნენ, რომ მისი სახლის ჩხრეკისას იარაღის დიდძალი არსენალი აღმოაჩინეს. აჭარელ სამართალდამცველთა ამ განცხადებას დღემდე კატეგორიულად უარყოფენ დაკავებულის ოჯახის წევრები, ახლობლები და მომხდარს პოლიტიკურ შეფასებას აძლევენ. "ქიქავას ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მიუხედავად ამისა, მასთან საკანში ექიმს არ უშვებენ", - აცხადებენ "გაერთიანებული ოპოზიციის -"ჩვენი აჭარის წევრები". **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ამერიკის ელჩს რიჩარდ მაილსს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებმა საპარლამენტო არჩევნებში უხეში დარღვევების შესახებ მასალები გააცნეს. გამყრელიძის თქმით, რიჩარდ მაილსი საკმაოდ დეტალურად არის ინფორმირებული საპარლამენტო არჩევნებში დაშვებული დარღვევების თუ სხვა ნებისმიერი პროცესის შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა და სოხუმის ხელისუფლებამ "ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ" მემორანდუმი გააფორმეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მექანიზებული ბრიგადის დაარსების მე-12 წლისთავი აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით, სამხედრო ბაზაზე გაიმართება რამდენიმე საზეიმო ღონისძიება, რომელზეც ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეები არიან მიწვეულნი. ბოლოს კი გაიმართება საჩვენებელი წვრთნები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" მხარდამჭერები ბათუმიდან თბილისისკენ მშვიდობიანი მსვლელობის გამართვას გეგმავენ. როგორც აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა განაცხადა, მსვლელობა მშვიდობიანი იქნება და გავრცელებული ინფორმაცია, აქციის მონაწილეების შესაძლო შეიარაღების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, თავდაცვის მინისტრი სერჟ სარქისიანი ხუთშაბათს, თბილისს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

სერჟ სარქისიანი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან ვანო მერაბიშვილს შეხვდება. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. მესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადსხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




**ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი**

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროსვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# რაში იხარჯება გზების აღდგენისთვის გამოყოფილი კრედიტები?!

პირველი გვერდიდან

საქართველოს გზები განსაკუთრებული კარგი მდგომარეობით არც კომუნისტების მმართველობის პერიოდში გამოირჩეოდა, თუმცა დამოუკიდებლობის დღიდან მათი ნგრევა ახალი მასშტაბებით დაიწყო, განსაკუთრებით - სამოქალაქო ომის დროს, რომლის დროსაც საქართველოს გზების უმეტესი ნაწილი საბრძოლო მანქანებით "გადაიხნა". არადა, ტრანზიტული ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი სწორედ საერთაშორისო სტანდარტების გზები უნდა ყოფილიყო. ცხადია, ამ სტანდარტის მიღწევას წლიდან წლამდე გარღვეული ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფდა; ამიტომ განსაკუთრებული იმედები იყო დამყარებული იმ საერთაშორისო კრედიტებზე, რომელთა მიღებაც საქართველომ 2000 წლიდან დაიწყო.

2000 წელს გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის. ამ ხელშეკრულებით, განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ საქართველოს საავტომობილო გზების პროექტისთვის შეღავათიანი სესხის სახით გამოუყო 40 მილიონი დოლარი. ამ პროექტით ქართულმა მხარემ 30-პროცენტიანი თანადაფინანსების ვალდებულება აიღო.

მეორე მიმართულების მიხედვით, კუვეიტის ფონდმა (მსოფლიო ბანკის რეკომენდაციითა და გარანტიით) საქართველოს გზებისა და გარკვეული მონაკვეთების რეაბილიტაციისთვის ასევე შეღავათიანი კრედიტი - 5 მილიონი კუვეიტური დინარი, ანუ დაახლოებით 16 მილიონი დოლარი გამოყო.

2000-2004 წლებში საქართველოს გზების მშენებლობა, ძირითადად, ამ ორი მიმართულებიდან დაფინანსდა.

## კუვეიტის კრედიტი

2000 წლისთვის საქართველომ საზღვარგარეთელ ექსპერტებს განსახილველად წარუდგინა შემდეგი მიმართულებები: თბილისისა და ფოთის შემოსავლელი გზები, ახალციხე-თურქეთის საზღვარი, სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის, ქსანი-აღაიანისა და მარნეული-სადახლოს მონაკვეთები.

უნდა აღნიშნოს, რომ კუვეიტის ფონდის ინტერესებში ვერ მოხვდა საქართველოს სამხრეთის მიმართულება და ქსანი-არაიანის მონაკვეთი. სავარაუდოდ, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ იმ სატრანზიტო მიზნებს, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, გაცილებით უკეთ აკმაყოფილებდა სხვა მიმართულებები.

კუვეიტის ფონდმა არჩევანი სამ მიმართულებაზე შეაჩერა: ფოთის შესავლელი გზის დამთავრება - 4,8 კმ-ის სიგრძის სახიდე გადასასვლელის აშენება მდინარე კაპარჭინაზე, მალთაყვასთან; სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის 57 კილომეტრის რეაბილიტაცია და მარნეული-სადახლოს 4-14 კილომეტრის რეაბილიტაცია.

2000 წლის 7 მარტს გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ფონდს შორის. სამი თვის შემდეგ მოხდა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტში. საგზაო დეპარტამენტმა ამის შემდეგ გამოაცხადა ტენდერი გზების რეაბილიტაციის პროექტზე და გამარჯვებულად გამოცხადდა ორი ფირმა - შპს "საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია" საქართველოდან და "კომბაინ გრუპი" კუვეიტიდან. მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა სათაო ფირმა - შპს "ჯორჯიან კუვეით როუდი".

რაც შეეხება თავად ფირმა "კომბაინ გრუპს": ეს ფირმა შეკვეთებს ასრულებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ინდოეთი, ჩინეთი, ერაყი, კუვეიტი, მალაიზია, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, მონღოლეთი, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნები; მაგალითად, ერაყში ამჟამად ახორციელებს 400 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს, ფირმა 25 წელია ფუნქციონირებს.

პროექტზე ზედამხედველობას, ანუ სამუშაოთა ხარისხზე, მოცულობასა და მიღებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საკონსულტაციო ფირმა "პან არაბ კონსალტინგ ინჯინერსი".

"ჯორჯიან კუვეით როუდის" მიერ განხორციელებული პროექტი სამი ლოტით შემოიფარგლა. მისი მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 23 მილიონ 888 ათასი დოლარით. პროექტის თანხები ასე გადანაწილდა - 18 მილიონ 493 ათასი დოლარი უნდა მოხმარებოდა უშუალოდ საგზაო სამუშაოებს. კუვეიტის ფონდი სამუშაოების ჩატარებისას ითხოვდა გზების არსებული პარამეტრების შენარჩუნებას და იმის გათვალისწინებას, რომ მასზე მძიმეწონიანი ტრანსპორტი მოძრაობს.



მსოფლიო ბანკში საქართველოს გზების რეაბილიტაციის ახალ პროექტს ამუშავებენ.

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე, შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობასა და მიღებაზე 1 მილიონ 613 ათასი დოლარი გამოიყო, საგზაო მოწყობილებებისთვის კი - 975 000 დოლარი. შთამბეჭდავია გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხა, რაც 1 მილიონ 842 ათას დოლარს შეადგენს, თუმცა პროექტის შემსრულებლები ირწმუნებიან, რომ ამ მუხლით ჯერ არაფერი გახარჯულა.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პროექტის დაწყებიდან დღემდე დახარჯულია 16 მილიონ 34 ათასი დოლარი. ამ თანხაში შედის 26,8 კმ ასფალტბეტონის სამუშაოები, 37 კმ-ზე დარჩენილია ერთი ფენა ასფალტის საფარი, 6 კმ-ზე - ორი ფენა. დარჩენილია "ასათვისებელი" 2 მილიონ 458 ათასი დოლარი.

## IDA-ის პროექტი

რაც შეეხება განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) პროექტს: ამ პროექტით გათვალისწინებული იყო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი გზის მონაკვეთებისა და ხიდების რეაბილიტაცია, რომელთა საერთო სიგრძე, დაახლოებით 400 კილომეტრს შეადგენდა. ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი ცაგარელის ინფორმაციით, პროექტის განხორციელება 2001 წელს დაიწყო და მისი დასრულება 2004 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

მსოფლიო ბანკის ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის მაგისტრალური გზის, ზუგდიდისა და ახალციხის მიმართულებით მონაკვეთების, თბილისი-ლაგოდეხის, მცხეთა-ლარსის, სენაკი-ლესელიძის, თბილისი-ლარსის, მარნეული-სადახლოს, თბილისი-სამტრედიის, ხაშური-ვალეს, თბილისი-მარნეულის, მცხეთა-ახალციხის, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის და სხვა მიმართულებების რეაბილიტაცია, რაშიც დაახლოებით 47,7 მილიონი ლარი დაიხარჯა. შეგახსენებთ, რომ ამ პროექტის თანადამფინანსებელი ქართული მხარე გახლდათ. ეს სამუშაოები, ძირითადად, ქართულმა ფირმებმა და კომპანიებმა ("თრიალეთი", "ტრანსვესტინჯინიირინგი 12", "გზამშენი 4", "ზიმო", `საგზაო რაზმი 44", "ხურო", "არქეოპოლისი", "კავკასმაგისტრალი") შეასრულეს.

## შედეგები და ახალი პროექტი

წელს ზემოთ მოხსენიებული ორივე პროექტი დასრულდება. ასე რომ, შედეგების შეჯამებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის დრო, ვფიქრობთ, დადგა.

დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე ათწლეულში, საქართველოს გზების ზოგადი მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, კვლავ არასახარბიელოა. ნებისმიერი ქართველი მძღოლი ამის თაობაზე თავის კომპეტენტურ მოსაზრებას არცთუ სასიამოვნო გამოთქმებით, ალბათ, მოგახსენებთ.

უკეთესი მდგომარეობაა ზემოთ მოხსენებულ პროექტებთან დაკავშირებით. მაგისტრალური გზების რეაბილიტაციის პროექტების მონიტორინგის შედეგებს ორივე შემთხვევაში მსოფლიო ბანკის ექსპერტები იბარებენ, მათ შემდეგ კი - სახელმწიფო მიმღები კომისია, რომელიც საბოლოო დასკვნას წერს. ცხადია, ქართული რეალობიდან გამომდინარე, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში მაინც უცხოელ ექსპერტთა აზრია.

"საავტომობილო გზების პროექტების" საზედამხედველო მისია საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ, მარტში გახლდათ ჩამოსული. მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ექსპერტები: ანტი ტალვიტიე, ხესუს რენზოლი, სატოში იშიჰარა, როდრიგო მასკარო, ჩარლზ ჰაიდარი, იცხაკ იბრაჰიმი და სხვები. ჯგუფმა დაადგინა: მიუხედავად საქართველოში შექმნილი მძიმე სიტუაციისა და იმისა, რომ გზების დიდი ნაწილი საშინელ მდგომარეობაშია, ზემოთ მოხსენიებული პროექტები "დადგენილ ვადებსა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში" ხორციელდება.

ანტი ტალვიტიეს განცხადებით - "საქართველოს ძირითადი მაგისტრალური გზების მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდა, თუმცა რეაბილიტირებულ გზებს შემდგომი მოვლა სჭირდება, ამას კი - შესაფერისი ბიუჯეტი". ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკმა მაგისტრალური გზების მდგომარეობა უკვე ნორმალურად მიიჩნია და მისი მოვლა-პატრონობა ახლა ბიუჯეტს გადააბარა. რამდენად შეძლებს ბიუჯეტი ამ ვალდებულების შესრულებას, ცალკე საკითხია.

თავად მაგისტრალურ (ვიმეორებთ - მაგისტრალურ და არა მთლიანად საქართველოს გზებზე) განხორციელებული სამუშაოს შეფასება, საბოლოო ჯამში, დადებითი იყო, რაზეც მეტყველებს მსოფლიო ბანკის სამომავლო გეგმებიც. როგორ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, "წარმატებულად განხორციელებული პროექტების" დასრულების შემდეგ მსოფლიო ბანკი საქართველოში ახალი პროექტის ამოქმედებას აპირებს და უკვე ამუშავებს ახალ პროექტს სახელწოდებით - "შიდა რესპუბლიკური და სოფლის გზების რეაბილიტაცია".

პროექტის დეტალებს ამუშავებს მსოფლიო ბანკის პროექტებში საზოგადოების მონაწილეობის სპეციალისტი სატოში იშიჰარა, რომლის თქმითაც, ახალ პროექტში საქართველოს მოსახლეობა მეტად უნდა იყოს ჩართული.

პროექტის ეკონომიკურ შეფასებას ახორციელებს მსოფლიო ბანკის ესპანური ფირმის "ინკოსას" წარმომადგენელი როდრიგო მასკარო. მისი ინფორმაციით, პროექტის ეკონომიკური შეფასება აპრილის დასაწყისისთვის დასრულდება. ივნისის ბოლოს კი, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ახალი პროექტის განხორციელების შესახებ მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. პროექტის ფულადი მოცულობაც მას შემდეგ გახდება ცნობილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გადასახადის გადამხდელებს 5 აპრილიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში პრობლემები შეექმნებათ, თუ ფისკალურ სამსახურებში ახალი კოდითა და კლასიფიკატორით ახალ ანგარიშებს არ გახსნიან. როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, ახალი ანგარიშების გახსნის პროცესი ხაზინის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ხორციელდება და გადასახადების გადახდის პროცედურების გამარტივებას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქართული წარმოების მსხლისა და ტარხუნის ლიმონათი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაიყიდება. "ყაზბეგი" ლიმონათის პირველ დიდ პარტიას ხვალ ფოთში ჩაიტანს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "რაოეესი" მზად არის, მე-10 ენერგობლოკის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხები გაიღოს. როგორც "ინტერ-პრესს" "რაოეესის" ქართულ შვილობილ კომპანია "თელასში" განუცხადეს, ორი წლის წინ აფეთქებული ბლოკის რეაბილიტაციას, დაახლოებით, 50 მილიონი დოლარი სჭირდება, რომლის გამოყოფის საკითხი, სავარაუდოდ, მომავალ წელს გადაწყდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" კომპანიის ირლანდიელმა მმართველებმა სტრუქტურული რეორგანიზაცია დაიწყეს და სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ გაფრთხილება კომპანიის ყველა თანამშრომელს გაუგზავნეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მე-9 ენერგობლოკის გაჩერებით ელექტროსისტემაში ახალი ენერგოკრიზისი არ დაიწყება. როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში განუცხადეს, ენერგოსისტემაში არსებული მოთხოვნა მოხმარებასთან დაბალანსებულია, ამიტომ ბლოკის გამორთვით დეფიციტი არ წარმოიქმნება. **ინტერ-პრესი**


**სს "თელასს" ესაჭიროება შემდეგი სახის მასალები შემდეგი დასახელებით :**

1. სასექციო ამომრთველი უჯრედი K-26 1500A, მუდმივ დენზე;
2. სასექციო ამომრთველი უჯრედი K-2500A;
3. საფიდერო უჯრედი K-26, 630A მუდმივ დენზე;
4. ალუმინის სალტე 100X10;
5. საყრდენი იზოლატორი ОФР-10;
6. ხერხი "დრუჟბა" (მსუბუქი);

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა 2004 წლის 6 აპრილამდე მოგვმართონ: სს "თელასი"; III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება; ტელ: 77 98 55 / 77 98 53 / 77 99 29; ფაქსი: 77 98 19 ან შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში.

შენიშვნა: ანგარიშსწორება მოწოდებული საქონლისთვის იწარმობს საქონლის შემოტანის შემდეგ, 40 დღის განმავლობაში.



## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**1 აპრილს, 14.00-დან 17.00 სთ-მდე:**
ფონიჭალის დასახლების, რუსთავის გზატკეცილის, სადგურის, სურგულაძის, ჟორდანიას, ლომინაძის, ღოღობერიძის, მარნეულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**2 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
აღმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), თამარ მეფის გამზირის(ნაწილობრივ), თევდორე მღვდლის, აგლაძის, ცაბაძის, დიდუბის, ევდოშვილის, ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, ფოცხვერაშვილის, გოგოლის, კლდიაშვილის, კონსტიტუციის, ნინოშვილის, აფხაზეთის, ჩიტაიას, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), გროზნოს, კაპანაძის, მამრაძის, მეუნარგიას, პალიასტომის, ქინქლაძის, ქურდიანის, სარკინეთის, თეთნულდის, ვეშაპურის, ზაზიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.



# უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში

"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში ანგარიშვალდებული იქნება საოპერაციო მენეჯერის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში პასუხისმგებელი იქნება ადგილებზე მოქმედი ხელმძღვანელობისა და ზედამხედველებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, პროაქტიური კონსულტაციების სახით, ყველა საქმიანობის მონიტორინგის გზით, რათა საქართველოში მოქმედმა სამუშაო ძალებმა განაგრძონ გარემოს დაცვის კონტროლის ყველა საჭირო ზომების მიღება, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც კომპანიის, ასევე საერთაშორისო, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოების გარემოსდაცვით სტანდარტებს. ამ თანამდებობაზე მომუშავე პირის სამუშაო ადგილი საქართველოში იქნება, თუმცა მას მოეთხოვება აზერბაიჯანში მოგზაურობაც.

იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უფროს საოპერაციო კონსულტანტთან გარემოს დაცვის დარგში (აზერბაიჯანი), რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მიმართ მიდგომათა შეთანხმებულობა.

**როლები და პასუხისმგებლობები**
ამჟამად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კონსულტაციები გაუწიოს ადგილზე მომუშავე მენეჯერებსა და ზედამხედველებს და განახორციელოს იმ პროცედურების და პრაქტიკის მონიტორინგი, რომლებიც აუცილებელია ISO 14001-ის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საოპერაციო HSO მენეჯმენტის სისტემების და მარეგულირებელი ორგანოების და ბრითიშ პეტროლეუმის გარემოსდაცვითი სტანდარტების განხორციელებისთვის
- განახორციელოს გარემოში ნარჩენების დაცლის შესახებ მონაცემების მონიტორინგი და განიხილოს ბუნებრივი გარემოს გამოკვლევები, რათა საჭიროებისამებრ რეკომენდაცია გაუწიოს მაკორექტირებელ ღონისძიებებს
- ჩაატაროს ოფიციალური და არაოფიციალური ინსპექციები და შემოწმებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაკვეთებზე, შეთანხმებული პროცედურების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად
- მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური ინციდენტების შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში და მოამზადოს ანგარიშები ამ ინციდენტების შესახებ
- მონაწილეობა მიიღოს საექსპლუატაციო ჯგუფის მიერ მანქანა-დანადგარების სუსტი მუშაობის გამოკვლევაში, როდესაც ასეთი მუშაობა დაუშვებელია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით
- მოამზადოს სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშები და შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ISO 14001 გარემოსდაცვითი დოკუმენტით
- მოამზადოს პრეზენტაციები საზოგადოების ინფორმირებისთვის, გარემოსდაცვითი ფორუმებისა და თანამშრომლებთან საუბრებისთვის და ჩაატაროს ტრენინგები ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის სფეროში
- იმუშაოს ადგილზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და კონსულტაციები გაუწიოს მათ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ყველა სახის საოპერაციო ღონისძიების ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება, მილსადენის არსებობის მთელი დროის განმავლობაში (მაგ. ნარჩენების მენეჯმენტი და გარემოში გამოტყორცნების კონტროლი)
- იყოს წამყვანი კოორდინატორი ადგილებზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და ნავთობის დაღვრის სფეროში კონტრაქტორებთან, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმების შედგენისას, სწავლებისას და დასუფთავების ოპერაციების დროს.
- დაამყაროს ადგილობრივი კავშირები ოპერატორებთან, პროექტებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ეკოლოგიური ლობირების ჯგუფებთან და სხვა კომპანიებთან, გარემოს დაცვის სფეროში
- დაესწროს საჯარო შეხვედრებს, როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის წარმომადგენელი ბინებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სფეროში

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს დაცვის სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**ადამიანური რესურსების დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**

# უკრაინაში საპრეზიდენტო მარათონი დაიწყო

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტობისათვის მებრძოლი ძირითადი კანდიდატები უკვე წელიწადზე მეტია, არ შეცვლილან. სოციოლოგიური გამოკითხვებით, მათი შანსები ასე გამოიყურება: "ჩვენი უკრაინა" - ვიქტორ იუშენკო - 22,3 პროცენტი; რეგიონების პარტია - ვიქტორ იანუკოვიჩი (მოქმედი პრემიერ-მინისტრი) - 13,2 პროცენტი; კომუნისტური პარტია - პიოტრ სიმონენკო - 11,6 პროცენტი;

აღსანიშნავია, რომ ვიქტორ იანუკოვიჩის მეორე ტურში გასვლის შანსები დღითიდღე მატულობს. ამასთანავე, თუ იგი სახელისუფლებო ძალების ერთადერთი კანდიდატი იქნება, პოლიტოლოგთა აზრით, მას 17,2 პროცენტი დაუჭერს მხარს, ხოლო იუშენკოს - 23 პროცენტი. შესაძლოა, სწორედ ამითაა განპირობებული ოპოზიციის გააქტიურება.

გუშინ, კიევში, მინისტრთა კაბინეტის შენობასთან, დაახლოებით, 12 ათასკაციანი მიტინგი გაიმართა. ორგანიზატორმა "ჩვენი უკრაინა"-მ მთავრობისაგან ბიუჯეტის 10 მილიარდი უკრაინული გრივნით გაზრდა მოითხოვა. იუშენკომ საპრეზიდენტო მარათონში მთავარი კონკურენტის მთავრობა უკრაინელი ხალხის ფულის მითვისებაში დაადანაშაულა.



კიევში საპროტესტო აქციები განახლდა.

გუშინვე, "ჩვენი უკრაინის" აქციას პრეზიდენტი კუჩმა გამოეხმაურა. პრეზიდენტი, იუშენკოს ბლოკის გუშინდელი პიკეტის კომენტირებისას, ერთგვარი ირონიით შენიშნავდა ბლოკის "პოლიტიკური ზრდის" შესახებ. **"მე ამას ვაფასებ, როგორც დიდ პროგრესს უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში,"** - განუცხადა კუჩმამ ჟურნალისტებს. იგი სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, რომ ოპოზიციამ ეკონომიკური მოთხოვნებით სწორედ მთავრობას მიმართა. **"მადლობა ღმერთს, "ჩვენი უკრაინა" მიხვდა, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა გარდაუვალი და შეუქცევადი პროცესია. ახალი კანონპროექტის თანახმად, ეკონომიკასთან დაკავშირებული მოთხოვნების ადრესატი სწორია - ესაა მინისტრთა კაბინეტი,"** - ამბობს პრეზიდენტი.

შესაძლოა, კუჩმა გულწრფელი იყოს და პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დაპირისპირებით ხალისობდეს კიდეც. მაგრამ, ასეა თუ ისე, იანუკოვიჩი მისი გუნდის ლიდერია და, შესაბამისად, გუშინ პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ მოწყობილი აქცია, პირველ რიგში, ლეონიდ კუჩმას პოლიტიკას ურტყამს.

ოპოზიციის გააქტიურებას დაემთხვა ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენისა და ფილანტროპის ჯორჯ სოროსის ვიზიტი უკრაინაში. იგი არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმზე დასასწრებად ჩავიდა უკრაინაში. მიუხედავად სოროსის უკრაინაში ვიზიტის გაცხადებული კეთილშობილური მიზნებისა, მისმა ერთ-ერთმა გამოსვლამ ინციდენტის გარეშე ვერ ჩაიარა. ორმა უკრაინელმა ახალგაზრდამ ცნობილ ამერიკელს მაიონეზის პაკეტები ესროლა. მოგვიანებით, ამ ინციდენტზე პასუხისმგებლობა ორგანიზაცია "ბრატსტვო"-მ აიღო. ინციდენტის გამო, ფორუმის გახსნა დაგვიანდა კიდეც. **"ეს უბრალო ინცინდენტი არ არის, ამის უკან ვიღაც დგას,"** - განაცხადა ჯორჯ სოროსმა შემთხვევის კომენტირებისას. თუმცა, მან არ დააკონკრეტა, ვის გულისხმობდა.

ჯორჯ სოროსის ვიზიტი უკრაინაში 29 მარტს დაიწყო და 2 აპრილამდე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში იგი უკრაინის თითქმის ყველა საზოგადო თუ პოლიტიკურ ფიგურას, მათ შორის - ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება. ნიშანდობლივია რუსული მედიისა და პოლიტიკოსების რეაქცია სოროსის ვიზიტზე უკრაინაში. ისინი დღემდე, საქართველოში მომხდარ რევოლუციას ამ ამერიკელს უკავშირებენ. თუმცა, თავად სოროსი ამგვარ ეჭვებს უარყოფს და აცხადებს, რომ რაც მოხდა, თავად ქართველი ხალხის ნება იყო და მისი ფონდი მხოლოდ დემოკრატიულ პროცესებს უწყობს ხელს. სოროსის შესახებ საუბარს უკრაინაში მყოფმა რუსმა დიპლომატებმაც კი ვერ აუქციეს გვერდი. რუსეთის ელჩმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ჩერნომირდინმა ჯორჯ სოროსის პიროვნებასა და მის მოღვაწეობაზე საკმაოდ თავშეუკავებლად ისაუბრა. როგორც ჩანს, რუსეთს "ვარდების რევოლუციის" უკრაინაში განმეორების ეშინია და ახლო სამეზობლოში სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნებას ყოველნაირად შეეცდება.

# რა უნდა იცოდე მიტინგის ჩატარებამდე რუსეთში

*როგორც გუშინ სახელმწიფო სათათბიროს მიერ პირველი მოსმენით დამტკიცებული კანონპროექტის 7 მუხლშია აღნიშნული, თუ ვინმე მიტინგის გამართვას აპირებს, მან აქციის ჩატარების თარიღამდე არაუადრეს 15 დღისა და არაუგვიანეს 10 დღისა, აღმასრულებელი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა აცნობოს. წერილობითი ფორმით უნდა იყოს განმარტებული აქციის გამართვის მიზანი და ფორმა, ადგილი, მანიფესტანტთა რაოდენობა, მათი მოძრაობის მარშრუტები, აგრეთვე, ღონისძიების დაწყებისა და დამთავრების დრო. საინტერესოა, რომ ორგანიზატორებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მეთოდებისა და ფორმების, სამედიცინო დახმარების ორგანიზების, ხმის გამაძლიერებელი აპარატურის გამოყენების შესახებ, ასევე, სრული ინფორმაცია ორგანიზატორებზე: გვარი, სახელი, მამის სახელი, მათი ადგილსამყოფელი და ტელეფონი.*

გუშინ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც გზებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შენობებთან და დიპლომატიურ მისიებთან მიტინგებსა და პიკეტების მოწყობას კრძალავს. კანონპროექტის "შეკრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და პიკეტირების შესახებ" მიღებას მხარი დაუჭირა 294 დეპუტატმა, 137 წინააღმდეგი იყო და ერთმა თავი შეიკავა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა იმ კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად კეთდება, რომელსაც "მშვიდობიანი, უიარაღო შეკრების, კრებების, მიტინგების, დემონსტრაციების, მსვლელობებისა და პიკეტირების" გამართვის უფლება ჰქვია. თუმცა, კანონპროექტის შინაარსი ავტორთა კეთილი სურვილების თაობაზე საფუძვლიან ეჭვს ბადებს. კანონპროექტში გრძელი ჩამონათვალია მოცემული, სადაც აქციების გამართვა არ შეიძლება. აკრძალულ ადგილთა ჩამონათვალში შედის: "ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება პრეზიდენტის რეზიდენციას, სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების, ფედერაციის სუბიექტთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, უცხოურ სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების მიერ დაკავებულ შენობებს". ამის გარდა, აქციების ჩატარება აიკრძალება სატრანსპორტო მაგისტრალების, ნავთობ/გაზსადენების, სურსათის გადასატანი გზების, ასევე ეკოლოგიურად საშიში საწარმოების მახლობლად. ერთადერთი, რაც ამ ჩამონათვალში შეიძლება არ შედიოდეს, სტადიონები და ტყე-პარკებია. რუსეთის ხელისუფლება მასობრივმა აქციებმა, ალბათ, ძალიან შეაწუხა.

თუმცა, რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ძნელია დაიჯერო, რომ რომელიმე ძალას შეუძლია ქუჩის აქციებით ხელისუფლება შეარყიოს. ეს ნაბიჯი, ალბათ, უფრო მომავლისთვისაა გათვლილი. რუსეთი დღესვე იქმნის ხვალინდელი მშვიდი ცხოვრების გარანტიებს. კანონპროექტში ავტორებს არ გამორჩენიათ კიდევ ერთი საგულისხმო დეტალიც: თუ დაგეგმილი აქციის ორგანიზატორებმა, ბოლოს და ბოლოს, მოიფიქრეს ქუჩის აქციისათვის არააკრძალული ადგილი, მათ ადგილობრივი ხელისუფლების 10-15 დღით ადრე გაფრთხილება მოუწევთ. თავის მხრივ, ადგილობრივი ორგანოები თუ ჩათვლიან, რომ აქციის ფორმა და მიზნები რუსეთის კონსტიტუციას, საზოგადოებრივი მორალის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და ზნეობას არ შეესაბამება, აქციის ჩატარების ნებართვაზე შეუძლიათ უარი უთხრან.

რუსეთში ბოლო დროს დამყარებულ რეჟიმს დასავლეთში "მართვადი დემოკრატია" შეარქვეს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ცნება დემოკრატიის ფასადად შენარჩუნებას გულისხმობს, გუშინდელის მსგავსი კანონების მიღებამ დასავლელ ანალიტიკოსებს, შესაძლოა, სხვა სახელის დარქმევა აიძულოს.

# ისლამ კარიმოვი - დასავლეთის შუააზიური საფრთხე

*უზბეკეთში ბოლო სამი დღის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა წარმოშვა როგორც ექსპერტებისა და მკვლევარების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ორშაბათს დილით ტაშკენტის ცენტრში, ბაზრის ტერიტორიაზე მომხდარი ძლიერი აფეთქება მეორე დღეს ქალაქის ქუჩებში ტერორისტებსა და სამართალდამცავებს შორის სისხლისმღვრელ შეტაკებებში გადაიზარდა და პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვეს ხელისუფლების ძალების გამარჯვებით დასრულდა. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ალყაშემორტყმულ სახლში ჩაკეტილმა ტერორისტებმა თავი აიფეთქეს. ეს კი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რამდენად სერიოზული საფრთხის წინაშე დგას უზბეკეთის ისედაც მყიფე სტაბილურობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ისლამ კარიმოვის დიქტატორული რეჟიმით არის განპირობებული. თუ რატომ, ამას ქვემოთ ვიხილავთ.*

ლევან ღირსიაშვილი

ცხადია, ჯერჯერობით, დაუდგენელ ტერორისტებს რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევა არ ჰქონდათ ჩაფიქრებული. სავარაუდოა, რომ ეს იყო გამაფრთხილებელი აქცია, როდესაც რამდენიმე რადიკალურად მოაზროვნე ადამიანმა დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში "გაისეირნა," პრეზიდენტის რეზიდენციიდან რამდენიმე ათეულ მეტრში სამთავრობო ძალებთან საათნახევრიანი ომი აწარმოა, რის შემდეგაც კაპიტულაციაზე უარი განაცხადა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს რომ უბრალო კრიმინალების გამოხდომა არ იყო, ყველასათვის ნათელია. ამას ყველა აღიარებს, თავად უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვიც. მისი თქმით, ტაშკენტში განვითარებული მოვლენების უკან საზღვარგარეთ ექსტრემისტული დაჯგუფებები დგანან. თითქმის ასეთივე მოსაზრება დააფიქსირა ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა რაშიდ კადიროვმაც. **"არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ტერორისტული აქტები დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და ერთიანი საკოორდინაციო ცენტრის მიერ კონტროლდებოდა, რომელიც, შესაძლოა, საზღვარგარეთ ფუნქციონირებდეს,"** - განაცხადა კადიროვმა.

ამ შემთხვევაში უზბეკეთის რეჟიმის ინტერესი მარტივი და ყველასათვის ნათელია. კარიმოვი, რომლის რეჟიმს ადამიანის უფლებების ინტენსიურ დარღვევებსა და დიქტატორული მეთოდებით მართვაში ადანაშაულებენ, საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის ტალღაზე მყარად დაჯდომას ყველანაირად ცდილობს. ამისათვის მას მუდმივად ესაჭიროება იმის მტკიცება, რომ მისი ქვეყანა საერთაშორისო ტერორისტების სამიზნეშია მოხვედრილი. როგორც ცნობილია, 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა უზბეკეთი ავღანეთში ბაზირებული ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად და თავის სტრატეგიულ პარტნიორად აქცია. უზბეკეთის ლიდერმაც მოვლენათა ამგვარი განვითარება, ეჭვგარეშეა, ალაჰის წყალობად მიიღო და მსოფლიო ჰეგემონისათვის ერთგულების დამტკიცებას შეუდგა. კარიმოვმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადასცა ვაშინგტონს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში განლაგებული ჰანაბადას სამხედრო-საჰაერო ბაზა, რამაც ამერიკელებს ავღანეთში ძალების გადასროლა და საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარება საკმაოდ გაუადვილა. შესაბამისად, თეთრი სახლის აქტიურმა მხარდაჭერამ ქვეყნის მართვის ძველებური მეთოდებით გაგრძელება ისლამ კარიმოვისთვისაც მარტივი გახადა.

ერაყულ და ავღანურ კამპანიებში ჩაფლულ ბუშის ადმინისტრაციას კარიმოვის დიქტატორული რეჟიმის კრიტიკისათვის ჯერ არ სცალია. პირიქით, ამერიკელებს უზბეკეთის თუნდაც მყიფე სტაბილურობა ამ ეტაპზე აშკარად ხელს აძლევთ. მაგრამ, ტაშკენტში განვითარებულმა სისხლიანმა მოვლენებმა ეს სტაბილურობა უკვე სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა.

იმ დროს, როდესაც ამერიკა ანტიტერორისტული კამპანიით



კარიმოვი აშშ-ს მხარდაჭერას ოპოზიციის დასათრგუნად იყენებს.

იყო გართული, უზბეკეთში ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვას შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს ევროპის საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაციები. უკონტროლო დაპატიმრებები, წამება, ჩხრეკები და ა.შ., ძირითადად, კარიმოვის ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგაა მიმართული. ხელისუფლების უპირველესი სამიზნე კი "ისლამური გათავისუფლების პარტიაა" (ჰიზბ უტ-ტახრირი), რომელიც კარიმოვის ხელისუფლებამ ტაშკენტის ტერაქტების ავტორად გამოაცხადა, თუმცა თავად ამ პარტიას მომხდარზე პასუხისმგებლობა არ აუღია.

ტაშკენტის მოვლენების მეორე დღესვე, 30 მარტს, გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "საერთაშორისო კრიზისულმა ჯგუფმა" გამოაქვეყნა მოხსენება უზბეკეთში გამეფებული ძალადობის შესახებ, რასაც, ძირითადად, თავად ხელისუფლება მიმართავს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. მოხსენებაში გარკვეითაა აღნიშნული, რომ "ჰიზბ უტ-ტახრირი"-ს რეიტინგი მოსახლეობაში საგრძნობლად იზრდება იმის ფონზე, რასაც მთავრობა ამ პარტიის წინააღმდეგ ახორციელებს. "საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი" უზბეკეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, "ჰიზბ უტ-ტახრირის" მიმართ თავის პოლიტიკას დაუყოვნებლივ გადახედოს. ანალიტიკოსების მტკიცებით, ამ პარტიის წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესები ყოველგვარი იურიდიული ნორმების უგულებელყოფით მიმდინარეობს. უფლებათადამცველები, ასევე, მოუწოდებენ ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უზბეკეთის ხელისუფლების ასეთ თავაშვებულ მოქმედებას.

მოძრაობა "ჰიზბ უტ-ტახრირი" ცენტრალურ აზიაში 1990-იან წლებში გამოჩნდა. მისი ფესვები ახლო აღმოსავლეთში უნდა ვეძიოთ. ეს ორგანიზაცია 50-იან წლებში იორდანიაშია დაფუძნებული, ამჟამად უკვე საკმაოდ მძლავრ სტრუქტურას წარმოადგენს და მისი ფილიალები აქტიურად მოქმედებენ ევროპის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ აფრიკაში და ინდონეზიაშიც კი. "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის" მონაცემებით, მარტო უზბეკეთში ეს ორგანიზაცია 7 ათასამდე აქტივისტს აერთიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ფილიალები თავისუფლად მოქმედებენ დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში, რუსეთში ის ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაშია შეყვანილი.

დასავლელი ანალიტიკოსების მტკიცებით, ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ უზბეკეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიები, უპირველეს ყოვლისა, პარტიის მზარდი რეიტინგით არის განპირობებული. "ჰიზბ უტ-ტახრირი" ერთადერთი პარტიაა, რომელიც ღიად და გახსნილად უპირისპირდება უზბეკეთის მთავრობას და პრეზიდენტ კარიმოვს. ამასთანავე, საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ ამ ორგანიზაციის პოპულარობა სწორედ ხელისუფლების დიქტატორული და რეპრესიული რეჟიმის არსებობით არის განპირობებული და თუკი დასავლეთის მთავრობები კარიმოვის ხელისუფლების მხარდაჭერას კვლავ გააგრძელებენ, შესაბამისად, "ჰიზბ უტ-ტახრირის" მომხრეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო ორგანიზაციის მოქმედება უფრო მეტად რადიკალური და ექსტრემისტული გახდება.

ამავე აზრს გამოთქვამს კიდევ ერთი გავლენიანი ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს უოთჩი." მის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში უზბეკეთის მთავრობის მიერ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეპრესიები დეტალურად არის აღწერილი. **"უზბეკეთის ხელისუფლება მშვიდობიან მუსულმანებს "ექსტრემისტებად" და "ვაჰაბიტებად" ნათლავს. მათ ციხეებში ყრიან საბოტაჟის, კონსტიტუციური წყობის დამხობის მცდელობის ან ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ბრალდებებით,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

ყოველივე ამას, რასაკვირველია, ემატება ის კორუფციული ჭაობი, რომელიც შუა აზიის ამ რესპუბლიკაში არსებობს. ოქროთი და ბამბით მდიდარი სახელმწიფოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო კარიმოვთან და მის გარემოცვასთან დაახლოებული კლანები კი უზომო ფუფუნებაში იმყოფებიან.

**"ყოფილი საბჭოთა ბიუროკრატის და "დემოკრატად" გადაღებილი ისლამ კარიმოვის რეჟიმი ცენტრალურ აზიაში სისასტიკით გამოირჩევა. "ტერორიზმის წინააღმდეგ" ბრძოლაში აშშ-ს ერთგული მოკავშირის - უზბეკეთის პრეზიდენტი, პირველი დათანხმდა, 2001 წელს ამერიკული ჯარები თავის ტერიტორიაზე განელაგებინა. მან ეს კარგად გამოიყენა ოპოზიციონერი ისლამისტების წინააღმდეგ რეპრესიების დასაწყებად, მიუხედავად იმისა, იყენებდნენ თუ არა ეს პარტიები მოქმედების მეთოდად შეიარაღებულ ბრძოლას. ამ რეპრესიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო მეტად შეავსო ტერორისტთა რიგები,"** - წერს ფრანგულენოვანი გავლენიანი გამოცემა "ლიბერასიონი."

საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი ტაშკენტში განვითარებულ მოვლენებში, რამაც საერთო ჯამში 42 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ერთმნიშვნელოვნად კარიმოვის დიქტატორულ რეჟიმს სდებს ბრალს. სწორედ მისი მმართველობის მეთოდების ბრალია, რომ უზბეკეთში ანტიდასავლური განწყობა დღითიდღე უფრო ძლიერდება და ისეთი რადიკალური ორგანიზაციები, როგორებიც "უზბეკეთის ისლამისტური მოძრაობა" და "ისლამური გათავისუფლების პარტიაა", მოსახლეობისათვის უფრო და უფრო პოპულარული ხდება. სიღარიბე, კორუფციის განუზომელი მასშტაბები და განათლების უმდაბლესი დონე, ფუნდამენტალისტებისათვის იდეალურად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

თუკი დასავლეთის მთავრობები და, პირველ რიგში, აშშ-ს ხელისუფლება დროულად არ დაიწყებენ მოქმედებას ამ პოტენციური საფრთხის აღმოსაფხვრელად, ანტიტერორისტული კოალიცია შუა აზიაში უდიდესი პრობლემის წინაშე დადგება. ერთის მხრივ, ავღანეთში განლაგებული კოალიციის ჯარები ზურგში მიიღებენ საკმაოდ კარგად ორგანიზებულ პარტიზანულ ფრონტს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის მყარი მხარდაჭერა ექნება და, მეორეს მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ შუა აზიაში მოქმედი რადიკალური დაჯგუფებების მიზანი - ცენტრალურ აზიაში ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნა - რეალურ საფრთხედ იქცეს.

# ვეტერანებისთვის თუ შევარდნაძის მეგობრებისთვის შექმნილი დეპარტამენტი?

*საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული დარღვევების გამოსავლენად ახლახან შვიდკაციანი საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. როგორც ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იური გალდავა აცხადებს, ვეტერანთა დეპარტამენტი შევარდნაძემ თავისი მეგობრების დასასაქმებლად შექმნა, მათ კი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში ათასობით ლარი გაფლანგეს, სახელმწიფო ჯილდოები სურვილისამებრ დაარიგეს და, ვეტერანების უფლებების დაცვის მაგივრად, მათი უფლებები დაარღვიეს.*

თამარ დვალი

**"საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, 1997 წელს შეიქმნა. შევარდნაძემ ეს დაწესებულება თავისი მეგობრების დასასაქმებლად შექმნა. მის თავმჯდომარედ გიორგი ციციშვილი დანიშნა, მოადგილედ კი - გურამ გვეტაძე. იმის მაგივრად, რომ ვეტერანთა უფლებების დასაცავად იზრუნონ, მოახდინონ მემორიალებისა და ძმათა სასაფლაოების აღწერა, დეპარტამენტში მხოლოდ მოწმობების გაცემით არიან დაკავებულები. თუმცა, ამ საქმესაც ვერ ართმევდნენ თავს. დეპარტამენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 98 ათას ლარს იღებდა. შემდეგ შევარდნაძესთან ჩააწყეს საქმე და დაფინანსება 229 ათას ლარამდე გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროში ამისი დამადასტურებელი დოკუმენტიც არსებობს. ყველაფრის მიუხედავად, დეპარტამენტმა ქალაქის მერიებსა და რაიონის გამგებლებს დაავალა, ვეტერანთა თითოეული პირადობის მოწმობის ასაღებად 2,5 ლარის ოდენობის გადასახადი გამოეყო. გორის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ ტლაშაძე სამი წლის განმავლობაში არკვევდა, თუ სად წავიდა გორის გამგეობის მიერ მობილიზებული 1300 ლარი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სამტრედიის, ზუგდიდის, კასპისა და ხონის გამგეობებიც, რომელთა თანხებიც დეპარტამენტმა გაფლანგა. მათ წარადგინეს პროექტი, რომლის მიხედვითაც, ანკეტების შევსება თავად უნდა ეწარმოებინათ; ამისთვის მათ დაფინანსებაც გაუზარდეს, მაგრამ ამ საქმეს კვლავ ვეტერანთა საბჭოები აკეთებენ,"** - აცხადებს საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე იური გალდავა. მისივე თქმით, დეპარტამენტში თითოეული ვეტერანის მოწმობის დასამზადებლად ზედმეტ თანხას - 10-15 ლარს ითხოვენ. გარდა ამისა, იგი გვეტაძეს სახელმწიფო ჯილდოების არასწორედ გაცემაშიც ადანაშაულებს. გალდავა მიიჩნევს, რომ გვეტაძე სახელმწიფო ჯილდოების გაცემის საკითხს ერთპიროვნულად წყვეტდა. მას, როგორც პოლიციის ყოფილ შეფს, "ღირსების ორდენზე" სამხედრო ვეტერანების ნაცვლად, პოლიციის ვეტერანთა უმრავლესობა ჰყავდა წარდგენილი. მისივე თქმით, დეპარტამენტში ჯილდოებს თავიანთი შეხედულებისამებრ არიგებდნენ. **"2000 წელს დეპარტამენტმა მიიღო კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის რეგლამენტი სათავისოდ მოირგეს,"** - აღნიშნავს გალდავა. იგი კანცელარიაში დაჯილდოებულ პირთა სიის გადახედვას და იმის გარკვევას აპირებს, თუ რამდენად კანონიერადაა ეს ჯილდოები გაცემული.


ვახო ბასილიას ფოტო

იური გალდავა.

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ გვეტაძე მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იური გალდავას კერძო ინტერესები ამოძრავებს: **"გალდავა ვეტერანთა საბჭოში ერთი თვის მოსული იყო, გორგასლის ორდენი რომ მოინდომა. კოლეგიამ ჯილდოს გაცემის საკითხი გადადო და ეს ადამიანიც მას შემდეგ არის დეპარტამენტის მიმართ კრიტიკულად განწყობილი. მინდა ვთქვა, რომ ჯილდოების გაცემა კანონიერად ხდება. ვეტერანთა საბჭოები ადგენენ კანდიდატურას, საქმე იხილება ჯერ პირველად ორგანიზაციაში, მერე საქალაქო ორგანიზაციაში, დეპარტამენტში კოლეგიაზე და ბოლოს მთავრობაში. ამ პროცედურების გავლის შემდეგ პრეზიდენტის ბრძანებულება გამოდის".**

რაც შეეხება პროექტს, რომლის მიხედვითაც, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს თავად უნდა ეწარმოებინა აღწერები და ამისთვის თანხაც მიიღო ბიუჯეტიდან, გვეტაძე შემდეგ განმარტებას იძლევა: **"ეს პროგრამა, დიდი ხანია, მომზადებული გვაქვს და ყოველ წელიწადს შეგვაქვს დასამტკიცებლად, მაგრამ უარს ვღებულობთ მის დაფინანსებაზე. ახლა გვპირდებიან, რომ 2005 წლისთვის ამ პროგრამას დააფინანსებენ. ამისათვის სულ 75 ათასი ლარია საჭირო. თუ ეს პროგრამა დაფინანსდა, მაშინ პრობლემებიც მოიხსნება და ვეტერანებს მოწმობის მისაღებად ფულის გადახდა აღარ მოუწევთ. ადრე 20 ათასი ლარი მივიღეთ ბიუჯეტიდან, რომლითაც კომპიუტერები შევიძინეთ. დარჩენილი თანხით დაღუპულთა ოჯახებზე გავცემთ ბარათებს. რაც შეეხება ბარათების დაგვიანებით გაცემას, ანკეტების შეფერხებით შემოტანა გვიშლის ხელს."**

მისივე განმარტებით, ადრე, როდესაც ფული უშუალოდ დეპარტამენტში შემოჰქონდათ, შეიძლებოდა მისი არამიზნობრივი გაფლანგვაც მომხდარიყო; ამის გამო, რამდენიმე თანამშრომელიც გაათავისუფლეს. ამჟამად თანხა, დეპარტამენის ნაცვლად, პირდაპირ ხაზინაში შედის და მისი გაფლანგვის საშიშროებაც აღარ არსებობს. ბიუჯეტიდან 229 ათასი ლარის მიღებას კი გვეტაძე აბსურდულს უწოდებს.

**" ასეთი ციფრი არ არსებობს. დეპარტამენტს არ შეიძლება ასეთი დაფინანსება ჰქონდეს. ჩვენ 700 ათასი ლარი გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აქედან 500 ათასი ჰოსპიტლის საკუთრებაა. ფაქტობრივად, აპარატის ხელფასისა და კომუნალური ხარჯების ფულს ვიღებთ,"** - ამბობს იგი.

სანამ ვეტერანთა დეპარტამენტი და საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო გაარკვევს, თუ რა ვალდებულებები აკისრია თითოეულ მათგანს, ათასობით ვეტერანი სახელმწიფოს მიერ დაწესებულ იმ მინიმალურ შეღავათსაც ვერ იღებს, რაც კანონიერად ეკუთვნის. 70 წლის რობერტ ებრალიძე მოწმობის მისაღებად, უკვე ერთი წელიწადია, თითქმის, ყოველ კვირა აკითხავს სამგორის ომისა და სამხედრო ძალების რაიონულ საბჭოს და, მოწმობის ნაცვლად, მხოლოდ დაპირებებს იღებს. მას ორჯერ დაუკარგეს მიტანილი საბუთები და ფულიც ორჯერ გადაახდევინეს. შემდეგ უთხრეს, - პირველად გხედავთ და არც თქვენი საბუთების შესახებ ვიცით რამეო... თითქმის, იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა პირველი ჯგუფის ინვალიდი პოლკოვნიკი ჩიტაია. მას მოწმობაში, ომის ინვალიდის ნაცვლად, სამხედრო ძალების ინვალიდი ჩაუწერეს, რის გამოც, დეპარტამენტში რამდენჯერმე მოუხდა მისვლა, თუმცა სიმართლე ვერ გაარკვია.

საინიციატივო ჯგუფის წევრები სახელმწიფოსაგან იმ კანონის შეცვლას მოითხოვენ, რომლის მიხედვითაც, შეღავათების მიღება ვეტერანებს მხოლოდ "პლასტიკური ბარათის" წარდგენის შემდეგ შეეძლებათ. ახლო მომავალში საინიციატივო ჯგუფის წევრები პრესკონფერენციას გამართავენ, სადაც ვეტერანთა დეპარტამენტში არსებული დაღვევების დამადასტურებელ დოკუმენტებს წარადგენენ.

***P.S*** *მას შემდეგ, რაც იური გალდავა "24 საათს" დაუკავშირდა საინიციატივო ჯგუფის მიერ მოპოვებული მასალების გასაცნობად, მას სამსახურში უხერხული სიტუაცია შეექმნა. გუშინ მან განცხადება დაწერა და სამსახურიდან გათავისუფლება ითხოვა.*

*საფეხურები*

# "ქართული ოჯახი თუ კიდევ ერთი რესტორანი"

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

თინათინ ასათიანი

გიორგი გელაშვილი ექვსი შვილის მამაა, მას სახლი არასდროს ჰქონია. მთელი ცხოვრების განმავლობაში მშობლებთან ერთად გირაოთი, ხან ქირით ქალაქის სხვადასხვა უბანში ცხოვრობდა. ამ 12 წლის წინათ მეტეხის აღმართის N2-ში მიტოვებულ სახლში დედ-მამასთან ერთად დასახლდა. სახლი მეტეხის ეკლესიის პირდაპირაა, სწორედ იქ, სადაც ახლა სასტუმროებსა და რესტორნებს აშენებენ.

1991 წელს გელაშვილებს ახლანდელი საცხოვრებლის მახლობლად პატარა ბინა ჰქონდათ დაგირავებული. ისე მოხდა, რომ სწორედ მაშინ, როცა ინფლაცია დაიწყო, მათ ბინა პატრონს მიაბარეს, გაუფასურებული ფული კი გამოუყენებელი დარჩათ. ბატონმა გიორგიმ იმ თანხით შარვლისა და პიჯაკის ყიდვა შესძლო. იმ დროისთვის გიორგი გელაშვილი მეტეხის აღმართის გვერდით არსებულ მონასტერში მსახურობდა. მონასტერმა ერთ-ერთი ფანჯრის ამოშენება გადაწყვიტა. წინამძღოლმა ბატონ გიორგის მოსაზღვრე ეზოში მდებარე სახლის პატრონის მოძებნა სთხოვა, რომ ნებართვა აეღოთ. გიორგი გელაშვილი ცხრა თვე ამაოდ ეძებდა ბინის პატრონს. მოგვიანებით ფანჯარა ამოშენდა, მიტოვებულ სახლში კი გელაშვილების ოჯახი დასახლდა.

გიორგი გელაშვილი შემდეგაც ცდილობდა, გაერკვია, ვის სახლში უწევდა ცხოვრება. აღმოჩნდა, რომ ამ ფართს სარეპეტიცოდ სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი იყენებდა. როცა კვარტეტმა თავის სარეპეტიციოს მიაკითხა, იქ უკვე დაოჯახებული გიორგი დახვდა ჩვილ ბავშვთან ერთად. **"კვარტეტმა რამდენჯერმე სცადა გამოვესახლებინეთ, მაგრამ მალე თავი დაგვანება და ჩვენ შორის არანაირი დავა აღარ ყოფილა. ამისთვის მათი ძალიან მადლობელი ვარ,"** - ამბობს ბატონი გიორგი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ადგილი, სადაც ახლა გელაშვილები ცხოვრობენ და სადაც ადრე სიმებიანი კვარტეტი რეპეტიციობდა, სულ სხვას ეკუთვნოდა.

**"ეს ბინა ვინმეზე რომ ყოფილიყო გაფორმებული, მე აუცილებლად დავცლიდი მას, მაგრამ ბინა ისნის რაიონის საკუთრება ყოფილა,"** - განმარტავს გიორგი გელაშვილი. სანამ უბინაობის პრობლემა ჰქონდათ, გელაშვილებს ბევრჯერ მიუმართავთ გამგეობისთვის ბინით უზრუნველყოფის თაობაზე, იქიდან კი გამუდმებით უარით ისტუმრებდნენ. მერე შესთავაზეს, მიტოვებული ბინა ეპოვათ, გამგეობისთვის შეეტყობინებინათ და იქ ცხოვრების საშუალებას მისცემდნენ.

გელაშვილები მიამიტურად არ მოქცეულან - ამ ბინის არსებობის შესახებ გამგეობას მათ არაფერი შეატყობინეს; მას შემდეგ კი, რაც ისნის გამგეობამ "უპატრონო" ბინის არსებობის შესახებ შეიტყო, მისი დაპატრონებისთვის მრავალწლიანი ბრძოლა დაიწყო. ბატონმა გიორგიმ გადაწყვიტა, ბედს არ დასჯერებოდა და მოძღვრის, მეგობრების რჩევით და, იმის გათვალისწინებით, რომ ბინა არც ერთ ადამიანს არ ეკუთვნოდა, თავისი უფლებებისათვის ბრძოლა გადაწყვიტა.

მეტეხის აღმართზე ცხოვრების ხუთი წლის თავზე, როცა გელაშვილებს უკვე სამი შვილი და ერთი უპატრონო ბავშვი ჰყავდათ აღსაზრდელად აყვანილი, ისნის რაიონის გამგებლობამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, - სარეპეტიციო დარბაზი ვინმე გიორგი გელაშვილმა ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიკავაო. 1996 წელს სასამართლომ გამგეობის სარჩელი დააკმაყოფილა და გელაშვილებს გამოსახლება დააკისრა. ბატონმა გიორგიმ განაჩენი გაასაჩივრა. ახალი პროცესი ისევ ისნის რაიონის გამგეობამ მოიგო. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, გელაშვილებმა ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართეს. ეს უკანასკნელი პრეზიდიუმში პროტესტით შევიდა. **"იმის საფუძველზე, რომ სამი შვილი მყავდა და ერთ უპატრონო ბავშვს ვზრდიდი, პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება ჩემი გამოსახლების შესახებ გააუქმა და გამგეობას საქმე ხელახალი განხილვისთვის უკან დაუბრუნა,"** - ამბობს გიორგი გელაშვილი.

მიუხედავად პრეზიდიუმის გადაწყვეტილებისა, ცოტა ხანში სასამართლოში სარჩელით კულტურის სამინიტრო შევიდა. იმ დროს მინისტრი ვალერი ასათიანი იყო. რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ისევ დააკმაყოფილა. მალე ბატონ გიორგის ქალაქის სასამართლოში უთხრეს, - აბსურდია, ერთი და იგივე ფართზე სხვადასხვა უწყება - გამგეობა და კულტურის სამინისტრო გედავებოდეთო. ამ ინფორმაციამ გიორგი გელაშვილი დააფიქრა და სამართლის შესწავლა გადაწყვიტა. ამის შემდეგ თავისი საქმის ადვოკატი გახდა. იგი ბევრჯერ მოატყუეს, ბევრი პროცესი მოიგო, ბევრიც - წააგო, თუმცა ფაქტი ერთია - ჯერჯერობით ბინის მესაკუთრე არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ფართს ბევრი იჩემებს, შეუძლებელია, ის ერთდროულად გამგეობას, კულტურის სამინისტროს, სიმებიან კვარტეტს, შპს "მშენებელ 21"-საც და თეატრსაც ეკუთვნოდეს.

დიდხნიანმა ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო, რომ ბინა დღეს ბ-ნი გიორგის მეუღლეზეა გაფორმებული. შპს "მშენებელი 21"-ის ახალი სარჩელი უკვე პრივატიზაციის გაუქმებას ითვალისწინებს, სასამართლო განხილვა კი 25 მარტსაა დაგეგმილი. დღეს გელაშვილებს ექვსი შვილი ჰყავთ, საკომპენსაციოდ კი მათ არანაირ ფართს არ სთავაზობენ. თუ სასამართლოზე ამ ოჯახის მოთხოვნას არ გაითვალისწინებენ, სამართალდამცავები დიდ ოჯახს ქუჩაში დატოვებენ.

თუკი ვინმეს ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრირება საზოგადოებაში მედიის საშუალებით" - კოორდინატორს, ირინა სიგუას. ტელ: 899555113.

## "საქართველოს ბანკი" საერთაშორისო ასოციაცია "კვალისა" და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის - ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრის პარტნიორი და თანადამფინანსებელი გახდა

"საქართველოს ბანკი" საერთაშორისო ასოციაცია "კვალისა" და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში მდებარე ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრის პარტნიორი და თანადამფინანსებელი გახდა, რაც ბანკის დახმარებით აღნიშნული ცენტრის აღჭურვას ავეჯითა და ტეკნიკური საშუალებებით მოიცავს.



ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ, მაგრამ ნაკლებად რეალიზებულ სფეროში - საგანმანათლებლო მიმართულებით ურთიერთკავშირის გაღრმავებას და ამ მხრივ უდიდესი პოტენციალის მქონე სახელმწიფოს - ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო გამოცდილების საქართველოს რეალობაში დამკვიდრებას, რაც დადებითად წაადგება ჩვენს ქვეყანას, "საქართველოს ბანკის" მენეჯერთა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაეჭირა აღნიშნული ცენტრისათვის და ასოციაცია "კვალთან" და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად ამ საგანმანათლებლო პროექტის თანამონაწილე გამხდარიყო.

- "საქართველოს ბანკი" და მისი ხელმძღვანელობა მოხარულია, რომ თბილისში ასოციაცია "კვალისა" და სახელმწიფო დეპარტამენტის ხელშეწყობით ფუნქციონირებს ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის პარტნიორი და მხარდამჭერი ამიერიდან "საქართველოს ბანკიც" იქნება, - ამბობს "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი.

- "საქართველოს ბანკის" მაგალითი გვერდში ამოუდგეს საგანმანათლებლო სფეროს, ვფიქრობ, მისაბაძი უნდა გახდეს ყველასათვის, რადგან დღეს საქართველოს პირველ რიგში ესაჭიროება განათლებული ახალგაზრდობა. ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც თავდაპირველად ასოციაცია "კვალის" მიერ სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით გაიხსნა, დღეს "საქართველოს ბანკის" მეშვეობით განახლებული სახით წარსდგება სტუდენტების წინაშე, რომელთათვისაც აქ ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის, - ამბობს ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტი შოთა ვაშაკიძე.



საქართველოში ერთადერთი, უნიკალური პროფილის მქონე საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც 2003 წლის სექტემბერში ასოციაცია "კვალის" ინიციატივითა და სახელმწიფო დეპარტამენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიხსნა, დღემდე უსასყიდლოდ ემსახურება ქართველ სტუდენტებსა და სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს, რომელთაც სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ ამერიკის მოწინავე უნივერსიტეტებში ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აღნიშნულ ცენტრში კომპეტენტური კონსულტაციებისა და მხარდაჭერის გარდა დაინტერესებული სტუდენტები ამომწურავ ინფორმაციას იღებენ ამერიკის საგანმანათლებლო სისტემის შესახებ, ეცნობიან იქ აპრობირებული თანამედროვე სწავლების მეთოდებს, აქვთ საშუალება ისარგებლონ სხვადასხვა პროფილის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებითა და მაღალი სიჩქარის ინტერნეტით.

ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ინგლისური ენის შემსწავლელი სპეციალური კურსები, რომლებიც საგანგებოდ არის გათვალისწინებული იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რასაც ამერიკული უნივერსიტეტები უცხოეულ სტუდენტებს უყენებენ.

გარდა ამისა, სხვადასხვა პერიოდულობით ცენტრი მასპინძლობს საქართველოში სტუმრად მყოფ ამერიკელ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც ქართველი სტუდენტებისათვის სპეციალურ სემინარებს ატარებენ. დღეისათვის აღნიშნული საგანმანათლებლო ცენტრისა და ასოციაცია "კვალის" დახმარებით ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში 30-მდე ახალგაზრდა გადის ბაკალავრიატის და პოსტ-ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამებს.

*მამუკა კახნიაშვილი*
**"საქართველოს ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი**

*მოკლედ*

## ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გადაწყვეტილებით, 2004 წლის პირველი აპრილიდან სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებსაც ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან, ევალებათ შემდეგი: ფონდს 24 საათის განმავლობაში მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამით მიღებული პაციენტების შესახებ. "ცხელი ხაზის" ტელეფონებია: **69-65-93** და **69-65-94**. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგარანტიო წერილი დაკარგავს ძალას და სტაციონარული მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ იქნება ანაზღაურებული.

სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, "ცხელი ხაზის" მეშვეობით, ფონდს აცნობოს პაციენტის სახელი, გვარი, მისამართი, დიაგნოზი, საგარანტიო წერილის ნომერი, საგარანტიო წერილის გაცემის თარიღი, მკურნალობის დაწყების თარიღი.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს კონტროლის მექანიზმის გამკაცრებას. ფონდის წარმომადგენლები, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, შეამოწმებენ პაციენტი რეალურად გადის თუ არა მკურნალობას სტაციონარში.

*ნონა მაისურაძე*

*ფოსტა*

## ქამრები ერთად შემოვიჭიროთ!

### ვარდების რევოლუციით შობილ მთავრობას

ბატონებო! ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თითოეული თქვენგანი მომავალ საქმიანობას ამ რთულ და მძიმე დროში წარუძღვებით პროფესიული პასუხისმგებლობითა და პატრიოტული შემართებით.

ასევე მჯერა, სწორედ გამიგებთ, თუკი ბიზნესის ან, უშუალოდ, მაღალანაზღაურებადი კერძო სექტორიდან ხალხის სამსახურში მოსულ პირებს შემოგთავაზებთ, რომ ის სხვადასხვა წარმომავლობის უცხოური შემოწირულობანი, რომლებიც მიზნობრივად არის მიმართული სრატეგიული მნიშვნელობის სტრუქტურების თანამშრომელთა ღირსეულად ანაზღაურებისთვის, გარდა სახელმწიფო მოხელის მიზერული ხელფასების ზრდისა, მოხმარდეს უნიათო ხელისუფალთა მოღალატეობრივი პოლიტიკით განსაცდელში ჩავარდნილ, აწ უკვე არსებული ობიექტური რეალობით, საპენსიოდ ან შემცირებისათვის განწირულ ხალხს.

ეს თქვენი (დანიშვნის შემდგომ 1500-2000 დოლარი), ხელფასებიდან დათმობილი წილი (ორი მესამედი მაინც) ბიუჯეტს საშუალებას მისცემს, დაუყოვნებლივ მცირედ გაზარდოს საარსებო მინიმუმზე 10-ჯერ (თუ მეტად არა) დაბალი საპენსიო თუ საკომპენსაციო განაკვეთი.

საკითხის გადაჭრის გადაუდებლობაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როცა ჩემს უწყებაში - წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტში ორმოცლარიანი თანამშრომლები მორჩილად გადიოდნენ ჩვევების გამოსავლენ ტესტირებას უცხოური მეთოდითა და კეკლუცი მენეჯერის მითითებით. თუმცა, ყველამ იცოდა, რომ 80 პროცენტს ეს გენეტიკური უნარი "არ აღმოაჩნდებოდა", და ხვალ ამ მოტივაციით გულდამშვიდებული გარემოს დაცვის მინისტრი ხელს მოაწერდა მათ 17 თუ 20-ლარიან საპენსიო განაჩენს (რაც სასიკვდილო განაჩენი შეიძლება აღმოჩნდეს მარტოხელებისთვის).

ამიტომ პირადად მე უმორჩილესად გთხოვთ, ერთხელ კიდევ გადმოდგათ ეს სიყვარულით გამსჭვალული ნაბიჯი ხალხისკენ, რომელიც ნათლად გამოხატული მხარდაჭერა გახდება გელათში პრეზიდენტის მიერ გაკეთებული მოწოდებისა - ხელისუფალთა და დანარჩენი საზოგადოების ერთ რეალობაში თანაარსობის შესახებ.

ეჭვგარეშეა, ეს ქმედება აამაღლებს თქვენ პიროვნულ ავტორიტეტს, ქვეყანაში განამტკიცებს ნდობასა და სამოქალაქო თანხმობას, ყოველ თქვენთაგანს მოგიტანთ ასე ნანატრ ისტორიულ აღიარებას. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხალხს საშუალება მიეცემა, შეიგრძნოს საკუთარი ხელებით დაკრეფილი ვარდების არა მარტო ეკლიანობა, არამედ მისი რევოლუციური სურნელი.

*პატივისცემით* ***გიორგი სურგულაძე*** *- თქვენი თანამოქალაქე, პირველი დღიდან ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერი, ექსპერტი ეკო-გეოლოგი, გეოლოგია-მინეროლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.*

**P.S.** მისასალმებელი იქნება, თუ თქვენს ამ წამოწყებას შეუერთდება წარმომადგენლობითი ხელისუფლების ნაწილი მაინც და თქვენთან ერთად "შემოიჭერენ ქამრებს".

# აკაკი ჩხაიძემ თავისუფლება იყიდა

*ქართული ციხე თანდათან მაღალჩინოსანი პატიმრებისგან ცარიელდება. გუშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო "საქართველოს რკინიგზის" ყოფილმა თავმჯდომარემ აკაკი ჩხაიძემ გენერალური პროკურატურისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს ერთობლივი შეთანხმების შემდეგ დატოვა.*

თამარ კაციტაძე

ექიმების დასკვნით, იშემიით, სტენოკარდიითა და დიაბეტით დაავადებულმა ჩხაიძემ წინასწარ პატიმრობაში სულ ორთვენახევარი გაატარა და, საბოლოოდ, როგორც მისი ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ირწმუნება, "თავისუფლება 3 მილიონ 17500 დოლარად იყიდა".

რატომ მიიღო გენერალურმა პროკურატურამ მაინცდამაინც დღეს ჩხაიძის გათავისუფლების გადაწყვეტილება, ჩვენთვის უცნობია. არადა, გავრცელებული ხმებით, რკინიგზის შეფი წინასწარი პატიმრობის შეფარდების მომენტშიც თანახმა იყო, გამოძიებისთვის გადაეხადა დღევანდელთან შედარებით საკმაოდ სოლიდური თანხა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ შეთანხმება არ შედგა...

თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და დიდი ოდენობით თანხების მითვისების ბრალდებით აკაკი ჩხაიძე მიმდინარე წლის 16 იანვარს დააკავეს, როცა ის ბათუმის საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადიოდა. ჩხაიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში აღიძრა, რის გამოც მან აჭარას შეაფარა თავი და გამოძიებისგან თავის დასაცავად "ბათუმური იმუნიტეტით" სარგებლობდა. მაგრამ, ბოლოს სამართალდამცველებმა ყველაფერი ჩხაიძის ფაქტობრივი მოტაცებით დაასრულეს და იგი "რეზბალნიცაში" გამოკეტეს.

ქართველი სამართალდამცველები აკაკი ჩხაიძეს საკმაოდ დიდ თანხებს ედავებიან. ყველაზე მცირე აქედან "საქართველოს რკინიგზასა" და ორ ჰესს - "ჩითახევ ბორჯომსა" და "ბჟილჰესს" - შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გადაცემული ქონებისათვის განკუთვნილი ერთჯერადი გადასახადის - 134 141 ლარის გადაუხდელობაა, რასაც სანქცია-საურავების სახით კიდევ 33 545 ლარი დაერიცხა. ამას ემატება რამდენიმე მილიონიანი ბრალდება, რომელიც აგრეთვე ორ ფირმასთან - "ალეგრა ტრანს ლიმიტედსა" და შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ"-სთან დადებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება. "საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას" ამ ფირმე-



*აკაკი ჩხაიძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.*

ბზე დაკისრებული გადასახადები შემოსავალში არ დაუფიქსირებია და არც ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაუხდიათ; შესაბამისად, ბიუჯეტის დანაკარგმა ამ შემთხვევაში 6 113 382 ლარი შეადგინა.

გადასახადების დამალვის ბრალდებას ემატება მუშთაიდის ბაღში მდებარე "საბავშვო რკინიგზის" ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობის გასხვისება კერძო ფირმაზე, რომლის მფლობელიც აკაკი ჩხაიძის ახლო მეგობარია. ამასთან, აუქციონი დაჩქარებული წესით, ვარდების რევოლუციის გამარჯვებისთანავე, 24 ნოემბერს ჩატარდა და ოთხსართულიანი შენობა სულ რაღაც 60 ათას ლარად გაიყიდა.

გარდა ზემოთ თქმულისა, აკაკი ჩხაიძეს ტრანსპორტის პროკურატურაში ვაგონების უკანონოდ დაჭრისა და ჯართად გაყიდვის გამოც ედავებიან.

ერთი სიტყვით, ეს ის ბრალდებებია, რაზეც გამოძიება დღემდე მუშაობდა, თუმცა, საბოლოოდ, იგი რკინიგზის შეფის ორ კონკრეტულ დანაშაულამდე მივიდა - 800 ათასი ლარის გადასახადების თავის არიდება და ვაგონების უკანონო ჩამოწერა-გაყიდვით სახელმწიფოსადმი 4 მილიონ 400 ათასი ლარის ზარალის მიყენება.

**"აკაკი ჩხაიძე დღეს წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს",** - განაცხადა ჩხაიძის ადვოკატმა გუშინდელ სასამართლო პროცესზე.

მიუხედავად იმისა, რომ თავად აკაკი ჩხაიძე სასამართლო შენობაში იმყოფებოდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სასამართლო სხდომას არც გუშინ დასწრებია.

საქმის რამდენიმე საათიანი განხილვის შემდეგ კი მართლმსაჯულებამ ჩხაიძის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მის დაცვის ქვეშ მყოფს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალა.

**"ფული იმიტომ გადავიხადეთ, რომ ჩხაიძეს აღმკვეთი ღონისძიება შეცვლოდა. გამოძიება გრძელდება და იმედი გვაქვს, რომ ჩხაიძის უდანაშაულობას დავამტკიცებთ და ფულსაც უკან დავიბრუნებთ",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში არჩილ კბილაშვილმა.

თუმცა, რკინიგზის ყოფილი შეფის უდანაშაულობასთან და თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით აბსოლუტირად საპირისპირო მოსაზრება აქვს გენერალურ პროკურორს ირაკლი ოქრუაშვილს.

**"ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩხაიძე მთლიანად თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი დევნისაგან. გამოძიების მასალების თანახმად, ჩხაიძემ ბიუჯეტის სასარგებლოდ 10 მილიონ ლარამდე უნდა გადაიხადოს",** - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა ჯერ კიდევ წინა დღეს მიცემულ ინტერვიუში.

მოუწევს თუ არა აკაკი ჩხაიძეს უკვე გადახდილი თანხისთვის კიდევ რამდენიმე მილიონის დამატება, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა ერთის თქმა უკვე თამამად შეგვიძლია: აკაკი ჩხაიძე დღეს გამოძიების ხელთ არსებული საქმეების გამო ციხეში აღარ მოხვდება; ხოლო იმ თანხას, რომელიც უკვე ბიუჯეტში ჩაირიცხა, მას აღარავინ დაუბრუნებს.

# გენერალურმა პროკურატურამ თერთმეტი წლის წინათ შეწყვეტილი საქმის ძიება განაახლა

*გენერალურმა პროკურატურამ თერთმეტი წლის წინათ აღძრული და შემდეგ შეწყვეტილი საქმეების გამოძიება განაახლა. თანაც, მართალია, გამოძიება ჯერჯერობით არ დასრულებულა, მაგრამ ხელახლა შეკრებილი მტკიცებულებები უკვე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გენერალური პროკურატურის მიერ წლების წინ შექმნილი მძიმე ბრალდებები გაქარწყლდება.*

ინგა ალავიძე

საუბარია თბილისის ომის შემდეგ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ 1992 წელს აღძრულ საქმეზე. როგორც ცნობილია, მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა საქართველოს პირველ პრეზიდენტს სამშობლოს ღალატში, უკანონო ბანდ-ფორმირების შექმნაში, ტერაქტების ორგანიზებაში, კონსტიტუციური წყობის დამხობისკენ მოწოდებასა და სხვა დანაშაულებში დასდო ბრალი. თუმცა, მძიმე ბრალდებებით დახუნძლული პრეზიდენტის საბრალდებო დასკვნა ვერ დაიწერა, რადგან მოგვიანებით საქმის ძიება ბრალდებული და ძებნილი პრეზიდენტის გარდაცვალების გამო შეწყდა.

მეორე საქმე, რომლის გამოძიებაც გენერალურმა პროკურატურამ წლების შემდეგ გაანახლა, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეა. როგორც ცნობილია, ამ საქმის ძიებაც წლების წინათ შეწყდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ ვერ გაიხსნა. გენერალურმა პროკურატურამ დაადგინა, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამჟამინდელი გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, 18 თებერვალს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებისა და მის მიმართ სამშობლოს ღალატის მუხლით აღძრული საქმეები გაერთიანდა და გამოძიება განახლდა. ერთი თვის მანძილზე გამოძიებამ არსებული 55 ტომი 400 ტომამდე გაზარდა. მათი დიდი ნაწილი პროკურატურის მიერ ადრე გამოძიებული "ზვიადისტთა" საქმეებია, ანუ გამოძიებამ გამოითხოვა ყველა იმ პირის საქმე, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ორგანიზებაში ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებდნენ. ამ საქმეთა რიცხვშია ლოთი ქობალიას საქმეც.

მიმდინარე გამოძიების დეტალებს გენერალური პროკურატურა მკაცრად ასაიდუმლოებს. თუმცა, გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის განცხადებით, უკვე გამოკვეთილია, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ აღძრულ საქმეში გამსახურდიას დასადანაშაულებლად მტკიცებულებები არ არსებობს. **"წინასწარ რაიმეს თქმა ნაადრევია, რადგან სამუშაო საკმაოდ შრომატევადია: დასაკითხია ასეულობით მოწმე, რომელთა ნაწილიც უცხოეთშია, შესასწავლია მტკიცებულებათა ბაზა; ერთი სიტყვით, უსერიოზულესი საქმეა, რომლის შესახებაც წინასწარ რაიმეს თქმა, ჯერჯერობით, შეუძლებელია, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აღძრული საქმე მტკიცებულებების სიუხვით ვერ გამოირჩევა, ამიტომაც ამ საქმეში არსებულ ცალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით ბრალდება შეიცვლება,"** - აცხადებს კახა კობერიძე, რომელიც საიდუმლოდ ინახავს, დაიკითხებიან თუ არა ყოფილი თანამდებობის პირები და ზვიად გამსახურდიას დაცვის ის წევრები, რომლებიც გარდაცვალების წინა დღეებში ზვიად გამსახურდიას ახლდნენ და რომლებიც არაოფიციალურად პრეზიდენტის მკვლელობის მონაწილეებად სახელდებოდნენ. **"დაიკითხება ყველა ის პირი, ვისი დაკითხვაც საჭირო გახდება,"** - ასეთია გენერალური პროკურორის მოადგილის პასუხი, რომელმაც ერთი "საიდუმლო დეტალი" მაინც გაამჟღავნა. **"ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ადგილიდან საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა ახლახან ამოიღეს ძალზე სერიოზული ნივთიერი მტკიცებულებები. გარდა ამისა, დადგენილია პრეზიდენტის საფლავის მდებარეობა და უახლოეს მომავალში ცხედარს ჩაუტარდება ექსგუმაცია, რის შემდეგაც ცნობილი გახდება გარდაცვალების მიზეზი, რაც თავის დროზე არ დადგენილა, რადგან ცხედარს ექსპერტიზა არ ჩატარებია,"** - ამბობს გენერალური პროკურორის მოადგილე.

გენერალური პროკურორის ბრძანებით, საგამოძიებო ჯგუფმა სამი თვის ვადაში (ანუ 19 მაისს) საქმის ძიება საბოლოოდ უნდა დაასრულოს. **"საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობა ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რადგან ამ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ უნდა გაუძლოს დროს,"** - ამბობს კახა კობერიძე.

იმ შემთხვევაში, თუ ახალი გამოძიება კოლეგების მიერ წლების წინ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, დადგება თუ არა გამსახურდიას საქმის ძველ გამომძიებელთა პასუხისმგებლობის საკითხი? ამ კითხვას გენერალური პროკურორის მოადგილე ასე პასუხობს: **"თუ აღმოჩნდება, რომ საქმე ხელოვნურად იყო შექმნილი, გამოძიება იმსჯელებს ყოფილ გამომძიებელთა პასუხისმგებლობის საკითხზეც".**


## კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს ობიექტზე მიმდინარე ყველა სამშენებლო სამუშაოს შესაბამისობას კონტრაქტის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პირობის - პროექტის "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის" (CHMP) მიზნებთან. კერძოდ, იგი განახორციელებს სამშენებლო ობიექტებზე არსებული არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების და მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას პროექტის CHMP-ის IV ფაზით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების საფუძველზე. საველე მეთვალყურე ანგარიშვალდებული იქნება "ბი-პი"-ს წინაშე და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის უსაფრთხო განხორციელებაში, არქეოლოგიურ და მიწისზედა ძეგლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის გზით. იგი ურთიერთობას დაამყარებს გარეშე დაწესებულებებთან მხოლოდ "ბი-პი"-ს თანხმობით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- მშენებლობისას მიწის სამუშაოების მონიტორინგის ჩატარება, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს უცნობი არქეოლოგიური მასალები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული დადებითი და უარყოფითი მონაცემების შესახებ ყოველდღიური ანგარიშების მომზადება.
- სამშენებლო სამუშაოების მიწისზედა ძეგლების დაცვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა.
- ობიექტის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციის მიცემა მშენებლობის კონტრაქტორისთვის ან/და გარემოსდაცვითი საველე ზედამხედველისთვის, CHMP-ის მიზნების მიღწევის მიზნით.
- გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებულ ტრეინინგის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.
- პროექტის სხვა საველე პესონალისთვის მითითებების მიცემა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების გათვითცნობიერების და დაცვის კუთხით.
- ყოველდღიური მონიტორინგის საქმიანობის აღრიცხვა და სპეციალური ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ ზედამხედველის საქმის კურსში ჩაყენება კონტრაქტორის მიერ კონატრაქტის პირობების შეუსრულებლობის ირგვლივ, რათა მან კონატრაქტორს ამის შესახებ სპეციალური გაფრთხილებები მისცეს.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება მარშრუტის სპეციფიკურ/ლოკალურ საკითხებზე.
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ სპეციალიზებული ინსტრუქციული და სახელმძღვანელო მასალების მომზადებაში.
- შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნულების და შემოღობვის დამზადება, განთავსება და შენარჩუნება არქეოლოგიური რესურსებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად.
- "არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა" და "ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისთვის" ფაქსით დროული შეტყობინებების გაგზავნა არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების მნიშვნელოვანი გვიანი აღმოჩენების შესახებ და ამ აღმოჩენების კოორდინირება აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამის წარმომადგენლებთან.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის წინასწარი შესწავლა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში ცხოვრებისთვის მზადყოფნა
- სასურველია გამოცდილება მილსადენის მშენებლობის მეთოდებში
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა
- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა (ანგარიშგება წარმოებს წერილობით და ზეპირად ინგლისურ ენაზე)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე არქეოლოგიური კვლევების და დაზვერვის სამუშაოების ჩატარების ფართო გამოცდილება
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში ან შესაბამისი მოვალეობის შესრულების კუთხით
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო მუშაობისთვის მზადყოფნა და უნარი და ობიექტზე კონტრაქტორის საქმიანობაზე ზემოქმედების უნარი
- საქმისადმი ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტური მიდგომა
- "ბი-პი"-ს პრინციპების და ძირითადი ღირებულებების კარგი ცოდნა და ველზე მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა
- MS Word-თან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, Microsoft Office-ის პროგრამების ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38


# გენერალურმა პროკურატურამ ბიუჯეტს 12 მილიონზე მეტი დაუბრუნა

პირველი გვერდიდან

გუშინვე სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა დავით კირვალიძემ დანაპირები შეასრულა და გენერალური პროკურატურის მიერ მოთხოვნილი თანხა - 50 ათასი ლარი ბიუჯეტში ჩარიცხა. ორი კვირის მანძილზე იგი პროკურატურის მიერ მოთხოვნილ 175 ათას ლარსაც გადაიხდის. გავრცელებული ინფორმაციით, "გადამხდელია" მისი ყოფილი მოადგილე ხუტა მამალაძეც, რომელსაც მილიონნახევარ ლარს ედავებიან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჰუმანიტარული დახმარების არამიზნობრივად განაწილების შედეგად ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის გამო აღძრულ საქმესთან დაკავშირებით გუშინ გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს დავით კირვალიძის ყოფილი მოადგილე, ახლა უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე. იგი პროკურატურაში მას შემდეგ მიიწვიეს, რაც პროკურატურის მიერ დავით კირვალიძის ეჭვმიტანილად გამოცხადება არასწორ ნაბიჯად შეაფასა. **"დავით კირვალიძე წესიერი კაცია, მით უმეტეს, რომ მე მისი მოადგილე ვიყავი და ვიცი, რასაც საქმიანობდა,"** - ასეთი იყო დავით შერვაშიძის შეფასება, რომელსაც გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა მაშინვე უპასუხა: **"დავით კირვალიძეზე ერთ ეპიზოდშია საქმე აღძრული. პროკურატურაში მოსვლა და ჩვენების მიცემა შერვაშიძესაც მოუწევს,"** - განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.

დავით შერვაშიძე გუშინ გენერალურ პროკურატურაში მოწმის სტატუსით საღამოს შვიდ საათზე დაიბარეს და მისი დაკითხვა გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

გენერალური პროკურატურა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნებს სამსახურებრივ გულგრილობაში ადანაშაულებს. საუბარია, 2001-2003 წლებში ჰუმანიტარული დახმარების მიღებისას სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტისათვის სოლიდური ზარალის მიყენებასა და იტალიიდან შემოტანილი ჰუმანიტარული დახმარების - მაკარონის, ბრინჯისა და ზეთის, რომელიც სოციალურად დაუცველ ფენებს უნდა დარიგებოდა - არამიზნობრივ განაწილებაზე.

*24 საათი*

# ბრალდებული მაღალჩინოსნები პატიმრობაში რჩებიან

თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით რამდენიმე დღის წინათ დაკავებულები - საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ლევან ქისტაური, სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე ლევან კალანდაძე და აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ბეროზაშვილი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რჩებიან. მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხს გუშინ საოლქო სასამართლოში, დაახლოებით, ექვსი საათის განმავლობაში განიხილავდნენ. ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატების მოლოდინი გამართლდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაკავებულთათვის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეცვლის მოთხოვნა.

დაკავებულთა ადვოკატები გუშინ მონდომებით ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მართლმსაჯულება, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფები გამოძიებას არ დაემალებოდნენ, ხელს არ შეუშლიდნენ, პირიქით - ობიექტურობის დადგენაში დაეხმარებოდნენ, სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის მაინც მკაცრი აღმოჩნდა.

**"საოლქო სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ქისტაურს, კალანდაძესა და ბეროზაშვილს საკმაოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულში ედებათ ბრალი. გათავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, მათ გამოძიებას ხელი შეუშალონ, ამიტომ ითხოვდა ბრალდების მხარე მათთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას",-** ასე შეაფასა გუშინდელი გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალმდებელმა.

შეგახსენებთ, რომ ლევან ქისტაურს, ლევან კალანდაძესა და გიორგი ბეროზაშვილს გამოძიება 900 ათასი ლარის ღირებულების აქციზური მარკების არაკანონიერად გაცემაში ედავება.

**"სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ბოლო დროის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოსამართლეების პოზიცია პროკურატურის პოზიციას ემთხვევა. მოსამართლეები სასტიკი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან და უჭირთ ობიექტური გადაწყვეტილებების გამოტანა. უკანონო პატიმრები ევროსასამართლომ უნდა განსაჯოს. ჩვენ ვეცდებით, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ყველა უკანონო პატიმრის საქმე ევროსასამართლოში გავგზავნოთ. ეს იქნება ერთადერთი საშუალება, რომ პროკურატურამ უკანონო ქმედებებისგან თავი შეიკავოს",** - ასეთ ერთნაირ პოზიციაზე იყვნენ გუშინ წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დატოვებული ყოფილი მაღალჩინოსნების ინტერესთა დამცველები, რომლებიც საკუთარი კლიენტების დაცვას არგუმენტებითა და საქმეში არსებული მასალების მოშველიებით მაქსიმალურად ცდილობენ.

ქისტაურთან, კალანდაძესა და ბეროზაშვილთან ერთად, აქციზური მარკების მაქინაციების საქმეში კარგა ხნის განმავლობაში ეჭვმიტანილად იყო ცნობილი საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი იასე ზაუტაშვილი, რომელიც გამოძიებას ემალებოდა და სასამართლოს მიერ დაკითხვაზე მისი იძულებითი წესით წარდგენის ბრძანების გაცემიდან ერთი კვირის თავზე ნებაყოფლობით გამოცხადდა გენერალურ პროკურატურაში, საიდანაც იგი წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. ზაუტაშვილს უკვე ავტომატურად აქვს შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა, თუმცა მოსამართლეს შეუძლია, რომ აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა - სხვა უფრო მსუბუქი ფორმით შეცვალოს. ამ საკითხზე სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

როგორც იასე ზაუტაშვილის ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე ირწმუნება, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მზად არის, ბიუჯეტის სასარგებლოდ სადავო თანხა გადაიხადოს.

**"იასე ზაუტაშვილი ითანამშრომლებს გამოძიებასთან და ხელს შეუწყობს საქმის ყველა გარემოების დადგენას",** - აცხადებს ადვოკატი.

*24 საათი*

# ასლან აბაშიძის მორიგი გამოწვევა

პირველი გვერდიდან

რომ რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი - "პარლამენტის, არანაკლებ 200 ათასი ამომრჩევლის, ან საკუთარი ინიციატივით". ანალოგიური ჩანაწერი არსებობს საქართველოს კონსტიტუციაშიც. ასე რომ, ერთ რომელიმე რეგიონში მისი ხელმძღვანელის "ინიციატივის" საფუძველზე რეფერენდუმის ჩატარება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას.

სხვათა შორის, ასლან აბაშიძე აღნიშნული "ინიციატივით" პირველად როდი გამოდის, - ავტონომიის მეთაური 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების წინაც აცხადებდა, რომ თუ მისი შედეგები მიუღებელი იქნებოდა, რეფერენდუმს ჩაატარებდა.

ასლან აბაშიძის გუშინდელმა განცხადებამ თავად "აღორძინების" წარმომადგენლებიც კი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა: ავტონომიის მეთაურის განზრახვას ისინი ვერც ეთანხმებიან და ვერც აკრიტიკებენ.

**" ეტყობა, ასლან აბაშიძე აჭარის კონსტიტუციაზე დაყრდნობით აპირებს მოქმედებას, თუმცა ეს დოკუმენტი წაკითხული არა მაქვს და კომენტარის გაკეთება მიჭირს. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ როდესაც განცხადებას აკეთებდა, აბაშიძეს რეფერენდუმი კი არა, პლებისციტი ჰქონდა მხედველობაში,"** - აღნიშნავს ფრაქცია "აღორძინების" წევრი, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა პაიჭაძე.

**"ამ განცხადების თაობაზე საქმის კურსში არა ვარ. ბატონ ასლანთან დავაზუსტებ და მოგვიანებით მოგახსენებთ,"** - აცხადებს თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჰამლეტ ჭიპაშვილი.

ასლან აბაშიძის თანამოაზრეთაგან განსხვავებით, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის "ნოვაციაზე" კონკრეტულად საუბრობენ ცენტრალური ხელისუფლებისა და სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები.

**"ასლან აბაშიძეს მოსახლეობის აზრის გაგების მიზნით შეუძლია ერთგვარი გამოკითხვის - პლებისციტის ჩატარება, რომელიც არანაირი იურიდიული შედეგის მომტანი არ იქნება. რეფერენდუმის მოწყობის უფლებამოსილება კი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს არ გააჩნია,"** - კატეგორიულია იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი.



ზაურ გელაშვილის ფოტო

*შარშან ნოემბერში ამასაც ხმების დაცვა ერქვა, თუმცა ცოტა ხანში ცხადი გახდა, რომ ეს ხალხი აბაშიძის რეჟიმს იცავდა.*

"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი აბაშიძის განცხადებას იმ საკანონმდებლო ომის გაგრძელებად მიიჩნევს, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა გამოუცხადა.

**"28 მარტს ასლან აბაშიძეს უკვე ჩაუტარეს რეფერენდუმი აჭარაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა და აბაშიძემ ეს რეფერენდუმი წააგო. ავტონომიის ხელმძღვანელის ყოველი მცდელობა - გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა, მარცხისთვის არის განწირული,"** - აცხადებს ბერძენიშვილი და ასლან აბაშიძეს შეახსენებს "დანაპირებს", რომ საქართველოს პარლამენტი უახლოეს ხანში მიიღებს საკონსტიტუციო კანონს, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოების ფორმატი განისაზღვრება.

ასლან აბაშიძის სარეფერენდუმო განაცხადმა არასამთავრობო სექტორიც ვერ "აღაფრთოვანა". "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის თინათინ ხიდაშელის თქმით, აჭარის კონსტიტუციაში არსებობს ასეთი ჩანაწერი: "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური წყვეტს რეფერენდუმთან დაკავშირებულ საკითხებს", თუმცა ასლან აბაშიძის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის მოტივაციად ესეც კი არ გამოდგება.

**"აჭარის კონსტიტუციაში წერია "წყვეტს" და არა "ნიშნავს". როგორც ხედავთ, ასლან აბაშიძე აჭარის კონსტიტუციასაც კი ვერ დაეყრდნობა, თუმცა მასში სათანადო ჩანაწერი რომც არსებობდეს, არც ამას ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა,"** - განმარტავს თინათინ ხიდაშელი.

# მამუკა ჭინჭარაძე ახალ ვერტმფრენს იყიდის

პირველი გვერდიდან

- განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა. იმის შესახებ კი, თუ 20 მარტს, ბაკურიანში, რა ვითარებაში დაზიანდა ვერტმფრენი, ვანო მერაბიშვილმა არაფერი იცოდა. ინციდენტის დეტალების დასაზუსტებლად, იგი ჟურნალისტებს გენერალური პროკურორისა და თავად ჯინჭარაძის მისამართით მიუთითებდა. ამ უკანასკნელმა კი გუშინ მხოლოდ იმის გახსენება შეძლო, რომ ბაკურიანში გასამგზავრებლად ვერტმფრენით ადრეც უსარგებლია. დანარჩენი კი (იჯდა თუ არა ბიზნესმენი ვერტმფრენის საჭესთან თავად? ან მოეკითხებათ თუ არა პასუხი სამსახურებრივი ვერტმფრენის არამიზნობრივად გამოყენებისთვის უშიშროების უწყების წარმომადგენლებს?), ჯინჭარაძის აზრით, გამოძიების დასადგენია. თავად ბიზნესმენმა უშიშროების უწყებას ახალი ვერტმფრენი უნდა უყიდოს. **"ძალოვანი უწყებების მხრიდან ჩემზე არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. ვერტმფრენის შეძენის სურვილი თავად გამოვთქვი,"** - აღნიშნა ჯინჭარაძემ. იგი ახლა იმაზე ფიქრობს, არჩევანი ფრანგული წარმოების ვერტმფრენზე შეაჩეროს თუ გერმანულზე. რამდენადაც ცნობილია, პროკურატურის მიერ მოწმის სახით დაბარებული ჯინჭარაძის ბედით სერიოზული დაინტერესება რუსეთის საელჩომაც გამოხატა.

საქართველოში ჯინჭარაძე იერუსალიმში, წმინდა მიწაზე, საპატრიარქოსთვის მიწების შეძენის შემდეგ გახდა ცნობილი. როგორც "სოციალისტების" ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი მაშინ რუსულ პრესაში აცხადებდა, ამ საქმისთვის საჭირო 225 ათასი დოლარიდან თავად მხოლოდ 25 ათასი გაიღო, დანარჩენი კი მამუკა ჯინჭარაძემ დაფარა...

ქობულეთში დაბადებულმა მამუკა ჯინჭარაძემ საკმაოდ ძლიერი ბიზნესმენის მდგომარეობამდე სერიოზული გზა განვლო. 1988 წელს, ქალაქ ნიჟნევარტოვსკში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, იგი ხილ-ბოსტნეულის ბაზაზე მტვირთავადაც კი მუშაობდა. ერთი წლის შემდეგ უკვე საკუთარი კოოპერაციული საწარმო შექმნა. 1992 წლიდან მისი კარიერა დახურულ სააქციო საზოგადოება "სლავტეკს" დაუკავშირდა, სადაც ბოლოს იგი უკვე ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე აღმოჩნდა. მამუკა ჯინჭარაძის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ბიზნეს-პარტნიორის როლში მისი მეუღლე ირინა მოიხსენიება. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ჯინჭარაძე ამ დროისთვის კვლავ ქალაქ ნიჟნევარტოვსკის სათათბიროს წევრია. თუმცა, ქალაქში უკვე გაჩნდა ხმები იმის შესახებ, რომ შესაძლოა, დეპუტატობიდან ჯინჭარაძის გამოწვევის საკითხიც დადგეს. ამის უფლება მოსახლეობას ელემენტარულად იმის გამო აქვს, რომ უკვე ნახევარი წელია, ჯინჭარაძე არც თავის ამომრჩეველს ხვდება და არც სათათბიროს სხდომებს ესწრება. როგორც ამბობენ, იმიტომ, რომ საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

*გამოხმაურება ბრალდებაზე*

# კორუფციასთან ბრძოლის გიორგი ბარამიძისეული მეთოდები

*როგორც ცნობილია, საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა განათლების სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობის მიმართ საქმე აღძრეს. რა კომენტარს უკეთებს ამ ბრალდებებს განათლების მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე ვლადიმერ სანაძე? "24 საათმა" დიდი ბრიტანეთიდან, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს, მისი წერილი მიიღო.*

რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩემ წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, თუ არ ვცდები, ორი მუხლით. პირველი: თითქოს, თანამდებობა ბოროტად გამოვიყენე და 1999 წელს ქ. თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ ტენდერში მონაწილე კომისიის წევრებს იძულებით მივაღებინე არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება. მეორე: 1999 წელსვე განვახორციელე სახელმძღვანელო "დედა ენის" უკანონოდ შესყიდვა.

მიმაჩნია, რომ ბრალდებები ჩემ წინააღმდეგ გამოწვეულია ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული პირების პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების სურვილით.

მოკლედ, ვნახოთ, თუ რას მიაღწიეს პოლიციელებმა. პირველ "საქმეში" პოლიციელები ამტკიცებენ, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ ტენდერზე, რომელიც განახორციელა ქ. თბილისის პრემიერის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე მერიის ვიცე-პრემიერი იყო, მიღებულ იქნა არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება კომისიამ ერთხმად გამოიტანა. როგორც ჩანს, თვით ამ გადაწყვეტილებაში პოლიციელებმა ვერაფერი ცუდი ვერ დაინახეს, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე ფაქტის მიმართ კი არ აღძრეს, არამედ აღძრეს მხოლოდ ჩემ წინააღმდეგ და ყველაფერში მე დამადანაშაულეს. ჩემ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა შემდეგი მოტივით: თითქოს მე (რომელიც, როგორც თვითონ ამბობენ, კომისიის წევრი არ ვყოფილვარ), ბოროტად გამოვიყენე რა ჩემი თანამდებობა, ვაიძულე კომისიის წევრთა ის ნაწილი, რომელიც ჩემს დაქვემდებარებაში იყო, მიეღოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც იქნა მიღებული. რაც მთავარია, მევე ვაიძულე კომისიის წევრთა ის ნაწილიც, რომელიც არა თუ ჩემს დაქვემდებარებაში არ იყო, არამედ რანგით ჩემი თანამდებობის ტოლი, ან ჩემზე მაღალი თანამდეობა ეკავა, მიეღო, პოლიციელთა აზრით, არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება. მკითხველმა, ალბათ, უკვე თოფმოღერებულ მოძალადედ წარმომიდგინა, ვინაიდან, სხვანაირად ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, თანამდებობრივად დაქვემდებარებაში არ მყოფ პირებს აიძულო გადაწყვეტილების მიღება?! ან უფრო მეტიც, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით როგორ შეიძლება აიძულო გადაწყვეტილების მიღება თანამდებობრივად შენი დონის, ან შენზე მაღალი დონის თანამდებობის პირებს?! ამ გამოცანებზე პასუხს ალბათ პოლიციის შეფი გასცემს.

მეორე "საქმე" ეხება განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელო "დედა ენის" შესყიდვასა და დარიგებას. ლაპარაკია იმაზე, რომ, თითქოს, ეს შესყიდვა იყო ტენდერის გარეშე და, შესაბამისად, უკანონო.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 22 ბ მუხლის თანახმად, თუ "საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურეობის გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა", ტენდერის ჩატარება გათვალისწინებული არ არის. კონკრეტული სახელმძღვანელოს გამოცემის უფლება დროის მოცემული მომენტისათვის წარმოადგენს კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის ექსკლუზიურ უფლებას. ვალერიან რამიშვილის რედაქციით გადამუშავებული იაკობ გოგებაშვილის პირველი კლასის "დედა ენა", რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოს, არის ვალერიან რამიშვილის მემკვიდრეების საკუთრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ გარდა არავის არ ჰქონდა უფლება 1999 წელს გამოეცა ხსენებული სახელმძღვანელო. ვალერიან რამიშვილის მემკვიდრეებმა თავიანთი უფლება სამი წლის ვადით მიჰყიდეს გამომცემლობა "განათლებას", რაზეც შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა. ამ მომენტიდან წიგნის გამოცემაზე ექსკლუზიური უფლება ჰქონდა მხოლოდ გამომცემლობა "განათლებას". როგორც გამომცემლობა განათლების დირექტორმა ლუკა ხუნდაძემ თავის დროზე განმიმარტა, მას ჰქონდა წიგნის გამოცემის უფლება, მაგრამ არ გააჩნდა დასასტამბად საჭირო სახსრები, რის გამოც მან 1999 წელს "დედა ენის" დასტამბვის და რეალიზაციის უფლება მიჰყიდა გამომცემლობა "ლამპარს". ამ უკანასკნელმა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 1999 წლის მაისში დასტამბა სახელმძღვანელოს 55000 ეგზემპლარი. გამომცემლობა "განათლებასა" და გამომცემლობა "ლამპარს" შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, იმ წელს "დედა ენის" რეალიზაციის უფლება მხოლოდ გამომცემლობა "ლამპარს" ჰქონდა. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ "ლამპარმა" "განათლებისგან" დაბეჭდილი სახელმძღვანელო კი არ შეიძინა, არამედ მხოლოდ სახელმძღვანელოს ტექსტი და მისი დაბეჭდვისა და რეალიზაციის უფლება. ამიტომ შეცდომაა "ლამპარის" შუამავლად მოხსენიება.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სახელმძღვანელოს შესყიდვაზე ტენდერი ვერ გამოცხადდებოდა, რადგან დროის ნებისმიერ მომენტში ამა თუ იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს გააჩნდა მის გამოცემასა და რეალიზაციაზე ექსკლუზიური უფლება. პოლიციას, როგორც ჩანს, გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ "დედა ენა" განათლების სამინისტროს საკუთრება იყო და მის დასტამბვაზე სამინისტროს ტენდერი უნდა გამოეცხადებინა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად, აგვისტოს თვეში მოლაპარაკებას აღნიშნული შესყიდვების ირგვლივ ვაწარმოებდი მე, განათლების მინისტრის მოადგილე ვ. სანაძე. მოლაპარაკებაზე მოწვეულნი იყვნენ გამომცემლობების, "განათლებისა" და "ლამპარის" ხელმძღვანელები. აქვე გაირკვა, რომ გამომცემლობა "ლამპარმა", გამომცემლობა "განათლებასთან" შეთანხმებით, დასტამბა "დედა ენა" და მხოლოდ მას ჰქონდა ამ სახელმძღვანელოს რეალიზაციის ექსკლუზიური უფლება.

ამის შემდეგ განათლების სამინისტრომ შეისყიდა გამომცემლობა "ლამპარისგან" სახელმძღვანელო "დედა ენა" და 1 სექტემბრისთვის ამ სახელმძღვანელოს მთელ საქართველოში დარიგების მომსახურება. ფასი ასახავდა ორივეს, სახელმძღვანელოს და მომსახურებას. ყოველივე ეს გამომცემლობა "ლამპარმა" 1 სექტემბრისთვის განახორციელა კიდეც, რის შემდეგაც განათლების სამინისტრომ დაიწყო "ლამპარისთვის" ფულის გადახდა და დაასრულა მომდევნო წლის იანვრის თვეში.

პოლიცია შეეცადა თავისი "ბრალდების" კიდევ უფრო "დახვეწას" და ახლა შემდეგ სიბრძნეს ქადაგებს: ამბობს, აპრილში შეეძინა გამომცემლობა "განათლებისგან" განათლების სამინისტროს გამოცემის უფლება და სახელმძღვანელოს ტექსტი, მერე ტენდერის საშუალებით შეეძინა სასტამბო მომსახურება რომელიმე სტამბისაგანო, ამგვარად, საბოლოო პროდუქტი უფრო იაფი არ დაჯდებოდაო? ანუ გვთავაზობს, სამინისტროს მზა პროდუქცია კი არ შეეძინა, არამედ დაეწყო სამეწარმეო საქმიანობა და პროდუქციის ნაწილების შეძენით საბოლოო პროდუქციის ფასი შეემცირებინა. ის კი ავიწყდება პოლიციას, რომ სამეწარმეო საქმიანობა სამინისტროსათვის კანონით აკრძალულია. ასეც რომ არ იყოს, პოლიციის წინადადება, თითქოსდა ეკონომიკური თვალსაზრსით მომხიბლავი, სინამდვილეში არც ისე მარტივია. ჯერ ერთი, მსხვილი გამომცემელი, რომელიც სტამბას რამდენიმე ათეულ სახელმძღვანელოზე აძლევს შეკვეთას, სტამბას გაცილებით უკეთეს ფასად დაიქირავებს, ვიდრე სამინისტრო ერთი სახელმძღვანელოს შეკვეთით. მეორეც, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აპრილში წინასწარ გადახდილი ფულისა და სექტემბერ-იანვარში გადახდილ თანხებს შორის თვითონ ფულის ღირებულება, ანუ პროცენტი განა არ უნდა დაანგარიშდეს? ან რატომ ჰგონია პოლიციელს, რომ გამომცემლობა "განათლება" იმავე ფასად მიჰყიდდა სამინისტროს სახელმძღვანელოს, რა ფასადაც მის პარტნიორს მიჰყიდა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელმა მისგან რამდენიმე ათეული სახელმძღვანელო შეიძინა. განსაკუთრებით კარგად არის პოლიციელთა მიერ დაანგარიშებული ტრანსპორტირების ხარჯები. არ გაინტერესებთ, რა დაუჯდა "ლამპარს" რამდენიმე ტონა სახელმძღვანელოს დარიგება საქართველოს 68 რაიონის 3000-ზე მეტ სკოლაში? პოლიციელმა გამოიანგარიშა მანქანების რაოდენობა, გზის და საწვავის ღირებულების გათვალისწინებით და მიიღო 0 ლარი და 0 თეთრი. რა უნდა ვთქვათ, პოლიციელს ვერ გაამტყუნებ, მას ხომ ეკონომიკური განათლება არ აქვს.

რამდენიმე სიტყვა თარიღის შესახებ, თუ როდის გადაწყდა სახელმწიფოს მხრიდან "დედა ენის" შეძენა. პირველი საჯარო განცხადება ამის შესახებ, უნდა გამოგიტყდეთ, ჩემთვის პირადად სრულიად მოულოდნელი, გააკეთა საგაზაფხულო საპარლამენტო სესიის დახურვის დღეს პარლამენტის მაშინდელმა სპიკერმა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ. მე თარიღი ზუსტად არ მახსოვს, თუმცა ეს ივნისის ბოლო უნდა იყოს. ცხადია, სტენოგრამაში ეს ასახული იქნება. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ფინანსთა სამინისტრომ სახელმძღვანელოს შესაძენად თანხების შესაძლებელ გამონახვაზე ფიქრი და მხოლოდ აგვისტოს თვეში მოგვცა თანხმობა შესაბამისი ღონისძიების დაფინანსებაზე, რაც შემდეგ შეასრულა კიდეც. განათლების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მხოლოდ ერთობლივად ჰქონდათ ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების უფლება (საერთო პროგრამის 15 პროცენტის ფარგლებში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აპრილის თვეში განათლების სამინისტროს არც კანონი ავალდებულებდა სახელმძღვანელოს შეძენას, არც რაიმე თანხა გააჩნდა მის შესაძენად და, რაც მთავარია, არც იცოდა, რომ მათი შეძენა მოუწევდა.

ჩემს შესახებ მინდა განვაცხადო, რომ საქართველოდან მე არასდროს გავქცეულვარ. თანამდებობა დავტოვე პირადი განცხადების საფუძველზე. გასული წლის აპრილიდან კანონიერად ვცხოვრობ და ვმუშაობ ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში. ვარ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს გადასახადების გადამხდელი. ჩემი მისამართი რეგისტრირებულია ყველა ოფიციალურ ორგანოში და სრულ მოლოდინში ვარ, როდის გამოაცხადებს საქარველოს ხელისუფლება ინტერპოლის საშუალებით ჩემზე ძებნას და გამოაგზავნის ჩემს ექსტრადიციაზე მოთხოვნას. უფრო მეტიც, მე წინასწარ გავაფრთხილებ ინგლისის პოლიციას, რომ დიდი ალბათობით, ინტერპოლის ორდერი მოვა ჩემს დაკავებაზე და ძებნაზე დრო არ დაკარგონ. ცივილზებულ ქვეყნებში, მოგეხსენებათ, სასამართლომდე ხალხს ციხეში კი არ სვამენ, არამედ ხელწერილს აწერინებენ ქვეყნიდან გაუსვლელობაზე. ისე, ინგლისის კანონმდებლობის გათვალისწინებით, ექსტრადიციის მოთხოვნას, ცხადია, საქმის შინაარსიც უნდა მოაყოლონ და იმედია, ინგლისელი მოსამართლის გასაგებადაც განმარტავენ ჩვენი პოლიციელები, თუ როგორ შეიძლება ექსკლუზიური საქონლის შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადება და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით შენს დაქვემდებარებაში არ მყოფი ხალხის იძულება. ისიც ადვილი გასაგებია, რომ ამ "ბრალდებების" შემდეგ დემოკრატიულ სამყაროში ძნელად თუ ვინმეს შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩემ მიმართ საქართველოში პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

*ვლადიმერ სანაძე*

## კომენტარი

ბატონი ვლადიმერის განცხადებაზე, რომ ის სატენდერო კომისიის წევრი არ ყოფილა, გამომძიებლები კახა სირაძე და გია ერმაკოვი აცხადებენ, მისი კომისიის წევრობა დოკუმენტურად დასტურდება და ამას კომისიის წევრები და სხვა მოწმეებიც არ უარყოფენ. საქმის მასალებში არსებობს მისი ხელმოწერით დაფიქსირებული სატენდერო კომისიის წევრთა დასკვნა, სხდომის ოქმები, სადაც მისი მონაწილეობა ხელმოწერით დასტურდება. როგორც კომისიის წევრები ამბობენ, ის არა მხოლოდ მონაწილეობდა კომისიის სხდომებში, არამედ საზღვრავდა ტექნიკურ საკითხებსაც, ვინ უნდა ყოფილიყო მდივანი და ა.შ.

"დედა ენის" საკითხთან დაკავშირებით, გამომძიებელი ნესტორ მიქატაძე ადასტურებს, რომ ამ სახლმძღვანელოს გამოცემის ექსკლუზიური უფლება გამომცემლობა "განათლებას" ჰქონდა, თუმცა საქმე ეს არ არის. ბატონი ნესტორი შემდეგ კომენტარს აკეთებს: **"გამომცემლობა "განათლებამ" ჩვენ მოგვაწოდა გაანგარიშება, რომ ამ წიგნს 3 ლარად დაბეჭდავდა და გაყიდიდა. შესაბამისად, განათლების სამინისტროს პირდაპირ ამ გამომცემლობისათვის უნდა მიემართა, რადგან მან იცოდა, რომ ექსკლუზიური უფლება სწორედ მათ ჰქონდათ. მაგრამ სამინისტრომ ამ დროს ხელშეკრულება დაუდო შპს "ლამპარს", რომელიც შემდეგ წავიდა და ხელშეკრულება გამომცელობა "განათლებასთან" გააფორმა. ამის გამო, განათლების სამინისტროს ერთი წიგნის შეძენა ერთი ლარით მეტი დაუჯდა. გაფლანგული იქნა 61500 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიების დაფინანსება თავიდან განსაზღვრული არ ყოფილა. იგი სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებებში შეტანილი არ იყო. განათლების მინისტრის 1999 წლის 23 აგვისტოს ბრძანებით, ამ წიგნების დასაბეჭდათ თანხა სხვა ასიგნებიდან იქნა გამოყოფილი. მინისტრის ბრძანებაში განისაზღვრა წიგნის ფასიც; შპს "ლამპარს" ერთი წიგნისათვის 4 ლარი უნდა გადასცემოდა. ჩვენს მასალებში მოიპოვება დოკუმენტაცია, რომელიც გამომცემლობა "განათლებამაც" გამოგვიგზავნა და შპს "ლამპარმაც". ისინი ორივე ადასტურებენ, რომ ამ წიგნის სარეალიზაციო ფასი, ადგილზე მიწოდებიანად (და არა თვითღირებულება) 2 ლარსა და 98 თეთრს არ აღემატება."**

მერიდიანი

# მილიარდერები გისოსებს მიღმა

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, 4,9 მილიარდი დოლარი, რომელიც "პარმალატის" აქციონერებს ეკუთვნოდა, "ბენკ ოფ ამერიკას" სეიფებში არ აღმოჩნდა. ციხემ ტანციზე მძიმედ იმოქმედა. მისი ადვოკატის, ჯიამპიერო ბიანკონელას თქმით, ის ძალიან გახდა და ენას უკიდებს. "ექიმები შიშობენ, რომ ის შეიძლება ციხეში მოკვდეს," ამბობს ადვოკატი.

გისოსებს მიღმა აღმოჩნდა იაპონელი მილიარდერი იასუო ტაკეიც, ამომავალი მზის ქვეყნის უმსხვილესი საკრედიტო ფირმის ხელმძღვანელი, რომლის პირადი ქონებაც ექვს მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ის იმის გამო გაასამართლეს, რომ მისი ბრძანებით ფირმის თანამშრომლები უკანონოდ ისმენდნენ იმ ჟურნალისტების სატელეფონო საუბრებს, რომლებიც მის ბიზნესზე კრიტიკულ სტატიებს წერდნენ. ტაკეიმ სასამართლოზე თავისი ბრალი აღიარა და ჟურნალისტებს ბოდიში მოუხადა, მაგრამ სინანულმა იაპონელი შეილოკი ციხისგან მაინც ვერ იხსნა.

ჟურნალ "ფორბსის" მონაცემების თანახმად, მილიარდერთა ყველაზე დიდი რაოდენობა შეერთებულ შტატებშია ჩაწერილი. ამიტომ სულ არაა გასაკვირი, რომ დაპატიმრებული თუ სასამართლოს წინაშე წარმდგარი მილიარდერების უმრავლესობას ამერიკელები შეადგენენ. ეს მათი ნუსხაა, ვისაც თემიდამ განაჩენი უკვე გამოუტანა:

რიდ სტალკინი – ინვესტორი; პატიმრობის 14 წელიწადი;

დონ რასნაკი – "ოლფირსტ ფაინენშლ"; პატიმრობის 7,5 წელიწადი;

ალან ბონდი – "ალბრიონ კეპიტალ მენეჯმენტ"; პატიმრობის 12 წელიწადი;

სამუელ ვოკზალი – "ინკლონ სისტემს"; პატიმრობის 7 წელიწადი;

ბენ გლისენ-უმცროსი – "ენრონი"; პატიმრობის 5 წელიწადი;

სტივ მადენი – "სტივ მადენ შპს"; პატიმრობის 3 წელიწადი და 5 თვე;

დეიმს პატრიკ კონელი-უმცროსი – "ფრედ ელჯერ მენეჯმენტ"; პატიმრობის 1 წელიწადი და 3 თვე;

ალფრედ ტაუბმენი – "სოტბის"; ციხეში უკვე 1 წელი და 1 დღე იჯდა, გათავისუფლებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

ემერი ჰარისი – "ჰელსსოუტი"; 5 თვე;

ამ სიას ორი ქალბატონიც უნდა დავუმატოთ: ქალბატონი ჰელმელი, ნიუ იორკის უძრავი ქონების მაგნატი, რომელმაც სასჯელი უკვე მოიხადა, და ქალბატონი მართა სტიუარტი, რომელსაც ციხეში ჯდომა კიდევ მოუწევს.

ამჯერად მსჯავრდებულთა სკამზე უფრო მსხვილი ნადირი - "ადელფია კომიუნიკეშეინსის" ხელმძღვანელი ჯონ რიგასი, "ტაიკოს" ხელმძღვანელი კოზლოვსკი, "უორლდკომის" ხელმძღვანელი ბერნარდ ებერსი და "ენრონის" ხელმძღვანელი ჯეფრი სკილინგი სხედან. ისინი ყველანი უკვე ყოფილი ხელმძღვანელები არიან. ყველა ამ ჯენტლმენის მიერ მოპარული თანხა ერთიანობაში ჩვენს წლიურ ბიუჯეტს დიდად აღემატება.



კანონი ყველასთვის კანონია

დაბოლოს, ჯდომის ვეტერანი რობერტ ვესკო. 1973 წელს მან სამასიოდე მილიონი დოლარი მოიპარა და კოსტა-რიკაზე გაიქცა. ვესკო ციხეს ნიკარაგუაში, ბაგამებზე და ანტიგუაში ემალებოდა. შემდეგ მან კუბაზე ჩაუშვა ღუზა, როგორც ჩანს, იმ იმედით, რომ კუბელები საძულველ იანკებს არ გადასცემდნენ. კუბელებმა ის არ გასცეს, სამაგიეროდ, დააპატიმრეს. როგორც გაირკვა, ვესკო კუბის ფარმაცევტულ მრეწველობაშიც აფათურებდა ხელებს. ვესკო ციხიდან მხოლოდ 2009 წელს გამოვა.

ჩემ მიერ მოყვანილი პატიმრებად ქცეულ მაგნატთა სია სრული არაა. აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ოლიგარქებს წინასწარი პატიმრობა არ მოუხდიათ, თავად პატიმრობაც ფრიად კომფორტულია და, რაც მთავარია, მსჯავრდებულთა სკამზე მსხდომი ამერიკელი მაგნატები თავიანთ პრეზიდენტებს არ ერჩოდნენ, პირიქით, ზოგი მასთან ძალიან მეგობრობდა. ასე, მაგალითად, რობერტ ვესკო პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ძმაკაცი იყო, "ენრონის" ხელმძღვანელი ჯეფრი სქილინგი კი მრავალი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ორივე ბუშის ოჯახური ბანკირი ბრძანდებოდა, მამისაც და შვილისაც. ისინი "შენობით" მიმართავდნენ ერთმანეთს და განუყრელნი იყვნენ...

არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც იალტის კონფერენციის დროს სტალინმა ჩერჩილს ჰკითხა: "რა განსხვავებაა საბჭოთა და ბრიტანულ სისტემებს შორის?" ამბობენ, ბებერმა ბულდოგმა ასე უპასუხაო: "ჩვენ კანონი გვმართავს, თქვენ – ადამიანები". ასე თქვა, მოკლედ და გასაგებად.

# ვოტერგეიტ-კერიგეიტი?

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

კვირას, 28 მარტს, გვიან საღამოს ტელეარხ "სი ენ ენზე" სენსაციური ამბავი გასკდა. მწერალმა ჯერალდ ნიკოსიამ სან ფრანცისკოდან განაცხადა, რომ დაუდგენელმა პირებმა მისი სახლიდან რამდენიმე ათასი გვერდის რაოდენობით საბუთები მოიპარეს. ეს საბუთები ფედერალურ გამოძიებათა ბიუროს საკუთრება იყო და ვიეტნამის აგრესიის პერიოდში შეერთებულ შტატებში არსებული ანტისაომარი მოძრაობის თვალთვალს ეძღვნებოდა.

როგორ აღმოჩნდა ეს საბუთები მწერალთან? გასული საუკუნის 80-იან წლებში ნიკოსიამ დაიწყო მუშაობა წიგნზე, რომელიც ანტისაომარ მოძრაობას ეხება. 1988 წელს მან ფგბ-ს მიმართა და სათანადო საბუთები მოსთხოვა. თავისი მოთხოვნის კანონიერების დასამტკიცებლად მან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი მოიშველია. მწერალი და უწყება თერთმეტი წელი არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. საბოლოოდ, 1999 წელს, ნიკოსიამ ოც ათასზე მეტი საბუთი მიიღო, მართალია, ცენზურის მიერ მაგრად დამუშავებული. ამ მასალების საფუძველზე ნიკოსიამ დაწერა წიგნი "შინისკენ, ომში" (Home to War).

მწერლის მიერ გამოძახებულმა პოლიციელებმა დამნაშავეებს ვერ მიაგნეს. მათი თქმით, საბუთების მოპარვა "წმინდა წყლის პროფესიონალთა ნამუშევარი" იყო. იდუმალებით მოცულმა მძარცველებმა მთელი არქივი კი არა, 4-5 ათასი საბუთი მოიპარეს. მწერალი თვლის, რომ ისინი, როგორც ჩანს, მეზობლებმა დააფრთხეს, ან რამე სხვა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ შეუშალათ ხელი. ამჟამად ნიკოსია ნანობს, რომ მასმედიას მის ხელთ არსებული "ფეთქებადი" საბუთების შესახებ უამბო. ის არ გამორიცხავს, რომ მასთან სტუმრად მიბრძანებულ რეპორტიორებს შორის შეიძლება ჟურნალისტად გადაცმული მძარცველიც ყოფილიყო.

რატომაა მწერლის სახლიდან გატაცებული საბუთები "ფეთქებადი"? იმიტომ, რომ მათში ხშირად გვხვდება ჯონ კერის სახელი, რომელიც იმ წლებში აქტივისტი, ვიეტნამის ომის ვეტერანი იყო და ომის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამჟამად კერი მასაჩუსეტსის შტატიდან აშშ-ს სენატორია და, ფაქტობრივად, წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატიული პარტიის კანდიდატი გახლავთ. ჯერალდ ნიკოსიასთან დაცულმა ზოგიერთმა საბუთმა შეიძლება მილიონობით ამომრჩევლის თვალში კერის კომპრომენტირება მოახდინოს – საუბარია ამომრჩეველთა იმ ნაწილზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე ომის შესახებ მისგან განსხვავებული აზრისაა. ამ საბუთებზე დაყრდნობით სენატორი შეიძლება ერის მოღალატედ და მთლად ტერორისტადაც კი წარმოაჩინონ! ასე, ერთ-ერთ საბუთში საუბარია კერის საიდუმლო ვიზიტზე პარიზში, იმის შესახებ, რომ საფრანგეთის დედაქალაქში ის ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებს შეხვდა. იმავე დოკუმენტში მოყვანილია კერის სიტყვები პრეზიდენტ ნიქსონის შესახებ – ის მას "აბსოლუტურად ამორალურ პიროვნებას" უწოდებს. კიდევ უფრო საშიშია დოკუმენტი, რომელშიც საუბარია ორასი ანტისაომარი ლიდერის-ვეტერანის შეხვედრის შესახებ. ამ შეხვედრაზე განხილული იყო ვიეტნამის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. კერძოდ, საუბარი იყო სენატორ-"შევარდნების" წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ჩატარების შესახებ. საბუთში ნათქვამი არაა, იყო თუ არა კერი ამ შეხვედრის მონაწილე, მაგრამ მისი კავშირი სხვა ლიდერ-ვეტარანებთან თვალნათლივ ჩანს.

მსგავსი საბუთები სავსებით შეიძლება საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს. წარმოიდგინეთ რესპუბლიკელთა პარტიის ნეგატიური რეკლამა, რომელიც, დაახლოებით, ასე ჟღერს: "თანახმა ხართ, ხმა მისცეთ ადამიანს, რომელიც სამშობლოს მტრებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს?" ან: "ამერიკა თეთრ სახლში ტერორისტის ყოფნას არ დაუშვებს!" რომის სამართალში არსებობდა პრინციპი: "ვისთვისაა ეს ხელსაყრელი?" ამ შემთხვევაში ეს რესპუბლიკელებისთვის ძალიან ხელსაყრელია. მაშასადამე, მათ საბუთების გასატაცებლად მოტივიც ჰქონდათ და გამოცდილებაც. აი, ამიტომაც შერაცხეს მწერალ ჯერი ნიკოსინის სახლში მომხდარი ძარცვა "ვოტერგეიტ-კერიგეიტად". რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ძარცვასთან საერთო არაფერი ჰქონია.



კერი ამერიკული ფეხბურთის ბურთით

მაგრამ ობიექტურობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ "ფეთქებადი" საბუთების გაქრობა თავად კერისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა. სენატორმა განაცხადა, რომ ამ საბუთების არსებობის შესახებ სულ ცოტა ხნის წინათ გაიგო. მისი ბანაკი აღშფოთებას და თავდაცვას აღშფოთებას და შეტევას ამჯობინებს. თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა.

თუმცა, ახლანდელი საპრეზიდენტო ბატალიები უკვე ისტორიის კუთვნილებაა. პირველად შეიქმნა სიტუაცია, როცა შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ადამიანი, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ფედერალურ გამოძიებათა ბიურო უთვალთვალებდა.



სვეტი



მალხაზ ხარბედია

## პირადი ბიბლიოთეკა

### ალექსანდრ პუშკინი, "მოგზაურობა არზრუმში" (1829)

უკვე რამდენიმე თვეა პუშკინზე ვაპირებ სვეტის დაწერას და დღეს, როგორც იქნა, ავისრულე ეს სურვილი. იმედია, მკითხველი მაპატიებს, რომ მის ნაწარმოებთაგან მაინცდამაინც ეს ავარჩიე, ანუ "ონეგინიც" გავწირე, "პიკის ქალიც", "კაპიტანსკაია დოჩკაც" და ცხონებული ივან პეტროვიჩ ბელკინის მოთხრობებიც.

რატომ მაინცდამაინც "მოგზაურობა არზრუმში"? იმიტომ, რომ ბოლო ათი დღე, ჩოლოქისკენ მზერამიპყრობილს, ძალაუნებურად სულ სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებები მიტრიალებდა თავში, სულ ე.წ. "მოგზაურის ჩანაწერებისკენ" გამირბოდა გონება და რადგან მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი პუშკინზე სვეტის დაწერა, ვიფიქრე პუშკინ-მოგზაურზე დავწერ მეთქი რამეს.

მაგრამ სანამ საბოლოოდ გადავწყვეტდი დღევანდელი სვეტის კანდიდატის საკითხს, ბევრი ვიმარჩიელე: ვცდილობდი გამერკვია, რომელ წიგნთან უფრო ახლოს იდგა პრეზიდენტის ის ღამეული მოგზაურობა, რათა შემდეგ, რეალურ მოვლენებთან შესაბამებით, უფრო მეტად გვეხალისა წიგნის შინაარსითაც და აჭარაში მომხდარითაც.

ჯერ იულიუს კეისრის ხანგრძლივი ლაშქრობები და მისი "გალებთან ომი" გამახსენდა, მაგრამ ომის საშინელი პერსპექტივით შეშინებულმა მალევე შევწყვიტე ამ წიგნზე ფიქრი. შემდეგ ჯონათან სვიფტის "გულივერი" ამოტივტივდა გონებაში, მთელი თავისი ლილიპუტებითა და ნამცეცა მმართველებით. მოგვიანებით დენიელ დეფოს "რობინზონ კრუზომ" გამიტაცა. თავს ვიმტვრევდი საკითხზე, ვინ იქნებოდა პარასკევა. ნუთუ კობა ხაბაზი? იქნებ თამაზ დიასამიძე? ან სულაც ედვარდ სურმანიძე! წარმოგიდგენიათ, როგორ დაერეოდნენ ჩვენი რობინზონი და მისი პარასკევები იქაურ, ადგილობრივ ჩლიქოსნებს?! დაუყვავებდნენ, მოიშინაურებდნენ, მოწველიდნენ, ყველს ამოიყვანდნენ, ერთი სიტყვით, დოვლათს დააგროვებდნენ (კვაჭი კვაჭანტირაძის უკვდავ სიტყვებს თუ ვენდობით, "პოლიტიკა ძლიერ წააგავს ძროხას. ზოგნი მას აძოვებენ, ზოგნი კი სწველიან"). ბოლოს სტერნის "სენტიმენტალური მოგზაურობა" და ჰერმან მელვილის "მობი დიკი" გამახსენდა, მაგრამ, როცა მივხვდი, რომ არც სააკაშვილი ჰგავდა კაპიტან აქაბს და, მით უმეტეს, არც აბაშიძე იყო მაინცდამაინც გამოხოხილი თეთრი ვეშაპი, გადავწყვიტე საერთოდაც თავი დამენებებინა ასეთი მარჩიელობისთვის და ისევ პუშკინს დავბრუნებოდი. ბოლო-ბოლო გამშვები პუნქტები, მოკლე ფაშები და ტრანსპორტის გამოცვლა "არზრუმშიაც" ბევრი მოიძიება, წიგნში, რომელსაც, სხვათა შორის, პუშკინის თბილისური მითი უკავშირდება.

ესეც კიდევ ერთი მიზეზი ჩვენი არჩევანისა, ანუ თავად თბილისი, საქართველოს დედაქალაქი.

ტიფლისში ჩამოსვლამდე პუშკინი, მართალია, ცოტათი გააწვალეს დუშელმა რწყილებმა (რომლებიც აფთრებზე გაცილებით სახიფათონი აღმოჩნდნენ), მაგრამ მეორე დღეს, პომპეუსის ხიდს გამოცდენილი პოეტი უკვე მოაჭენებდა თავის ცხენს და საღამოს თერთმეტ საათზე შემოვიდა კიდეც ტიფლისში.

უცნაურია, მაგრამ პუშკინს ტიფლისმა კიშინიოვი გაახსენა, თუმცა აბა, სად კიშინიოვის აბანოები და სად ჩვენებური, გოგირდისა, რომელსაც პუშკინი დაუზარებლად აქებს. სწორედ მისი სიტყვებია (ვინმე ვარლამა დამკვრელის "სვაბოდნი პერელოჟენიით") "მადათოვის" ერთ-ერთ თავს რომ წარუმძღვარა ეპიგრაფად აკა მორჩილაძემ: "არაფერი მინახავს თბილისურ აბანოებზედ უფრო რასკოშნი"-ო. ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თბილისის შესახებ თხრობას აბანოებით იწყებს პუშკინი. აბანოებით და ქალებით, რომლებიც იქ შესვლისთანავე დაინახა პუშკინმა.

სამშაბათი იყო, ქალების დღე, და შიშველი თბილისელი ბანოვანები თურმე ურცხვად აჩენდნენ თავიანთ სიმდიდრეს დიდი პოეტის წინაშე. მათ შემხედვარე პუშკინს, იმ დროს მოდური კოლეგის, ტომას მურის სტრიქონებიც კი გაახსენა, სადაც იგი ტიფლისის აბანოებიდან გამოსული ლოყებღაჟღაჟა ქართველ ლამაზმანებს აღწერდა და დასძინა, ახლგაზრდები ძალიან ლამაზები არიან, აი ქართველი მოხუცი ქალები კი ნამდვილ ჯოჯოებსა ჰგვანან, არაფერი მინახავს მათზე უფრო შემზარავიო.

მას შემდეგ, რაც ჩვენებური ბებოები შეამკო, აპოლონური, ლამაზ-ლამაზი იდეებით შეპყრობილი ეს 30 წლის ყმაწვილი ტიფლისური ამბების მოყოლასაც შეუდგა და სანკოვსკი გაგვაცნო, "ტიფლისსკიე ვედომოსტის" გამომცემელი, საქართველოზე ძლიერ შეყვარებული და ივერიის გაბრწყინების მარად მოიმედე კაცი. შემდეგ კი მამა-პაპურ ამბებზე გადავიდა, ქართველთა ჩვევებისაც თქვა. აღნიშნა, რომ ქეიფი გვიყვარს და დღესასწაულებზე ქუჩებშიც კი ვსვამთ ხოლმე. ისიცა თქვა, სმის ქართული წესები ძალიან განსხვავდება რუსულისგანო და კახური ღვინოც შეგვიქო, ბურგუნდიულს გაუტოლა. ხოტბა ასხა ჩვენებურ თოფ-იარაღს, მოკლედ მიმოიხილა მოსახლეობაც (1825 წელს, თურმე 2500 სომხური და 1500 ქართული ოჯახი ყოფილა თბილისში) და სანამ გრიბოედოვის გვამს გადაეყრებოდა, ერთი ვინმე "თბილისელი" გასტრონომი, გენერალი სტრეკალოვიც გამოლანძღა.

მოდით, ამით დავკმაყოფილდეთ, ბოლო-ბოლო ეს კაცი მარტო ტიფლისს კი არ სტუმრებია, არამედ გენერალ პასკევიჩის უძლეველ არმიას მისდევდა კუდში, რათა თურქებზე მისი დიადი გამარჯვებები ეხილა. ჰოდა ამ გზაზე, ომის გარდა, ბევრი სხვა საინტერესო რამეც ხდებოდა.

მაგალითად, შეუძლებელია არ დაგამახსოვრდეს პუშკინისა და ტერტერას საუბარი, ერევანსა და ახალციხეში ჭირიანობის ამბებს რომ გაუცვლიან ერთმანეთს, ანდა არზრუმში, ტყვედ ჩავარდნილი ჰერმაფროდიტის ამბავი, რომელსაც პუშკინი რატომღაც ლათინურ ენაზე აღწერს, Erat vir, mammosus ut femina და ა.შ. ძალიან მოსწონებია პუშკინს პასკევიჩის ბანაკის ყოფაც. მიუხედავად იმისა, რომ კარგად გამოძინებას ვერ ახერხებდა, იქაური სადილ-ვახშმისა დიდად კმაყოფილი გახლდათ. ბანაკში, ძირითადად, აზიურ მწვადებს გიახლებოდნენ და ზედ, თოვლში ჩაციებულ ევროპულ სასმელს, შამპანურსა და ინგლისურ ლუდს აყოლებდნენ. თუმცა, ყველაზე მეტად პოეტი ერთი სომეხი ქალის მიერ დამზადებულ ცხვრის ჩაშუშულს აღუფრთოვანებია.

პუშკინი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო ევროპასა და რუსეთში, ვისაც ჰარამხანა ჰქონდა ნანახი. ეს სცენა მან დეტალურად აღწერა და იქვე ე.წ. აზიური ფუფუნების კრიტიკასაც მოჰყვა. მისი აზრით, არაფერი ისე სულელურად არ ჟღერს, როგორც სიტყვები: "აზიური ფუფუნება". ახლა მათ ნაცვლად "აზიური სიღარიბე" და "აზიური ღორობა" უნდა ვიხმაროთო. იქაო, ვერანაირი ფულით ვერ იშოვი იმას, რასაც ფსკოვის გუბერნიის ნებისმიერ მაზრაში, ნებისმიერ მეწვრილმანესთან შეხვდებიო.

ერთი სიტყვით, მაინცდამაინც არ მოეწონა პუშკინს აზია, არც თურქული აბანოები მოუვიდა თვალში და რადგან აბანოებზე ჩამოვარდა სიტყვა, ისევ ტიფლისით მინდა დავასრულო.

დემნა შენგელაიას დაუმთავრებელ რომანში "ტფილისი" ერთ პუშკინურ-ანდრეი ბელურ ხილვას ამოიცნობთ, სადაც ვორონცოვი მთვარის სინათლეზე გრანიტის კვარცხლბეკიდან ჩამოდის, წუთით ძველ მტრობას ივიწყებს და პუშკინთან მკლავგაყრილი მთავარმართებელი აბანოსკენ გაემართება: "ასე მიდიან ისინი სეიდაბადის ქუჩით და მერე მთელი ღამე დგაფუნობენ ეს უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლები აბანოში აპოკალიფსურ ვაყებივით და გულგახეთქილ მექისეებს არა აქვთ მთელი ღამე ძილი და მოსვენება". შემდეგ კი ავტორი დასძენს, - "ახლა ტფილისი სხვანაირია და ისე სწრაფად იცვლება, რომ ერთი წლის შემდეგ ვერავინ ვერ სცნობს აქაურობას"-ო.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, თბილისში ბევრი რამ შეიცვალა, რუსული ბრინჯაო კი ისევ დგაფუნობს ქართულ წყლებში. თუმცა, ერთია, პუშკინის კვალი დაკარგულა ჩვენს ქუჩებში.

# ხელგაშლილი ბაქო

ნინო ჭანიშვილი

ამ ქალაქში ყოველთვის ელიან ქართველებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე კულტურულ და გაცვლით პროგრამებს ეხება. გაცვეთილი ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ბოლო წლების განმავლობაში, მართლაც, "დაძმობილდნენ" თბილისი და ბაქო. "ბაქოში გარეთ რომ გავდივარ, ქუჩაში უკვე ნაცნობები მხვდებიან," – ამბობს ნინო მაღლაკელიძე, რომელმაც ბაქოში რამდენიმე დღის წინათ საკუთარი და სხვა ქართველი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა მოაწყო.



*ნინო მაღლაკელიძე და სოფო ლაპიაშვილი*

ფოტოექსპოზიცია დამოუკიდებელი ტელეკომპანიის Space-ის ფოიეში რამდენიმე დღის წინ გაიხსნა და ერთი თვე გაგრძელდება. ტელეკომპანიის ფოიეში გამოფენილია "ქოლგის" გრან-პრის მფლობელის სოფო ლაპიაშვილის "ესპანური მოტივები"; რუსუდან პირველის "ტოკიო"; ტატო კოტეტიშვილის "ვარდები", რომელმაც "ქოლგის" ნომინაციაში - "საუკეთესო ფოტოსერია"- გაიმარჯვა. გამოფენილია რუსუდან გაფრინდაშვილის თორნიკე ბზიავას ფილმის "დელირიუმის" გადაღებებისას აღბეჭდილი კადრები. ხოლო ანა ნიჟარაძის ფოტოსერია "სუხიშვილები" დათო უჯმაჯურიძის დოკუმენტური ფილმის "დოლის" გადაღებებისას არის შექმნილი.

გამოფენაში ერთი აზერბაიჯანელი ფოტოგრაფიც მონაწილეობს - ხადიჯა ალიევა. მის ექსპოზიციაში ის ფოტოებია შესული, რომელიც მან თბილისში ფესტივალ "კავკასიური ალეატორის" დროს გადაიღო. თავად გამოფენის ორგანიზატორმა ნინო მაღლაკელიძემ, რომელსაც უკვე 11 გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, ბაქოში საკუთარი ლითოგრაფიები ჩაიტანა. Space-ის გამოფენა ნინოს მეორე პროექტია ბაქოში. გასული წლის ნოემბერში მან, როგორც სტუდია ABK-ს არტ-მენეჯერმა, ფილმები ჩაიტანა აუდიოვიზუალური პროდუქციის ფესტივალზე. მის მიერ წარდგენილი პროდუქცია წარმატებული გამოდგა. სალომე კობახიძის ფილმში "უსიტყვოდ" გოგა დევდარიანმა საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის პრიზი მიიღო. ამავე ფესტივალზე აიღო გრან-პრი 2002 წელს გიორგი მასხარიშვილმა მხატვრული ფილმისთვის "კედელი" (ფილმი გაგა ჩხეიძიემ წარადგინა).

ბაქოთი მოხიბლული ნინო მაღლაკელიძე აღფრთოვანებით საუბრობს აზერბაიჯანელ კოლეგებზე: "საერთოდ, აზერბაიჯანელები ყველანაირად ხელს უწყობენ ურთიერთობების დამყარებას საქართველოსთან. ბაქოელებს ყველაფერი ახალი აინტერესებთ და ამაში ფულსაც არ იშურებენ. თვითონ ამ გამოფენის მოწყობის იდეა უცებ გაჩნდა და ძალიან მალევე, ერთ თვეში განხორციელდა. შვეიცარიულ პროექტ "ავანტიზე" გავიცანი ნარა ეფენდიევა, რომელმაც როგორც Space-ის წარმომადგენელმა, შემომთავაზა გამოფენა მოგვეწყო ტელეკომპანიის შენობაში. ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტელერადიო კომპანიაა, რომლის შენობა ბაქოს ცენტრშია მოთავსებული. აქ მუდმივად იმართება საინტერესო გამოფენები. ტელეკომპანიამ გადაწყვიტა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღება ჩვენი გამოფენის შესახებ, რომელიც ერთი თვის განმავლობაში იტრიალებს Space-ის ეთერში. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს ერთობლივი დოკუმენტური და მხატვრული ფილმების წარმოება".

საპასუხოდ, ქართული მხარეც აპირებს აზერბაიჯანელი მხატვრების თბილისში მოწვევას. "გამოფენის მოსაწყობად უკვე ქართველი სპონსორის მოძიებაც დაგვჭირდება, რაც, ბაქოსგან განსხვავებით, პრობლემურია", – ამბობს ნინო მაღლაკელიძე.

როგორც გაირკვა, ბაქო იმდენად ღიაა კულტურისა და სიახლეებისათვის, რომ წელს ევროპული შემოქმედებითი რეკლამის ფესტივალი "ეპიკა" სწორედ ბაქოში გაიმართება. ამის შესახებ "24 საათს" "ეპიკას" წარმომადგენელმა კავკასიაში მიხო ქოჩაკიძემ განუცხადა. აქამდე - 1999, 2000 და 2002 წლებში "ეპიკას" დღეები თბილისში იმართებოდა. წელს კი, შემოქმედებითი რეკლამის შექმნის პროპაგანდის იდეას ბაქო მაისის ბოლოს უმასპინძლებს.

# კიდევ ერთხელ ქართულ ლეგენდაზე

### მოსკოვში "ერისიონის" საშემოდგომო კონცერტებისთვის ემზადებიან

ვერა ნეფარიძე

"ქართულ ანსამბლს პროდიუსერებში გაუმართლა. "ერისიონის" წინაშე მთელი სამყარო ხელისგულივითაა გადაშლილი. მაგრამ, არანაკლებ გაუმართლა მსოფლიოსაც: ამიერიდან მას ეცოდინება, როგორია ქართული ლეგენდა", - რუსული პრესა დაგვიანებულად არ მიიჩნევს, გამოაქვეყნოს რეცენზიები ორი კვირის წინათ კრემლში გამართული ორდღიანი კონცერტების შესახებ. სულ უფრო დამაჯერებელი ხდება ქართული ანსამბლის დასავლელი პროდიუსერების დანაპირები – 2004 წელი "ქართული ლეგენდის" განსაკუთრებული წარმატებების ხანად უნდა იქცეს.



*"ერისიონი" სცენაზე*

იმის მიუხედავად, რომ "ქართულმა ლეგენდამ" საკმარისი მსოფლიო აღიარება მოიპოვა, მოსკოვურ გასტროლებს მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ "ერისიონის" პროდიუსერები. მოლოდინმა გაამართლა. სანახაობამ რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვან და პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზში უამრავი მაყურებელი მიიზიდა. ამ მოლოდინის საფუძველს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: პირველ რიგში, კონცერტების ორგანიზატორთა ავტორიტეტი; ღონისძიების მასშტაბური დაგეგმვა და თავად "ქართული ლეგენდა", რომლის შესახებ რუსეთშიც, ისევე, როგორც ჩვენთან, ძირითადად, მსოფლიო პრესიდან სმენოდათ. "ერისიონის" კონცერტზე დასწრების საშუალება მათ მხოლოდ ერთხელ, შარშან შემოდგომაზე მოსკოვში ქართული კულტურის ფესტივალზე ჰქონდათ. თუმცა, ამ ორ კონცერტს შორის პარალელის გავლება არც კი შეიძლება. ბოლო ჯერზე "ერისიონმა" თავისი საფირმო პროდუქცია – "ქართული ლეგენდა" სრულყოფილად წარადგინა და შედეგმაც არ დააყოვნა. რუსულ პრესაში კვლავ იწერება გამოხმაურებები ამ კონცერტთან დაკავშირებით. ეს პუბლიკაციები "ერისიონის" სამომავლო კონცერტებისთვის რუსული აუდიტორიის მოსამზადებლადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

17-18 მარტის სანახაობამ, შეიძლება ითქვას, "ქართული ლეგენდის" 2004 წლის სამუშაო გრაფიკის დაგეგმვაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. კრემლის კონცერტების შემდეგ გაირკვა, რომ "ერისიონი" რუსეთსა და უკრაინაში საკონცერტო ტურნეთი შემოდგომაზე დაბრუნდება. "სავარაუდოდ, ოქტომბერში რუსეთსა და უკრაინაში "ერისიონი"10-15 კონცერტს გამართავს. ამას გარდა, მოსკოვში "ქართული ლეგენდის" საკონცერტო პროექტით დაინტერესდნენ თურქები, ბალტიისპირელები, ჰოლანდიელები, გერმანელები. ჯერჯერობით თარიღები დადგენილი არ გვაქვს, მაგრამ ამჟამად სწორედ ამ მიმართულებით მიდის მუშაობა", - ამბობს "ერისიონის" მოსკოვური კონცერტების ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართული კომპანია "ისთ-ერნ პრომოუშენის" მარკეტინგის დირექტორი კახა კანდელაკი.

მოსკოვის კონცერტების ქართველმა ორგანიზატორებმა მოხერხებულობა გამოიჩინეს და კრემლში საერთაშორისო პარტნიორებიც მიიწვიეს. საკუთარი თვალით ნანახი განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა უცხოელი პროდიუსერებისთვის. მათ უკვე დაწყებული აქვთ "ერისიონის" პროდიუსერებთან მოლაპარაკებები, რისი შედეგებიც (ანუ - "ქართული ლეგენდის" 2004 წლის საკონცერტო ტურნეს გრაფიკი) უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

"ერისიონის" წარმატებულ პროექტს მოსკოვში კიდევ ერთხელ მისცეს მაღალი შეფასება. "ქართული ლეგენდა", - დინამიკური, მომაჯადოებელი სანახაობაა, რომელიც თამამად შეიძლება დადგეს მსოფლიოში აღიარებული ისეთი შოუების გვერდით, როგორებიცაა: "რივერდანსი" და Lord of the Dance; ესაა მორიგი მცდელობა, შოუს ჩარჩოში მოხდეს ხალხური მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის სინთეზი", - რუსი კრიტიკოსების ასეთი გამოხმაურება, ალბათ, მეტ სითამამეს შეჰმატებს "ერისიონის" დასავლელ პროდიუსერებს, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ "ქართულ ლეგენდას" ღირსეულად დაუმკვიდრებენ მსგავსი სანახაობების ხუთეულში გარანტირებულ პოზიციას. მანამდე კი მოსკოვში ცოტა ხანს კიდევ ისაუბრებენ "ქართულ ლეგენდაში" ნაჩვენებ უძველეს ქართულ ყოფა-ცხოვრებაზე, მითოლოგიაზე, ვირტუოზულ და ტემპერამენტულ ცეკვებზე, ეგზოტიკური ჟღერადობის საკრავებზე, სარისკო საცეკვაო ტრიუკებსა თუ ალესილი ხმლებიდან სცენაზე ავარდნილ ნაპერწკლებზე.

# იდუმალი გოგონა მილიონდოლარიან ფილმში

"იდუმალი მდინარის" წარმატება იმდენად დიდი ბიძგი აღმოჩნდა კლინტ ისტვუდისთვის, რომ ის უკვე მეორე პროექტზე მუშაობას შეუდგა. "მილიონდოლარიანი გოგონა" – ასე ერქმევა ფილმს, რომელსაც ისტვუდი გადაიღებს, უპროდიუსერებს და რომელშიც ითამაშებს კიდეც. წინასწარი ცნობებით, მთავარ როლებზე ჰილარი სუენქსს და მორგან ფრიმენს მიიწვევენ. გადაღებები ლოს ანჯელესში, ივნისში დაიწყება.




*ისტვუდი სამართლიანობის სამსახურში*

ისტვუდი ამჯერად ტრაგიკული და პლატონური სიყვარულის შესახებ მოგვითხრობს. მთავარი გმირი 30 წელს გადაცილებული ქალია, რომელიც მოკრივის კარიერის გაკეთებას ცდილობს. სცენარი მწერალ ფი. ექს. ტულის ორი მოთხრობის მიხედვით შეიქმნა. მათგან ერთ-ერთს ზუსტად ისეთივე სათაური აქვს, როგორიც ისტვუდის ახალ ფილმს ექნება.

რაც შეეხება "იდუმალ მდინარეს", მან რეჟისორს ექვსი "ოსკარის" ნომინაცია მოუტანა (საუკეთესო ფილმი, რეჟისორი, მეორეხარისხოვანი მამაკაცი მსახიობი, ქალი მსახიობი, მამაკაცი მსახიობი, ადაპტირებული სცენარი). მათგან "ოსკარებით" დაჯილდოვდნენ ტიმ რობინსი – როგორც საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი მამაკაცი და შონ პენი – როგორც საუკეთესო მამაკაცი მსახიობი. თავად ისტვუდი კი დიდ ეკრანზე ბოლოს 2002 წელს გამოჩნდა, თრილერში "სისხლიანი საქმე".

# იგლესიასი გამოფენაზე

"უძველესი მაიას დახვეწილი ხელოვნება" – ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც ვაშინგტონში ხელოვნების ნაციონალურ გალერეაში ორი ქვეყნის პირველმა ლედიმ გახსნა. ლორა ბუშს მექსიკის პრეზიდენტის მეუღლე მართა სააგუნ დე ფოქსი უმშვენებდა გვერდს. ისინი ერთხმად აღიარებდნენ, რომ ეს გამოფენა ორ ქვეყანას შორის გადებული ძალზე მნიშვნელოვანი კულტურული ხიდია.

გამოფენის ფარგლებში ნაციონალურ გალერეაში წარმოდგენილია 600-800 წლებში, სამხრეთ მექსიკაში, გვატემალსა და ჰონდურასში შექმნილი მაიას ტომის 130-მდე ექსპონატი; მათ შორის სკულპტურები, კერამიკული ნაწარმი და ძვირფასი ქვები. თუმცა, უძველეს ისტორიულ ნივთებთან ერთად გალერეის სტუმრებს ცნობილი მექსიკელი მხატვრის დიეგო რივერას ნამუშევრების დათვალიერებაც შეეძლებათ. მინი-გამოფენა "დიეგო რივერას კუბისტური ნახატები" შეიცავს 1914-15 წლებში შექმნილ 21-მდე ნამუშევარს, რომლებიც რივერამ საფრანგეთსა და ესპანეთში სწავლისას შექმნა. გამოფენა 25 ივლისამდე გასტანს. საზეიმო გახსნას კი პრეზიდენტების მეუღლეებთან ერთად ელჩები, კონგრესმენები და ხულიო იგლესიასი ესწრებოდა. მან სტუმრებს რამდენიმე სიმღერაც შეუსრულა.

ჩოგბურთი

# ახალი ძველი პრეზიდენტი

სანდრო ნავერიანი

*საქართველოში, ისე როგორც სპორტის ყველა სახეობაში, ჩოგბურთშიც დიდი პრობლემებია შექმნილი. სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩოგბურთის ფედერაციას ახალი ძველი პრეზიდენტი ჰყავს. ლეილა მესხი ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს.*



*ლეილა მესხს დიდი გეგმები აქვს*

**- რა პრიორიტეტები გქონდათ პრეზიდენტობისას და შეიცვლება თუ არა ისინი?**

- ახლანდელი პრიორიტეტები წინანდელისგან თითქმის არაფრით განსხვავდება, რადგან უაღრესად რთული პერიოდი გავიარეთ. ფაქტობრივად, იგივეს გაკეთება მოგვიწევს. თუმცა, ვფიქრობ, შედარებით იოლი იქნება. საფუძველი უკვე ჩაყრილია. როცა ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი დავიკავე, შეიძლება ითქვას, გავხდი მუშა-პრეზიდენტი, ყველაფრის თავიდან დაწყება მომიხდა. ფაქტობრივად, ყველაფერი დანგრეული იყო, მაგრამ ფედერაციამ შეძლო და ფეხზე დააყენა ქართული ჩოგბურთი. ჩვენ ჩავატარეთ კლუბების აღრიცხვიანობა, ბავშვების ლიცენზირება, დავიწყეთ საერთაშორისო ტურნირების მოწყობა. უამრავი რამ იყო გასაკეთებელი და იმის გაკეთება ნამდვილად შევძელით, რაც აუცილებელი იყო.

**- თქვენსა და ალექსანდრე მეტრეველის გარდა, იყო თუ არა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატი და რატომ მოხსნა თავისი კანდიდატურა მეტრეველმა?**

- მეტრეველისა და ჩემს გარდა, კანდიდატურა არ ყოფილა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოხსნა მან თავისი კანდიდატურა, ალბათ, იმიტომ, რომ დაინახა რეალობა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რაც უთხრეს. მოგეხსენებათ, კარგა ხანია, რაც ალექსანდრე მეტრეველი რუსეთში მოღვაწეობს და ქართული ჩოგბურთის რეალური მდგომარეობა არ იცოდა. მას ჩემზე და, საერთოდ, ფედერაციის თანამშრომლებზე ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს. მეტრეველს ცნობები მიაწოდა თემურ კაკულიამ, რომელიც ყველაზე გაბრაზებულია. მე ნამდვილად არ ვაპირებდი იმის გამომზეურებას, რომ ჩემსა და თემურ კაკულიას შორის უთანხმოებაა. იმედი მქონდა, ეს ჩოგბურთის სამყაროს არ გასცდებოდა, მაგრამ მან თავად ისურვა ასე. არავითარ შემთხვევაში კაკულიას შეურაცხყოფას არ ვაყენებ. მოკლედ, ალექსანდრე მეტრეველმა იმიტომ მოხსნა თავისი კანდიდატურა, რომ დაინახა, თუ რამდენი გაკეთდა ამ ოთხი წლის განმავლობაში. ისიც დაინახა, რომ 90 პროცენტი მე მიჭერდა მხარს.

**- აქვს თუ არა ფედერაციას დამატებითი შემოსავლები?**

- არა, ფედერაციას ბიზნეს-პარტნიორი არ ჰყავს. ჩვენ ყველაფერს საკუთარი ძალებით ვაკეთებთ. ჩოგბურთელებს ვუშვებთ ამა თუ იმ ტურნირებზე. კიდევ შემიძლია დავიბრალო ის, რომ დღეს მაკა ჩახნაშვილს სერიოზული სპონსორი ჰყავს "ქართუ ბანკის" სახით. მაკა, ფაქტობრივად, საჩოგბურთო კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ, ჩემი რეკომენდაციით, მას ასეთი სპონსორი გამოუჩნდა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და "ქართუ ბანკს" მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ, არა მარტო მაკას, არამედ მთელ ჩოგბურთის ფედერაციას სოლიდურ დახმარებას უწევს.

**- რა შეგიძლიათ გვითხრათ დიღმის საჩოგბურთო კომპლექსზე, რომელ ფაზაშია მისი მშენებლობა და გეხმარებათ თუ არა რომელიმე კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურა?**

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიღმის საჩოგბურთო კომპლექსი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. უკვე შიდასამუშაოები მიმდინარეობს. კომპლექსი შედგება რვა ღია და სამი დახურული კორტისგან, რომლის საფარიც მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. კორტების საფარი იქნება ჰარდი (hard), ისეთი, როგორიც ავსტრალიისა და ამერიკის კორტებზეა დამონტაჟებული (სადაც ღია პირველობები იმართება). ასე რომ, ქართველ ჩოგბურთელებს საშუალება ექნებათ, ტურნირებისთვის მოემზადონ ისეთივე კორტებზე, როგორზეც უცხოეთში მოუწევთ თამაში. ამ საფარის ერთი დიდი ღირსება ისიც არის, რომ მასზე ვარჯიში შეიძლება ყველა სეზონზე, ყველანაირ ამინდში. კორტების მშენებლობაში არავინ გვეხმარება. მიწა საკუთარი სახსრებით შევიძინე. დანარჩენისთვის კი ინვესტიციები ავიღეთ.

**- რატომ აღარ ტარდება "ჯეოსელის თასი" და რომელი ახალი საერთაშორისო ტურნირების ჩატარება გაქვთ დაგეგმილი?**

- "ჯეოსელის" ტურნირები იმართება, ოღონდ "ბორჯომის თასი" ჰქვია და მას "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" აფინანსებს. რაც შეეხება "ჯეოსელს", ეს კომპანია ორი წლის განმავლობაში საკმაოდ ორგანიზებულად ატარებდა ტურნირებს, მაგრამ შემდეგ კომპანიას მფლობელი შეეცვალა და ჩვენ შორის არსებული კონტრაქტიც გაუქმდა. "ბორჯომის თასის" გარდა, საქართველოში კიდევ რამდენიმე ტურნირი ტარდება. ერთ-ერთი ასეთია ჩემ მიერ დაარსებული ქალთა ტურნირი, რომელსაც უკვე რვა წლის ტრადიცია აქვს. ქალთა ტურნირი ბათუმშიც ტარდება. მისი საპრიზო ფონდი 75000 დოლარია. ასეთი ტიპის შეჯიბრება სულ შვიდია მსოფლიოში და ერთ-ერთი სწორედ ბათუმში იმართება. ეს ყველაზე სერიოზული ტურნირია საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება ახალ ტურნირს, სექტემბრის პირველ ან მეორე კვირაში დაგეგმილია "ლუკოილის თასის" გათამაშება, რომელსაც "ლუკოილი" დააფინანსებს. ეს არ არის სრული ნუსხა იმისა, თუ რა ტურნირების გამართვას ვგეგმავთ სამომავლოდ, მაგრამ წლეულს სხვა ტურნირებს მხოლოდ "ლუკოილის თასი" დაემატება.

**- არიან თუ არა პერსპექტიული ჩოგბურთელები და თუ არიან, მათგან ვის გამოარჩევდით?**

- რა თქმა უნდა, არიან პერსპექტიული ბავშვები. ერთადერთი, რაც მათ აკლიათ, ფინანსებია. ბავშვებმა წელიწადში საშუალოდ 15 საერთაშორისო ტურნირი მაინც უნდა ითამაშონ. ამას კი საკმაოდ ბევრი ფული სჭირდება. ფედერაციას და მშობლებს ამის საშუალება არა აქვთ. ამ საკითხის მოგვარება ერთ-ერთი უპირველესია იმ პრობლემათა სიაში, რომელიც ჩვენ გვაქვს. მე თქვენ მოგცემთ ჩემს მოხსენებას, სადაც ყველაფერი დაწვრილებით წერია და ნახავთ, თუ რა წარმატებებს აღწევენ ისინი.

### ლეილა მესხის მოხსენებიდან

- "2001 წელს ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელად დაასახელეს სალომე დევიძე. ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელთა რეიტინგში მესამე პოზიცია დაიკავა თინათინ ყავლაშვილმა. "დიდი სლემის" ახალგაზრდულ ტურნირებზე წარმატებით მონაწილეობდნენ სალომე დევიძე და ლადო ჩიხლაძე. ევროპის გაერთიანებულ გუნდში დაიმკვიდრეს ადგილი ნინო ესებუამ, თინათინ ყავლაშვილმა, ნანა უროტაძემ, სოფიკო მელიქიშვილმა, ია ჯიქიამ, დავით კვერნაძემ.

გასულ წელს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატზე **"ORANGE BOWL"** 12 წლამდე გაიმარჯვა ლაზარე კუხალაშვილმა. ამავე ჩემპიონატზე 14 წლამდე ნახევარფინალში გავიდა ანა ტატიშვილი, 16 წლამდე მეორე ადგილი დაიკავა სოფიკო მელიქიშვილმა, რომელმაც მოიგო ამერიკის ორი პირველი კატეგორიის ტურნირი – **"EDDIE HERR"** და **"PRINCE CUP"**."

ევროპის საერთაშორისო ასოციაციის ეგიდით გამართულ საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებებს მიაღწიეს ნოდარ ითონიშვილმა, ვიქტორ მესხმა, გიორგი გველესიანმა, დავით ხრიკაძემ, სანდრო ლომინაშვილმა, ია ჯიქიამ, სოფიკო ქვაცაბაიამ, გიორგი ნავროზაშვილმა, ნათია გეგიამ, ლაშა ქარჩაიძემ, გიორგი ჭანტურიამ და სხვებმა".

**- დაბოლოს, რა შეფასებას მისცემდით ირაკლი ლაბაძის წარმატებულ გამოსვლას "ინდიანა უელსის" ტურნირზე და რას იტყვით ფედერაციასა და ირაკლი ლაბაძეს შორის ადრე მომხდარ უთანხმოებაზე?**

- თქვენს მოსვლამდე ტელეფონით სწორედ ირაკლის ვესაუბრებოდი. იყო ადრე რაღაც უთანხმოება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის ნომერ პირველი ჩოგნის მოთხოვნები. ირაკლი ახლა ძალიან კარგ ფორმაშია და დიდი ხალისით ვარჯიშობს ნაკრებთან ერთად. ის მზადაა, დაიცვას ნაკრების ღირსება, რასაც გააკეთებს კიდეც. რაც შეეხება მის წარმატებას, ეს, მართლაც, სენსაციური იყო მათთვის, ვინც არ იცოდა ირაკლის შესაძლებლობები. ის პირველი ქართველი მამაკაცი ჩოგბურთელია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ათენის ოლიმპიურ თამაშებში. სხვათა შორის, ოლიმპიადაზე გამგზავრებაში მას ძალიან დაეხმარა სწორედ ის გამარჯვებები, რომლებიც მოიასთან, კალერისთან და ბლეიკთან მოიპოვა.

კალათბურთი

# ესპანეთისკენ მიმავალნი



*მანუჩარ მარკოიშვილი - ქართველთა ყველაზე გამორჩეული ფიგურა*

პაატა თოთაძე

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშია. ამის გამოსწორების შანსი ჩვენს 18 წლამდელებს დღეიდან მიეცემათ – ხორვატიის ქალაქ სისაკში ხუთი დღის მანძილზე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური ეტაპი გაიმართება.

ნახევარფინალურ სტადიაზე მოხვედრილი 18 გუნდი სამ ქვეჯგუფად არის დაყოფილი. შეჯიბრებაც სამ ქვეყანაში გაიმართება. ქართველებს ხორვატიაში ერგოთ თამაში მასპინძლებთან, ფრანგებთან, ფინელებთან, იტალიელებთან და ლატვიელებთან ერთად.

ჯგუფიდან სამი საუკეთესო გუნდი პირდაპირ გადის ფინალურ ეტაპზე. გარდა ამისა, დასკვნით სტადიაზე მოხვედრის შანსი აქვს მეოთხე ადგილაზე გასულ ორ საუკეთესო გუნდს. ქართველები ევროპის უძლიერეს ნაკრებებთან მოხვდნენ ჯგუფში – ხორვატია ევროპის ჩემპიონია და, მათი მწვრთნელის განცხადებით, წლეულს ყველაფერს ილონებს ტიტულის დასაცავად, ფრანგები კი 2000 წლის ჩემპიონები არიან. მიუხედავად ამისა, ნაკრების თავკაცობა ჯგუფიდან გასვლას და ფინალურ ეტაპზე თამაშს საკმაოდ რეალურად მიიჩნევს.

"ცუდია, რომ ტურნირამდე ამხანაგური მატჩის გამართვა ვერ მოვახერხეთ, თუმცა, სხვა რა გზაა, ფონს უამისოდ უნდა გავიდეთ", - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა. პირველი გამოცდის ჩაბარება ქართველ ჭაბუკებს დღეს საღამოს იტალიელებთან მოუწევთ. მომდევნო მატჩებში კი (დასვენების გარეშე) ჯერ ხორვატებს, შემდეგ ფინელებს, ლატვიელებს და ბოლოს ფრანგებს ეთამაშებიან. "ყველა კალათბურთელი ჯანმრთელადაა. ერთი-ორს პატარა ტრავმა ჰქონდა, მაგრამ უკვე გამოჯანმრთელდნენ. ასე რომ, ჯერჯერობით საწუწუნო არაფერი გვაქვს. მთავარია, როგორც დავგეგმეთ, ისე ვითამაშოთ", - თქვა ოქრუაშვილმა.

ფავორიტებზე საუბრისგან მწვრთნელმა თავი შეიკავა. მართალია, ფრანგებსა და ხორვატებს სხვებზე ძლიერებად თვლიან, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო. სხვათა შორის, ფრანგებთან ჩვენებს ერთხელ უკვე აქვთ ნათამაშები საკვალიფიკაციო ტურნირზე. ის მატჩი ფრანგების გამარჯვებით დასრულდა, თუმცა, ამაში მსაჯის ხელიც ერია. "ამაზე საუბარი ახლა არ ღირს, მით უმეტეს, როცა დამნაშავედ მსაჯს თვლიან. მთავარია, ახლა ვაჩვენოთ კარგი შედეგი და იმ მატჩს საერთოდ არ გავიხსენებ", - ასეთია ოქრუაშვილის აზრი. ხორვატული მედია ქართველთაგან უპირველესად მანუჩარ მარკოიშვილს გამოარჩევს. "ის იმ კალათბურთელთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც მარტო წყვეტენ თამაშის ბედს. ბუნებრივია, არც სხვების უგულებელყოფა შეიძლება, მით უმეტეს, რომ ისინი ევროპის კარგ კლუბებში თამაშობენ", - აღნიშნავს ერთ-ერთი იქაური სააგენტო "Hina News Line". ქართველთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

გიორგი ცინცაძე (ცსკა, რუსეთი), გიორგი გამყრელიძე (დინამო), ბესიკ ლეჟავა (თსუ), მანუჩარ მარკოიშვილი (მიტელდოიჩერი), ირაკლი საყვარელიძე (თსუ), ვიქტორ სანიკიძე (დიჟონი, საფრანგეთი), ნოდარ ბექაური (დინამო), დავით გვიმრაძე (დინამო), დავით გიორგობიანი (სტუ-ჯეოსელი), გიორგი ხარცია (დინამო), ტატო ჯანეზაშვილი (სტუ-ჯეოსელი), რევაზ ათანელიშვილი (სლოვანი, სლოვენია).

ფეხბურთი

# ბერნის გმირების ფატალური გამარჯვება

ნინო პირველი

დოპინგი თურმე სულაც არ ყოფილა მხოლოდ თანამედროვე სპორტის თავსატეხი. იფიქრებდა ვინმე, რომ შორეულ 1954 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ცხრა წლის შემდეგ, ფეხბურთელები სტიმულატორებით ძალამოცემული გავიდოდნენ მოედანზე? 1954 წლის მუნდიალის გამარჯვებული გერმანიის ნაკრების წევრები დღემდე გმირებად ითვლებიან გერმანიაში. უნგრეთის დიდი გუნდის დამარცხება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ჯერაც არ დავიწყებიათ გერმანელებს. ამ გამარჯვებამ ყველაფერს სულ სხვანაირი ელფერი შესძინა - ყველამ დაივიწყა ომი, მისი საშინელი შედეგები, დანგრეული ქალაქები და უიმედო, ნაცრისფერი ცხოვრება. ბერნის სასწაული იმდენად დიდი მოვლენა იყო გერმანელებისთვის, რომ ფილმიც კი გადაიღეს მუნდიალის გმირებზე. ყველაფერი კარგად იყო, სანამ ჟურნალი "რეპორტი" ამ სკანდალურ მასალას გამოაქვეყნებდა. 50 წლის შემდეგ საიდუმლო გამჟღავნდა და გაოგნებულმა ჟურნალისტებმა გამოძიება დაიწყეს. როგორც ირკვევა, ჩემპიონატის ფინალში გერმანიის ნაკრები მხოლოდ საკუთარი თავის იმედად როდი ყოფილა, დოპინგიც მოუშველიებია წარმატების მისაღწევად. არც არის გასაკვირი. ფინალამდე გერმანელები და უნგრელები ჯგუფში შეხვდნენ ერთმანეთს და მატჩი უნგრეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. რაკი ბედმა ინება, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის გერმანელებს ისევ უნგრელებთან უწევდათ ჭიდილი, ნაკრების ექიმმა და მწვრთნელებმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს: შპრიცები მოიმარჯვეს და ფეხბურთელებს მკლავში რაღაც შეუშხაპუნეს. "დიახ, ასე იყო, - ამბობს ნაკრების მაშინდელი ექიმი, 84 წლის პროფესორი ფრანც ლოგენი, - ფეხბურთელებს C ვიტამინი გავუკეთეთ. ეს მათ არაფერში დაეხმარებოდა, მაგრამ ყველას სჯეროდა, რომ ვიტამინის მიღების შემდეგ უფრო გამძლე და ენერგიულები გახდებოდნენ."

ნუთუ მხოლოდ C ვიტამინი იყო და სხვა არაფერი? ძნელი დასაჯერებელია. შვეიცარიელმა დარაჯმა, რომელმაც მატჩის შემდეგ გატეხილი ამპულები იპოვა, მაშინვე იფიქრა, რომ ამ საქმეს სკანდალის სუნი ასდიოდა. ვალტერ ბრიონიმანმა ამპულები ერთ-ერთ შვეიცარიულ ფარმაკოლოგიურ ფირმას მიუტანა. მას კომპრომატები გამოართვეს და ურჩიეს, ენას კბილი დააჭირეო. ბრიონიმანი 50 წლის განმავლობაში დუმდა, ბოლოს ცდუნებას ველარ გაუძლო და ყველაფერში გამოტყდა. მართალია, მთელი ნახევარი საუკუნის დაგვიანებით, მაგრამ სკანდალი მაინც აგორდა. გერმანული ტელეარხების, ZDF-ისა და ARD-ს ჟურნალისტებმა აქტიურად მოკიდეს ხელი ამ საქმის გამოძიებას,



*ჰორსტ ეკელი ბრალდებას აბსურდულად მიიჩნევს*

1954 წლის ნაკრების ყველა ფეხბურთელი გაიხსენეს და დაასკვნეს, რომ მათი უმრავლესობა მუნდიალის შემდეგ დაავადდა, ზოგიც მეტად გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ჩემპიონის ტიტულის მოპოვებიდან სამი თვის შემდეგ ფრიც ვალტერს, ჰელმუტ რანს და ჰაინც კუბაშს ჰეპატიტი დაემართათ. ცოტა ხნის შემდეგ კი ღვიძლის ციროზით გარდაიცვალნენ ვერნერ ლიბრიხი და რიჰარდ ჰერმანი. ეს დიაგნოზი მეტად უჩვეულოა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არც ერთს არ უყვარდა ალკოჰოლი. მეტიც: რიჰარდ ჰერმანი საერთოდ არ სვამდა. ნუთუ ეს ყველაფერი უწყინარმა C ვიტამინმა გამოიწვია? ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ჰეპატიტისა და ციროზის მიზეზი ცუდად გამოხარშული შპრიცი გახდა. ექიმის თანაშემწეს, რომელსაც მხოლოდ ძველი, საბჭოთა პრაქტიკა ჰქონდა, ნემსის გამოხარშვისას ვერ მიაღწია სათანადო ტემპერატურას. ამის გამო ფეხბურთელების ორგანიზმში წამალთან ერთად ინფექციაც შეიჭრა. მაინც რა სტიმულატორები არსებობდა 50 წლის წინ? იყო კი საერთოდ რამე? თურმე ყოფილა: "მაშინ სტიმულატორებად ამპეტამინს და კაპტაგონს იყენებდნენ. ორივე პრეპარატს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს უკეთებდნენ ჯარისკაცებს. ორივე მეტად იოლი საშოვნელი იყო. მაშინ ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა, რადგან დოპინგ-აკრძალვა არ არსებობდა. დოპინგი 1967 წელს აკრძალეს, როცა ტურ დე ფრანსზე ბრიტანელი ველომრბოლი ტიმ სიმფსონი გარდაიცვალა", - ამბობს კიოლნის ბიოქიმიის ინსტიტუტის პროფესორი ვილჰელმ შენცერი.

სტიმულატორების გამოყენება ჰელმუტ რანის იდეა ყოფილა. ყოფილი ჯარისკაცი და მუნდიალის ფინალის გმირი, რომელმაც გამარჯვების გოლი გაუტანა უნგრელებს, 1954 წლის გაზაფხულზე სამხრეთ აფრიკაში იყო და საკუთარი თვალით ნახა, როგორ იკეთებდნენ იქაური ფეხბურთელები ნემსებს თამაშის წინ. ნაკრების წევრებმა ბევრი იმსჯელეს ამ საკითხის შესახებ და გადაწყვიტეს, თავადაც მიებაძათ აფრიკელებისთვის. საბედისწერო შპრიცებიც სწორედ მათი თანხმობით მოიმარჯვა ექიმმა. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად განადგურებულ გერმანიას გამარჯვება სჭირდებოდა, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად...

რას ამბობენ თავად ბერნის ფინალის გმირები? ცოცხლად დარჩენილთაგან არც ერთი არ მიიჩნევს თავს დამნაშავედ. გარდაცვლილთა ახლობლები კი ამტკიცებენ, რომ მათ არაფერი სმენიათ სტიმულატორების შესახებ. "რაც გუნდის ექიმმა თქვა, ყველაფერი სწორია. ისეთ პრეპარატებს ვიღებდით, რაც ენერგიისა და ძალის შენარჩუნებაში გვეხმარებოდა. დოპინგი არავის გაუკეთებია. ამ მხრივ მე ნამდვილად არ მივიჩნევ თავს დამნაშავედ", - ამბობს 76 წლის ჰანს შეფერი. "ძალიან გავბრაზდი, როცა გავიგე, რომ 50 წლის შემდეგ ასეთ რამეს გვაბრალებენ. მაშინ საერთოდ არ ვიცოდით, რას ნიშნავდა სიტყვა დოპინგი. მეც მიკეთებდნენ ნემსებს, მაგრამ ჰეპატიტი ნამდვილად არ დამმართნია", - ბრაზობს 72 წლის ჰორსტ ეკელი.

ასეა თუ ისე, სკანდალი უკვე აგორდა. 2004 წელს 50 წელი სრულდება ამ დიდი გამარჯვებიდან. გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია ამ თარიღის აღსანიშნავად ბრწყინვალე ზეიმის მოწყობას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონის პირველი ტიტულის მოპოვების დღე უხმაუროდ ჩაივლის. "იუბილეს ისე ვერ ვიზეიმებთ, რომ მედლის მეორე მხარეზე არ ვიფიქროთ. საზეიმო ნამდვილად აღარაფერი გვაქვს", - ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი, ბერნის გმირების თაობის წარმომადგენელი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი. გერმანიაში კი მიაჩნიათ, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ბერნის სასწაულის შემოქმედნი მაინც გმირებად დარჩებიან, დოპინგ-სკანდალიც ვერაფერს დააკლებს მათ დიდებას...

რაგბი

# ჩვენი დრო ჯერ არ დამდგარა

პაატა თოთაძე

სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა თავისი მეორე მატჩი გამართა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ დამარცხდა. ინგლისელების შემდეგ ქართველთა მეორე მეტოქე ახალი ზელანდიის ნაკრები იყო. ზელანდიელები ნებისმიერი სარაგბო შეჯიბრების ფავორიტები არიან და მათი დამარცხება ჩვენი გუნდისთვის ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებად რჩება.

პირველ შეხვედრაში 48:9-ის წაგების შემდეგ ჩვენებმა ტურნირის ანტირეკორდი დაამყარეს და ახალზელანდიელებთან 15:81 დამარცხდნენ. მანამდე ყველაზე დიდი ანგარიში შოტლანდია-საფრანგეთის მატჩში დაფიქსირდა – ფრანგებმა 61:0 იმარჯვეს. მატჩის მე-6 წუთზე ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი უილიამ რიპიამ ქართველთა რბევა დაიწყო. მატჩის განმავლობაში რიპიამ ამ საჯარიმოს კიდევ ექვსი გარდასახვა მიაყოლა. სულ კი მისმა თანაგუნდელებმა ქართველები 12-ჯერ დაალელოვეს. ჩვენებურთაგან ქულები მხოლოდ თემურ სოხაძის ანგარიშზეა – როცა მსაჯი საჯარიმოს დარტყმის უფლებას მოგვცემდა, სოხაძე სამი ქულის მოპოვების შანსს ხელიდან არ უშვებდა.

ტურნირის პირველი ორი მატჩიდან ქართველები რომ ვერც ერთს ვერ მოიგებდნენ, ყველამ კარგად იცოდა. აქცენტი იაპონიასთან მატჩზე და ტურნირის მეორე ეტაპზე კეთდებოდა და კეთდება. სხვათა შორის, იაპონელები ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ ირლანდიელი მოთამაშის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ირლანდიელებმა ვადამდე მიატოვეს მსოფლიო ჩემპიონატი და შინ დაბრუნდნენ. ამის გამო იმ გუნდებს, ვისაც ირლანდიასთან ჰქონდა დარჩენილი მატჩი, მოგება ჩაეთვალათ. მათ რიცხვში იაპონიაც აღმოჩნდა. ასე რომ, თუ ქართველები მეტოქეს შვიდ ქულაზე ნაკლები სხვაობით დაამარცხებენ, იაპონელები პრემიალურ ქულას მიიღებენ და მაინც ჩვენზე წინ აღმოჩნდებიან. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გუნდები ადგილების მიხედვით გადანაწილდებიან და მეორე, დასკვნითი ეტაპიც ამის შემდეგ დაიწყება. სატურნირო ცხრილის შედგენის შემდეგ პირველ-მეოთხე ადგილებზე გასულები მედლებისთვის ითამაშებენ, მეცხრე-მეთორმეტე ადგილებზე გასულები კი - უძლიერესთა შორის დასარჩენად. ქართველები იაპონელებთან მარცხის შემთხვევაში სწორედ ბოლო ჯგუფში მოხვდებიან და გადამწყვეტი ბრძოლის გადატანაც იქ მოუხდებათ. მანამდე კი, 4 აპრილს, პატარა ბორჯღალოსნებს თანატოლ იაპონელებთან მოუწევთ გაჯიბრება და ეგებ იმ ანგარიშით დაამარცხონ ამომავალი მზის ქვეყნის შვილები, რომ ბოლო ჯგუფში ადგილი სწორედ მათ დარჩეთ.

# საგადასახადო ინსპექცია

## საგადასახადო შემოსავლები

**საშემოსავლო გადასახადი**

*დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი*

1001 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1002 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1003 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან

*საშემოსავლო გადასახადი ინდივიდუალური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან*

1004 საშემოსავლო გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან ფიზიკური პირის შემთხვევაში
1005 საშემოსავლო გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან ფიზიკური პირის შემთხვევაში
1006 სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი ინდივიდუალური საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან

*საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან და*

1007 საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1008 საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტებიდან
1009 არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი
1010 სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი

### მოგების გადასახადი

*მოგების გადასახადი*

1011 მოგების გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1012 მოგების გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1013 არაკლასიფიცირებული მოგების გადასახადი

*მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდებიდან და პროცენტებიდან*

1014 მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1015 მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული პროცენტებიდან

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

*საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან*

1016 დამატებული ღირებულების გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1017 დამატებული ღირებულების გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1018 დღგ ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
1019 დღგ შემაგრებულ ღვინოებზე
1020 დღგ ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
1021 დღგ ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
1022 დღგ სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევზე და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევზე.
1023 დღგ ეთილის სპირტზე
1024 დღგ-სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
1025 დღგ ვისკიზე
1026 დღგ რომზე და ტაფიაზე
1027 დღგ ჯინზე და ღვინის ნაყენზე
1028 დღგ ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
1029 დღგ სხვა სპირტიან სასმელებზე
1030 დღგ ლუდზე
1031 დღგ- სიგარილაზე და სხვა ფილტრიან სიგარეტზე
1032 დღგ თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
1033 დღგ მსუბუქ ავტომობილებზე
1034 დღგ ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
1035 დღგ ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
1036 დღგ საავტომობილო ბენზინზე
1037 დღგ ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
1038 დღგ ნავთზე
1039 დღგ ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
1040 დღგ დიზელის საწვავზე
1041 დღგ ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
1042 დღგ ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრი ნახშირწყალბადებზე
1043 დღგ ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
1044 დღგ პიროლიზის თხევად პროდუქტზე
1045 დღგ მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
1046 დღგ სხვა აქციზურ პროდუქციაზე
1047 სხვა არაკლასიფიცირებული დღგ-ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან

### აქციზი

*საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან*

1048 აქციზის გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
1049 აქციზის გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
1050 აქციზის გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
1051 აქციზის გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
1052 აქციზის გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევზე და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევზე.
1053 აქციზის გადასახადი ეთილის სპირტზე
1054 აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
1055 აქციზის გადასახადი ვისკიზე
1056 აქციზის გადასახადი რომზე და ტაფიაზე
1057 აქციზის გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
1058 აქციზის გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
1059 აქციზის გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
1060 აქციზის გადასახადი ლუდზე
1061 აქციზის გადასახადი სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
1062 აქციზის გადასახადი თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
1063 აქციზის გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
1064 აქციზის გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
1065 აქციზის გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
1066 აქციზის გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
1067 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
1068 აქციზის გადასახადი ნავთზე
1069 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
1070 აქციზის გადასახადი დიზელის საწვავზე
1071 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
1072 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრი ნახშირწყალბადებზე
1073 აქციზის გადასახადი ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
1074 აქციზის გადასახადი პიროლიზის თხევად პროდუქტზე
1075 აქციზის გადასახადი მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
1076 აქციზის გადასახადი სხვა არაკლასიფიცირებულ აქციზურ პროდუქციაზე

### ქონების გადასახადი

*ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი*

1077 არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონების გადასახადი
1078 ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების გადასახადი
1079 სხვა არაკლასიფიცირებული ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი
1080 საწარმოთა ქონების გადასახადი
1081 სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადი

**გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის**

1082 გადასახადი წიაღით სარგებლობისათვის
1083 გადასახადი ტყის ფონდის ზეხეური ხეების მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის
1084 გადასახადი გარემოდან ამოღებული მცენარეული რესურსებით სარგებლობისათვის
1085 გადასახადი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის
1086 გადასახადი ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის
1087 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის

**გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის**

*გადასახადი ატმოსფეროში გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის*

1088 გადასახადი სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევისათვის
1089 გადასახადი წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ჩაშვებისათვის
1090 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი ატმოსფეროში გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

*იმპორტირებული, აგრეთვე საქართველოში წარმოებული და მიწოდებული ნავთობპროდუქტების, თხევადი და ბუნებრივი აირის (გარდა საქონლის საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენებული ბუნებრივი აირისა) გადასახადი*

1091 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის ბენზინზე
1092 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის დიზელის საწვავზე
1093 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის ნავთზე
1094 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის მაზუთზე
1095 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის თხევად აირზე
1096 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის ბუნებრივ აირზე
1097 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

**გადასახადი ქონების გადაცემისათვის**

1098 გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის
1099 გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემისათვის
1100 მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი
1101 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი ქონების გადაცემისათვის

**ფიქსირებული გადასახადი**

1102 ფიქსირებული გადასახადი

**მცირე ბიზნესის გადასახადი**

1103 მცირე ბიზნესის გადასახადი

**სათამაშო ბიზნესის გადასახადი**

1104 სათამაშო ბიზნესის გადასახადი თითოეული სათამაშო აპარატიდან
1105 სათამაშო ბიზნესის გადასახადი სამორინეს თითოეული სათამაშო მაგიდიდან
1106 სათამაშო ბიზნესის გადასახადი ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეული სალაროდან
1107 სათამაშო ბიზნესის გადასახადი ლატარიის მოწყობიდან (ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან)
1108 სათამაშო ბიზნესის გადასახადი თითოეული წამახალისებელი გათამაშებიდან
1109 სათამაშო ბიზნესის გადასახადი სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან
1110 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი სათამაშო ბიზნესიდან

**საკურორტო გადასახადი**

1111 საკურორტო გადასახადი

**სასტუმროს გადასახადი**

1112 სასტუმროს გადასახადი

**რეკლამის გადასახადი**

1113 რეკლამის გადასახადი

**გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის**

1114 გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის

**მიწის გადასახადი**

*სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი*

1115 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი ფიზიკური პირებიდან
1116 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან

*არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი*

1117 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი ფიზიკური პირებიდან
1118 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან

**ჯარიმები მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში**

1119 ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალი ჯარიმებიდან მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო- სალარო აპარატების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში
1120 ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის შემოსავალი ჯარიმებიდან მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში

**სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი**

1121 სხვა არაკლასიფიცირებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი
1122 სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი

**საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (სოციალური დაზღვევის გადასახადი)**

*დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი*

1123 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1124 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1125 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან

*ფიზიკური პირების სოციალური დაზღვევის გადასახადი*

1126 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1127 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1128 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან
1129 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში

**სახელმწიფო საგზაო ფონდი**

*გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის*

1130 გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1131 გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1132 არაკლასიფიცირებული გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის

*ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი*

1133 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
1134 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი ავტობუსებზე
1135 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი სატვირთო ავტომობილებზე
1136 სხვა არაკლასიფიცირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი

*გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის*

1137 გადასახადი ზენორმატიული დატვირთვისათვის ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას
1138 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი სახელმწიფო საგზაო ფონდში

## საბაჟო დეპარტამენტი

**საგადასახადო შემოსავლები**

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

*დღგ იმპორტირებული პროდუქციიდან*

2001 დღგ ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
2002 დღგ შემაგრებულ ღვინოებზე
2003 დღგ ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
2004 დღგ ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
2005 დღგ სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი).
2006 დღგ ეთილის სპირტზე
2007 დღგ სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
2008 დღგ ვისკზე
2009 დღგ რომზე და ტაფიაზე
2010 დღგ ჯინზე და ღვინის ნაყენზე
2011 დღგ ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
2012 დღგ- სხვა სპირტიან სასმელებზე
2013 დღგ ლუდზე
2014 დღგ სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
2015 დღგ თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
2016 დღგ მსუბუქ ავტომობილებზე
2017 დღგ ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
2018 დღგ ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
2019 დღგ საავტომობილო ბენზინზე
2020 დღგ ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
2021 დღგ ნავთზე
2022 დღგ ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
2023 დღგ დიზელის საწვავზე
2024 დღგ ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
2025 დღგ ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრ ნახშირწყალბადებზე
2026 დღგ ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
2027 დღგ პიროლიზის თხევად პროდუქტზე
2028 დღგ მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
2029 დღგ სხვა აქციზურ პროდუქციაზე
2030 დღგ ცოცხალ ცხოველებზე
2031 დღგ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე
2032 დღგ ხორბალზე
2033 დღგ სხვა მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე
2034 დღგ ცხიმებზე, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ზეთებზე
2035 დღგ შაქარზე
2036 დღგ საკონდიტრო ნაწარმზე
2037 დღგ ფქვილზე
2038 დღგ ფქვილ-ბურღულეულის ნაწარმზე
2039 დღგ უალკოჰოლო სასმელებზე, მინერალურ წყლებზე
2040 დღგ კვების სხვა მზა პროდუქტებზე
2041 დღგ მინერალურ პროდუქტებზე (გარდა საწვავისა)
2042 დღგ ფარმაცევტულ პროდუქციაზე
2043 დღგ სარეცხი საშუალებებზე. (საპონი, შამპუნი, სხვა)
2044 დღგ ფოტო და კინომასალებზე, გადაღების საშუალებებზე
2045 დღგ სხვა ქიმიურ პროდუქტებზე
2046 დღგ პოლიმერული ნაწარმზე, პლასტმასზე და მისგან დამზადებულ ნაკეთობებზე.
2047 დღგ კაუჩუკზე, რეზინზე და მათგან დამზადებული ნაწარმზე
2048 დღგ დაუმუშავებელ და დამუშავებულ ტყავზე, მათ ნაწარმზე
2049 დღგ ქაღალდზე, მუყაოზე, მათ ნაწარმზე
2050 დღგ წიგნებზე, გაზეთებზე, ჟურნალებზე, სხვა პოლიგრაფიულ და ბეჭდვით პროდუქციაზე
2051 დღგ ტექსტილზე და ტექსტილის ნაწარმზე
2052 დღგ ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე
2053 დღგ ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, კერამიკის, მინის ნაკეთობებზე და მინაზე
2054 დღგ შავ ლითონზე
2055 დღგ შავი ლითონის ნაწარმზე
2056 დღგ სპილენძზე და მის ნაწარმზე
2057 დღგ ნიკელზე და მის ნაწარმზე
2058 დღგ ალუმინზე და მის ნაწარმზე
2059 დღგ ტყვიაზე და მის ნაწარმზე
2060 დღგ თუთიაზე და მის ნაწრმზე
2061 დღგ კალაზე და მის ნაწარმზე
2062 დღგ სხვა არაძვირფას ლითონებზე და მათ ნაწარმზე
2063 დღგ ელექტრული მანქანებზე, მოწყობილობებზე და მათ ნაწილებზე.
2064 დღგ ჩამწერ აპარატურასა და მათ ნაწილებზე
2065 დღგ რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებებსა და მათ მოწყობილობებზე
2066 დღგ სხვა მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებებზე
2067 დღგ ავტოსათადარიგო ნაწილებზე
2068 დღგ- საფრენი აპარატებსა და მათ ნაწილებზე
2069 დღგ გემებზე, ნავებზე და სხვა საცურაო საშუალებებზე
2070 დღგ ოპტიკურ, ფოტო და კინემატოგრაფიულ, საზომ, საკონტროლო და სხვა აპარატურაზე და მოწყობილობებზე
2071 დღგ სამედიცინო და ქირურგიულ ინსტრუმენტებსა და აპარატურაზე
2072 დღგ საათებსა და მათ ნაწილებზე
2073 დღგ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მათი ნაწილებსა და საკუთნოებზე
2074 დღგ იარაღზე და საბრძოლო მასალებზე
2075 დღგ ყველა სახის ავეჯზე
2076 დღგ ასაწყობ სამშენებლო კონსტრუქციებზე
2077 დღგ სათამაშოებზე, სპორტულ ინვენტარზე, მათ ნაწილებსა და საკუთნოებზე
2078 დღგ სხვადასხვა მზა ნაწარმზე
2079 დღგ ხელოვნების ნიმუშებზე, ანტიკვარულ და საკოლექციო საგნებზე
2080 დღგ ელექტროენერგიაზე
2081 დღგ სხვა არაკლასიფიცირებულ საქონელზე **აქციზი**

*აქციზი იმპორტირებული პროდუქციიდან*

2082 აქციზის გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
2083 აქციზის გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
2084 აქციზის გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
2085 აქციზის გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
2086 აქციზის გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი).
2087 აქციზის გადასახადი ეთილის სპირტზე
2088 აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
2089 აქციზის გადასახადი ვისკზე
2090 აქციზის გადასახადი რომზე და ტაფიაზე
2091 აქციზის გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
2092 აქციზის გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
2093 აქციზის გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
2094 აქციზის გადასახადი ლუდზე
2095 აქციზის გადასახადი სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
2096 აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
2097 აქციზის გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
2098 აქციზის გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
2099 აქციზის გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
2100 აქციზის გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
2101 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
2102 აქციზის გადასახადი ნავთზე
2103 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
2104 აქციზის გადასახადი დიზელის საწვავზე
2105 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
2106 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრ ნახშირწყალბადებზე
2107 აქციზის გადასახადი ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
2108 აქციზის გადასახადი პიროლიზის თხევად პროდუქტზე
2109 აქციზის გადასახადი მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
2110 აქციზის გადასახადი სხვა აქციზურ პროდუქციაზე

### საბაჟო გადასახადი

*საბაჟო გადასახადი აქციზურ პროდუქციაზე*

2111 საბაჟო გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
2112 საბაჟო გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
2113 საბაჟო გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
2114 საბაჟო გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
2115 საბაჟო გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი).
2116 საბაჟო გადასახადი ეთილის სპირტზე
2117 საბაჟო გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
2118 საბაჟო გადასახადი ვისკზე
2119 საბაჟო გადასახადი რომზე და ტაფიაზე
2120 საბაჟო გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
2121 საბაჟო გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
2122 საბაჟო გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
2123 საბაჟო გადასახადი ლუდზე
2124 საბაჟო გადასახადი სიგარილაძე და ფილტრიან სიგარეტზე
2125 საბაჟო გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
2126 საბაჟო გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
2127 საბაჟო გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
2128 საბაჟო გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
2129 საბაჟო გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
2130 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
2131 საბაჟო გადასახადი ნავთზე
2132 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
2133 საბაჟო გადასახადი დიზელის საწვავზე
2134 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
